საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 დეკემბერი ოთხშაბათი 2012 №288 (13 894) ფასი 80 თეთრი

ძალოსნობა

## ხუთი მედალი ეილათიდან



10

შოთა მიშველიძემ ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო დაისაკუთრა

# ბენიტესმა შახტარი ნამუსზე ააგდო!

ჩელსის თავკაცი: დონეცკელებმა იუვენტუსთან უნდა დაამტკიცონ, რომ მართლა მაგრები არიან!




5

## პსჟ და შალკე პირველზე, ზენიტი და აიაქსი ევროპალიგაში, სიტი – სახლში!

8-9



ხოსე როდრიგესი „რეალის" ისტორიაში ჩემპიონთა ლიგის ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გახდა - როდრიგესი გუშინ 17 წლის და 353 დღის იყო. აქამდე ეს რეკორდი რაულს ეკუთვნოდა, რომელსაც ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში დებიუტი 18 წლის, 2 თვის და 17 დღის ასაკში ჰქონდა



4

## მესიმდე იყო ქინქლაძე...

ბრიტანეთში გიოს ვერ ივიწყებენ!




6

## ვინ შეცვლის ჟოზეს?

პერესი ლიოვზე და ანჩელოტიზე ფიქრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

სტუმრიანობის შემდეგ

# გრიგორიჯ სურკისი: ივანიშვილისგან გარანტიები მივიღე

## უეფამ ფედერაციის თავკაცი გამხნევა - განაგრძეთ მუშაობა



გრიგორი სურკისი

საქართველოში **გრიგორი სურკისის** ერთდღიანი ვიზიტი დასრულდა. უეფას აღმასკომის წევრი და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი დარწმუნდა, რომ საქართველოში უეფას მიერ დაგეგმილი ღონისძიებები სახელმწიფოსგან კვლავაც მხარდაჭერილი იქნება და ჩვენი ქვეყანა ყველაფერს იღონებს, რომ ყველა ვალდებულებას თავი ღირსეულად გაართვას.

გამგზავრებამდე უკრაინელმა სტუმარმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციები გამართა. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, სურკისმა უეფას გზავნილიც დატოვა, რაც მათთვის და საფეხბურთო სამყაროსთვის მნიშვნელოვანია - განაგრძეთ მუშაობა. ანუ რომ "ვთარგმნოთ", ფედერაციის თავკაცები დაარწმუნა, რომ სახელმწიფო მათ საქმიანობაში არ ჩაერევა და არ მოხსნის.

გრიგორი სურკისმა კომენტარი ვიზიტის ბოლოს, აეროპორტში გააკეთა: "2015 წლის სუპერთასის მასპინძლობა თქვენი ქვეყნისთვის მხოლოდ სპორტული კი არა, ძალიან დიდი სოციალური მოვლენა უნდა იყოს. ღონისძიების ღირსეულად ჩატარება სერიოზული გზავნილი იქნება უეფასთვის, რომ საქართველოს შეუძლია მსგავს მასშტაბებთან გამკლავება... რატომ არ წავედი აეროპორტიდან ფეხბურთის ფედერაციის მანქანით? ფედერაციის ხელმძღვანელებს ნებისმიერ დროს ვხვდებით, თითქმის ყოველდღიური სატელეფონო კონტაქტი გვაქვს და შესანიშნავად ვიცით, რას აკეთებენ და როგორ მუშაობენ. აქ თქვენ მთავრობის წევრების გასაცნობად და მათთან მოლაპარაკებების გასამართად ჩამოვედი.

მე მკეთრად განსაზღვრული მისია მქონდა - თქვენს ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, ჩვენ მიერ საქართველოში დაგეგმილი პროექტების განხორციელებაზე გარანტიები მიმეღო, რაც პრემიერ-მინისტრმა მომცა. მთავრობის სათავეში ცოტა ხნის წინ მოსული ეს ადამიანი ქართველმა ხალხმა დიდი მოლოდინითა და იმედით აირჩია. ძალიან კმაყოფილი ვარ მასთან შეხვედრით და გაცნობით. დავინახე ადამიანი, რომელიც თავის დანაპირებს შეასრულებს - უეფას სწორედ ამის გაგება სურდა. თუ 6 დეკემბერს, უეფა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ფუტსალის ოთხთა ფინალის მასპინძლობა საქართველოს ანდოს, მჯერა, მთავრობის მხარს დაგვიჭერს, რაც თქვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება".

**ზვიად სიჭინავა,** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: „ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. უეფამ ბატონი სურკისის ვიზიტი ასეთი ფორმატით იმიტომ დაგეგმა, რომ თავად მიეღო გარანტიები და მიიღო კიდეც. მათ შორის იმ შემთხვევისათვის, თუ 6 დეკემბერს ფუტსალის ოთხთა ფინალის მასპინძლობის უფლებას თბილისს მისცემენ. ჩვენმა მთავრობამ დაადასტურა ფედერაციის თანადგომა და ისიც, რომ ჩვენ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს. ახლა, უნდა დაველოდოთ შანსს, რომელიც საკმაოდ დიდია...

მოლაპარაკებებს უშუალოდ არ დავსწრებივართ, რადგან უეფამ თავად მოითხოვა შეხვედრების ასეთი ფორმატით გამართვა. მაგრამ მე ძალიან კმაყოფილი ვარ. უეფას სულ ვეუბნებოდით, რომ მართალია ქვეყანაში მთავრობა შეიცვალა, მაგრამ ჩვენი პროექტებისა და დაგეგმილი ღონისძიებების გარანტიების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. თუმცა, მათ თავად სურდათ დარწმუნება და მიხარია, რომ ახლა უეფა სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ფლობს. ბატონი სურკისის გარდა, ამას ჩვენი სამინისტროც დაგიდასტურებთ. მთავარია, მუშაობა სრული სვლით გავაგრძელოთ, ჩვენს გულშემატკივარს ყოველ წელს ელიტრაუნდებისა თუ შესარჩევი ეტაპების საქართველოში ხილვის საშუალება რომ ჰქონდეს და თანდათანობით, უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებსაც გავუშინაურდეთ. იმედია, უეფა კიდევ უფრო დიდ ნდობას გამოგვიცხადებს, რადგან ჩვენი მთავრობის მხრიდან მყარი გარანტიები არსებობს".

**მერაბ მამულაშვილი**

ტურის მწვრთნელი

# გიორგი დარასელია: ევროტურნირებისათვის ზამთარშივე ვიზრუნებთ

## ეკრანზე მხოლოდ დროშა არ უნდა ჩანდეს

**გორის "დილა" უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში კვლავ მეორე ადგილზეა და ისევ სამი ქულით ჩამორჩება ლიდერ "დინამოს". გასულ ტურში შიდაქართლურმა კლუბმა რუსთავში მძიმე ბრძოლა გადაიტანა და 2:0 სძლია იქაურ "მეტალურგს". შედეგად, "დილას" თავკაცი გიორგი დარასელია "ვიტ ჯორჯიას" დამრიგებელ მერაბ კოჭლაშვილთან ერთად "ლელომ" ტურის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. კოჭლაშვილი ტურის მწვრთნელად რამდენიმე დღის წინაც დავასახელეთ და მასთან ინტერვიუც შემოგთავაზეთ, დღეს კი ჩვენი გაზეთის რესპონდენტი გიორგი დარასელიაა, რომელიც საინტერესო მოსაუბრეა და ვფიქრობთ, გამონაკლისი არც ეს ინტერვიუა.**

- პირველ რიგში, მადლობა თქვენს გაზეთს ამ აღიარებისთვის. მედიისა და კონკრეტულად, "ლელოს" ყურადღება ჩვენთვის დიდი სტიმულია.

**- რის ხარჯზე შეძლო "დილამ" "მეტალურგის" დამარცხება?**

- ძალიან რთული მატჩი იყო. ორივე გუნდს თავისი მიზანი აქვს და არც "მეტალურგს" და არც "დილას" დასახული ამოცანის განსახორციელებლად ძალღონე არ დაუზოგავს. პირველი ტაიმი "მეტალურგის" უპირატესობით წარიმართა, მეორე ნახევარში კი ჩვენ ვიმძლავრეთ. საბოლოოდ, გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომელმაც საკუთარი შანსები გოლებად აქცია.

**- ამ შეხვედრის წინ "დილას" შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა...**

- და ამან გაამართლა კიდეც. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ "დილას" თითოეულმა ფეხბურთელმა გუნდის მნიშვნელოვან წევრად იგრძნოს თავი და რეალურად ეს ასეც არის. არ აქვს მნიშვნელობა, ძირითად შემადგენლობაში ხარ, მოედანზე ერთ ტაიმს ატარებ, ათ წუთს თუ ხუთს, ნებისმიერ დროს უნდა შეძლო მაქსიმალურად დახარჯვა და გუნდისთვის სარგებლის მოტანა. მოხარული ვარ, რომ ეს ჩემს ფეხბურთელებს კარგად ესმით. რაც შეეხება ცვლილებებს, ეს ხშირად საჭიროა და სწორედ ამიტომ გვაქვს გრძელი სათადარიგოთა სკამი, რომ სათანადო დროს გადაადგილებები თამამად მოვახდინოთ.

**- გასული მატჩიდან და ზოგადად, ბოლო პერიოდიდან "დილას" შემადგენლობიდან რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევთ?**

- ცალკეული მოთამაშეების აღნიშვნა არ მიყვარს და ამიტომაც გამორჩეულების დასახელებისგან ამჯერადაც თავს შევიკავებ. ჩემთვის გუნდის თითოეული ფეხბურთელი ერთნაირად საჭირო და ძვირფასია.

**- "მეტალურგთან" მატჩში გააძევეს გოგიტა გოგუა. ამან ფეხბურთელის მიმართ თქვენი უკმაყოფილება ხომ არ გამოიწვია?**

- როცა ფეხბურთელს მოედნიდან თავისივე უაზრო საქციელის გამო აძევებენ, ეს ჩემს სათანადო რეაქციას იწვევს და მოთამაშეს სასჯელს მე თვითონაც ვუმატებ, გოგუას გაძევება კი ამ კატეგორიას არ მიეკუთვნება. ვფიქრობ, მსაჯს შეეძლო, მისთვის მეორე ყვითელი ბარათი არ ეჩვენებინა. ეს არ იყო არასპორტული საქციელი, შესაბამისად, გოგუასადმი სასაყვედურო არაფერი მაქვს. ფეხბურთი ბრძოლაა და ბრძოლისას ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მთავარია, ფეხბურთელმა მსაჯს თავი გაუმართლებელ გარემოებაში არ გააძევებინოს, როგორც ეს მაგალითად, გიორგი კახელიშვილის შემთხვევაში მოხდა. მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, კიდევ ერთი შეხვედრის გამოტოვება კი მე დავაკისრე. სწორედ ამიტომ არ უთამაშია კახელიშვილს "მეტალურგთან".

**- გავიხსენებ თქვენს რეაქციას "დინამოსთან" მატჩში ბრაზილიელი ლეონარდოს გაძევების შემდეგ.**

- დიახ, მან ცუდი საქციელი ჩაიდინა და სავსებით დაიმსახურა ის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც სადისციპლინო კომიტეტმა მიუსაჯა. ჩემი მხრივ, მას შეიძლება კიდევ ერთი-ორი შეხვედრის გამოტოვება მივუსაჯო. მიუღებელია, როცა ასე გაუმართლებლად რჩები უთამაშებელი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

**- დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, რა იყო "დინამოსთან" განცდილი მარცხის მიზეზი?**

- პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, როგორც ჩანს, შეცდომა დავუშვი ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტებისას. აქცენტი გამოცდილ ფეხბურთელებზე გავაკეთე, რამაც არ გაამართლა. შეიძლება ითქვას, "დილას" ერთმატჩიანი ჩავარდნა ჰქონდა და ეს სწორედ "დინამოსთან" შეხვედრაზე მოხდა. ამისგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს, ეს ფეხბურთია და დაუმარცხებელი არავინაა. იმასაც შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში "დინამომ" მხოლოდ ერთი მატჩი წააგო – სწორედ "დილასთან". "დინამო" შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ ჩვენს შორის სხვაობა მხოლოდ სამი ქულაა და გადამწყვეტი ბრძოლები წინ არის.

**- "დინამოსთან" ჩატარებული მატჩის გარდა, თქვენი ხელმძღვანელობით "დილამ" ყველა თამაში მოიგო. ყველაზე მეტად რომელ შეხვედრაში გაგიჭირდათ?**

- შემიძლია გითხრათ, რომ იოლად ერთი მატჩიც კი არ მოგვიგია. ჩვენს ჩემპიონატში საკმაოდ მაღალი კონკურენციაა და თითოეული ქულისთვის დიდი ბრძოლაა საჭირო.

**- "დილას" სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- ყველაფერი რიგზეა, სეზონის მეორე ნახევრის გეგმებიც ცნობილია და კლუბის სამომავლო განვითარების გზებიც. უკვე გადაწყვეტილია, რომ ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას თურქეთში, ანთალიის მხარეში გავივლით. ბუნებრივია, გარკვეული ცვლილებები მოხდება გუნდის შემადგენლობაშიც, მაგრამ გვარების დაკონკრეტება ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.



ბოლო წლებში ქართული კლუბების უმრავლესობა გუნდის გაძლიერებას ზედ ევროტურნირების დაწყების წინ ცდილობდა, მაგრამ წარმოუდგენელია, ამან შედეგი გამოიღოს. თუ გვინდა, რომ ევროთასებზე კარგ შედეგებს მივაღწიოთ, გუნდის ბირთვი ზამთარშივე უნდა ჩამოვაყალიბოთ. "დილაში" სწორედ ასე მოხდება.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გადავუხდი მადლობას "ლელოს" და ვისურვებდი, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე მეტმა მაყურებელმა იაროს. სხვაგვარად, ფეხბურთელებს მაღალ დონეზე თამაშის სტიმული არ ექნებათ და ჩემპიონატის დონე ვერ ამაღლდება. გორში, თუ არ ვცდები, თამაშებს ყველაზე მეტი გულშემატკივარი ესწრება და ვისურვებდი, მინიმუმ ასეთი მაჩვენებელი იყოს სხვა ქალაქებშიც. შეხედავ პირდაპირ ტელერეპორტაჟს და ხედავ ცარიელ ტრიბუნებს. ეკრანზე მხოლოდ მოფრიალე ეროვნული დროშა არ უნდა ჩანდეს, ფეხბურთი ხალხის არის და ქომაგთა გარეშე აზრს კარგავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U17

# დღეს ელიტრაუნდი დაკომპლექტდება

დღეს უეფას შტაბბინაში ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართება და საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობას შევიტყობთ. გავიგებთ იმასაც, თუ რომელ ქვეყანაში იბრძოლებს **გიორგი დევდარიანის** გუნდი ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად.

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა კალათების შემადგენლობა გამოაქვეყნა. საქართველოს ნაკრები მესამე კალათაშია. სხვათა შორის, აქვეა ესპანეთის, რომელმაც რეიტინგი წინა ფინალურ ეტაპზე ვერმოხვედრის გამო გაიუარესა. ეს კი ჩვენი გუნდის დამსახურებაა. მოკლედ, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელიტრაუნდში ესპანელებს არ დავუპირისპირდებით, რაც სულაც არ არის ურიგო ამბავი.

გადავხედოთ კალათების შემადგენლობას:

პირველი კალათა: **გერმანია, სერბეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ხორვატია, ინგლისი, ნორვეგია.**

მეორე კალათა: **უკრაინა, შვეიცარია, შვედეთი, ირლანდია, პოლანდია, სლოვენია, ბელგია.**

მესამე კალათა: **ისრაელი, იტალია, საქართველო, ბულგარეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ფინეთი.**

მეოთხე კალათა: **რუსეთი, პოლონეთი, ბელარუსი, ავსტრია, ჩრდილოეთ ირლანდია, საფრანგეთი, ესტონეთი.**

როგორც ხედავთ, კალათები არცთუ თანაბარი დონის გუნდებითაა დაკომპლექტებული, შესაბამისად, დაახლოებით ერთნაირი შანსი გვაქვს იმისა, რომ მოვხვდეთ როგორც "სიკვდილის", ასევე შედარებით სუსტ ან ზომიერად დაკომპლექტებულ ჯგუფში.

შეგახსენებთ, ელიტრაუნდის შვიდი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები მოიპოვებენ. ფინალური რაუნდი მომავალი წლის 5-17 მაისს სლოვაკეთში გაიმართება. ბუნებრივია, მასპინძლები ფინალურ ეტაპზე ავტომატურად არიან დაშვებულნი.

დღესვე გაიმართება ევროპის 2014 წლის 17-წლამდელთა ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრა და რა თქმა უნდა, "ლელო" მის შედეგებსაც გაგაცნობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## პირველი ლიგა

### A ჯგუფი. XVII ტური

| | |
|---|---|
| სტუ – გაგრა | 4:6 |
| ბეთლემი – სულორი | 2:1 |
| სძური – იმერეთი | 2:1 |
| რაჭა – გურია | 0:2 |
| სასკო – დინამო-2 | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 17 | 14 | 2 | 1 | 49-12 | 44 |
| 2. სასკო | 16 | 12 | 1 | 3 | 51-17 | 37 |
| 3. გაგრა | 17 | 12 | 1 | 4 | 35-15 | 37 |
| 4. დინამო-2 | 16 | 10 | 3 | 3 | 56-25 | 33 |
| 5. ბეთლემი | 17 | 8 | 1 | 8 | 24-33 | 25 |
| 6. სტუ | 17 | 7 | 1 | 9 | 38-48 | 22 |
| 7. იმერეთი | 17 | 6 | 3 | 8 | 17-23 | 21 |
| 8. სძური | 17 | 5 | 6 | 6 | 17-24 | 21 |
| 9. მეშახტე | 17 | 5 | 3 | 9 | 20-43 | 18 |
| 10. ჭიათურა | 17 | 4 | 3 | 10 | 17-31 | 15 |
| 11. რაჭა | 17 | 2 | 2 | 13 | 16-37 | 8 |
| 12. სულორი | 17 | 2 | 2 | 13 | 14-46 | 8 |

„ბენდელას“ თასის ორგანიზატორები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ფეხბურთში თაობების აღმზრდელი

**ნიკოლოზ ამირეჯიბი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# შალკე დარჩა ცალკე

გულსა და სულს უხარია, **ლევან ყენიამ** ლვოვის "კარპატიში" ფეხი მყარად რომ მოიკიდა. აქ უკვე აღარ აქვს იმას მნიშვნელობა, ყენიას გულშემატკივარი ხარ თუ არა, რადგან ის არასდროს ყოფილა მოედანზე უბრალო ჯარისკაცი, ის ყოველთვის მაღალი ტექნოლოგიის იარაღი იყო წარმატებისთვის.

ყენიას სანახავად ქომაგი თბილისის "ლოკომოტივზე" მატჩებზე დადიოდა. საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელმა დედაქალაქში გულშემატკივარი სტადიონზე მიიყვანოს – ეს დიდი საქმეა, ვინძლო უფრო მეტიც, ვიდრე საჩემპიონო ოქრო თუ ნაირგვარი თასები. მედლები კარგია, მაგრამ მაინც სტატისტიკაში გადის, ხოლო ის, რასაც ყენია ქართულ სტადიონებზე აკეთებდა, სულ სხვა რამეა – ამის დათვლა, აწონა თუ გაზომვა შეუძლებელია. ფეხბურთის ხიბლიც ამაშია, მთავარი შედეგია, მაგრამ არის კიდევ რაღაც, რაც ხანდახან შედეგზე უფრო სანატრელი და ამაფორიაქებელია.


ლევან ყენია

ყენიას გზა საინტერესო, უცნაური და დრამატული გამოდგა უკრაინაში წასვლამდე. თბილისის "ლოკომოტივიდან" ფეხბურთელი გელზენკირხენის "შალკეში" გადავიდა – დიდი ნახტომი გამოვიდა. ყენიამ მანამდე თავი სანაკრებო შეხვედრებშიც გამოიჩინა, **კლაუს ტოპმიოლერის** მწვრთნელობისას საქართველომ თბილისში შოტლანდიას რომ მოუგო, ამ ფეხბურთელის დიაპაზონიც კარგად გამოჩნდა.

ბუნდესლიგა კი რთულია. **დავით თარგამაძესაც** მოუწია დიდი ნახტომის გაკეთებამ, საქართველოდან "ფრაიბურგში" მივიდა, "A-იუგენდლიგაში" ჩინებულად ითამაშა, მაგრამ მისთვის მაინც ნაადრევი გამოდგა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგა. თარგამაძემაც გერმანიის მერე უკრაინას მიაშურა და ეროვნული ნაკრების საკვანძო ფეხბურთელად ჩამოყალიბდა.

გინდა თუ არ გინდა, ძველ კავშირებსა და ურთიერთობებს ვერ გაანულებ. საქართველო და უკრაინა ადრე ერთ ქვეყანაში შედიოდნენ, ერთად ყოფნის სამოცდაათიოდე წელი კი ცოტა არ არის. **კახა კალაძემაც** უკრაინიდან დაიწყო გზა ევროპული ფეხბურთისკენ. უკრაინა ქართული ფეხბურთისთვის კარგ პარტნიორად იქცა, ყენიასაც "შალკედან" იქ მოუწია წასვლამ და ფეხზე დადგომა.

2012 წელი ყენიასთვის თითქოს გარდამტეხი აღმოჩნდა, "შალკესთან" კონტრაქტი დაუმთავრდა, მერე იყო მისი ხმაურიანი განცხადება, სანამ **თემურ ქეცბაია** იქნება ნაკრების მწვრთნელი, საქართველოს ეროვნულ გუნდში არ ვითამაშებო. ყენიამ ამის მერე ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა, შემდეგ სანკტ პეტერბურგის "ზენიტში" მივიდა, წინასწარ კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ "ზენიტისა" და ყენიას გზები გაიყარა.

ეს ყოველივე ემოციების გარეშე ვერ მოხდებოდა. ყენია თითქოს ორომტრიალში მოჰყვა, "შალკეში" ტრავმიანობის გამო ორ წელიწადზე მეტი გაუცდა და ისევ სირთულეები – ცხოვრება ხშირად მკაცრად ექცევა ადამიანს, თუმცა ამავე დროს აკაჟებს მას ამ ორომტრიალით.

გერმანული მედიის მიერ "მწვალებელ მაგათად" შერაცხილი "შალკეს" მწვრთნელი ფეხბურთელებს შეკრების დროს ტრიბუნაზე აღმა-დაღმა დაარბენინებდა, - ეს თვითონ ყენიამაც მითხრა. ალბათ გახსოვთ, რა არაჩვეულებრივი გოლი გაუტანა **ფელიქს მაგათმა დინო ძოფს** 1983 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში და ასეთ ფეხბურთელს მწვრთნელობაში გერმანელებმა "მწვალებელი" დაარქვეს – ყენია საქართველოდან სულ სხვა პლანეტაზე აღმოჩნდა.

"შალკე" და გერმანია ყენიამ უკვე უკან მოიტოვა, ქეცბაიასთან ურთიერთობაც დალაგდა. საქართველოს ნაკრებს ახლა ძალიან სჭირდება ყენია, ეს ის არის, რაც ასე აკლია ქეცბაიას გუნდს – ტრივიალურად რომ ვთქვათ, თავისუფალი მხატვარი.

ყენია საოცარ პასებს არიგებს უკრაინის ჩემპიონატში, კაცის მოტყუებასაც არ ერიდება, მის არსენალშია ტექნიკა და აზროვნება. მას ახლა ყველაზე უფრო დრო და მყარი ჯანმრთელობა სჭირდება, რომ "კარპატიცა" და უკრაინაც უკან მოიტოვოს, ცალკე დატოვოს, როგორც "შალკე".

ყენია კარგა ხანი იყო ცალკე უბურთოდ და უმოედნოდ, ბევრს არ სჯეროდა მისი ბოლომდე გამოჯანმრთელების და იმის, რომ ოდესმე ისევ შეძლებდა ფეხბურთის თამაშს.

ყენიამ უკვე ბევრ რამეს გაუძლო, უკვე იცის, თუ რას ნიშნავს, როცა ცალკე რჩები სიძნელეებთან. "მწვალებელი" მაგათი და რუსული "ზენიტი" მისთვის ფეხბურთისა და ცხოვრების აუცილებელი ნაწილი იყო...

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი

# საქართველოს მეტოქეები გაირკვა



გუშინ ჟენევაში ევრო-2014 წლის შესარჩევი ციკლის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში 45 გუნდი ჩაერთვება, ანუ ნაკრებების რეკორდული რაოდენობა.

საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ითამაშებს:

**წინასწარი ეტაპი (22–27 იანვარი)**

ჯგუფი A: საფრანგეთი*, ჩერნოგორია, სან-მარინო, გიბრალტარი**

ჯგუფი B: მოლდოვა, **საქართველო**, მალტა*

ჯგუფი C: ლიტვა*, კვიპროსი, ინგლისი

ჯგუფი D: საბერძნეთი, ბულგარეთი*, სომხეთი, უელსი

ჯგუფი E: ისრაელი, ანდორა, ესტონეთი, შვედეთი

ჯგუფი F: ალბანეთი, ნორვეგია, შვეიცარია, დანია

**ძირითადი ეტაპი (27–30 მარტი)**

ჯგუფი 1: იტალია*, უნგრეთი, ფინეთი, A ჯგუფის გამარჯვებული

ჯგუფი 2: აზერბაიჯანი, სლოვაკეთი*, ბოსნია, F ჯგუფის გამარჯვებული

ჯგუფი 3: რუსეთი, რუმინეთი, ყაზახეთი, ლატვია*

ჯგუფი 4: ესპანეთი*, ხორვატია, მაკედონია, E ჯგუფის გამარჯვებული

ჯგუფი 5: პორტუგალია, სერბეთი*, პოლონეთი, D ჯგუფის გამარჯვებული

ჯგუფი 6: **ჩეხეთი, ბელარუსი, ჰოლანდია*, B ჯგუფის გამარჯვებული**

ჯგუფი 7: **უკრაინა, სლოვენია, თურქეთი*, C ჯგუფის გამარჯვებული**

*შენიშვნა: *-ით აღნიშნულია მასპინძელი*

ფინალური ეტაპი 2014 წელს ბელგიაში, ანტვერპენში 28 იანვრიდან 8 თებერვლამდე გაიმართება. ფინალური ეტაპზე მასპინძელი ბელგია უკონკურსოდ ითამაშებს. დანარჩენთა ვინაობა საკმაოდ რთული შეჯიბრების შედეგად გაირკვევა: 44 გუნდიდან 22 განაწილდა 6 ჯგუფში, საიდანაც მხოლოდ გამარჯვებული გააგრძელებენ ბრძოლას.

წინასწარი ეტაპის გამარჯვებულები დანარჩენ 22 გუნდთან ერთად შვიდ ჯგუფს ჩამოაყალიბებენ და 27-30 მარტს ძირითადი ეტაპის ჯგუფურ შეხვედრებს ესპანეთში, იტალიაში, სერბეთში, სლოვაკეთში, ჰოლანდიაში, თურქეთსა და ლატვიაში გასამართ მინი-ტურნირებში ფინალისტებს გამოავლენენ. ანუ საქართველომ თუ ეს ეტაპი დასძლია, ძირითად ეტაპზე ჩეხეთს, ბელარუსსა და ჰოლანდიას შეხვდება – ტურნირს კი ეს უკანასკნელი უმასპინძლებს.

ევრო-2014-ზე შვიდივე ჯგუფის გამარჯვებული და მეორეადგილოსანი, პლუს მასპინძლელი ბელგია და საუკეთესო მესამეადგილოსანი ითამაშებენ.

დაბოლოს: პორტუგალიის ფუტსალის დეპარტამენტმა **პედრო რატინიოს** და მთავარი მწვრთნელის **ჟორჟე ბრაზის** თაოსნობით, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ფერნანდო გომეშს** მომავალი წლის სანაკრებო გეგმა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, პირენეელები 2013 წელს თბილისში საქართველოსთან ორი ამხანაგური შეხვედრის გამართვას აპირებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალის ეროვნული ჩემპიონატის მატჩში „იბერია სტარი" კონკურენტ „თელასს" შეხვდა. აუგუსტოს (2), რაფას (2), ძაბირაძისა და ალთუნაშვილის გოლებით, საქართველოს ჩემპიონმა დიდი ანგარიშით (6:1) გაიმარჯვა და ლიდერობა განიმტკიცა.

ჩემპიონატს ბომბარდირთა სიაში ერთდროულად ოთხი იბერიელი ლიდერობს: **აუგუსტომ, ძაბირაძემ, ფუსტემ** და **რაფამ** მეტოქეთა კარი 6-6-ჯერ აილეს.

## იბერიამ კონკურენტი დაამარცხა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 4 | 4 | 0 | 0 | 30-6 | 12 |
| 2. თელასი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-9 | 9 |
| 3. თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 18-10 | 6 |
| 4. სოკარი | 3 | 1 | 0 | 2 | 16-11 | 3 |
| 5. GIEC | 3 | 0 | 0 | 3 | 2-17 | 0 |
| 6. ბურჯი | 3 | 0 | 0 | 3 | 5-31 | 0 |

ლეგიონერები

# დვალიშვილის და ვანაძის გოლები

პოლონეთის ექსტრაკლასაში ვარშავის "პოლონია" სტუმრად "გლივიცეს" შეხვდა და **ვლადიმერ დვალიშვილის** მიერ 47-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0-ს ამარცხებდა, მაგრამ მასპინძლებმა მატჩის 88-ე წუთზე წონასწორობა აღადგინეს და შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. დვალიშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ეს მისთვის მიმდინარე სეზონში მეექვსე გოლია.

დანიის სუპერლიგაში კი მეორეჯერ გამოიჩინა თავი **მათე ვანაძემ**. მისმა "ორჰუსმა" გასვლით მატჩში "ოლბორგი" 3:0 გაანადგურა, ქართველმა თავდამსხმელმა კი 85-ე წუთზე შეხვედრის უკანასკნელი გოლი გაიტანა. ვანაძე მოედანზე 70-ე წუთზე შევიდა, მისმა თანაგუნდელმა **დავით დევდარიანმა** კი შეუცვლელად ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ლადო დვალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეს იყო გუშინ...

# მესიმდე იყო ქინქლაძე

ირლანდიურ გამოცემა The National-ში გამოქვეყნებული წერილი ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთ ლეგენდას, "მანჩესტერ სიტის" ყოფილ პლეიმეიკერ გიორგი ქინქლაძეს მიეძღვნა. წერილის ავტორი გაოცებულია იმ ფაქტით, რომ ასეთი ცნობილი ფეხბურთელი დღეისათვის აგენტობით არის დაკავებული.



გორგი ქინქლაძე (ბურთით) მანჩესტერულ დერბიში. მარჯვნივ დევიდ ბექჰემი


გიორგი ქინქლაძე ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ

## ქინქლაძემ მანჩესტერი მანამდე გააოგნა, ვიდრე მესიმ ბარსელონა

"მსოფლიო სირცხვილით უნდა ინვოდეს, გიორგი ქინქლაძე ახლა მართლაც მოსკოვის საფეხბურთო აგენტი თუ არის. მისი სახელი ბოლოს აგვისტოში გაჟღერდა, როდესაც "ზენიტს" "მანჩესტერ იუნაიტედიდან" ნანის შეძენა სურდა.

ნუთუ გიორგი საფეხბურთო აგენტია? ფეხბურთელი, რომელმაც ინგლისის პრემიერლიგაში სამი საუცხოო სეზონი ჩაატარა, თამაში სანახაობად აქცია და კლუბისადმი ერთგულების ნიშნად უარი თქვა "ბარსელონას", "მილანის", "ლივერპულისა" და "სელტიკის" მიწვევებზე; რომელიც გახდა არა მხოლოდ ლეგენდა, არამედ სახალხო გმირი. და ახლა ის აგენტია? ეს დღევანდელი მსოფლიოს სასტიკი რეალობაა.

ქინქლაძე პრემიერლიგაში იმ პერიოდში გამოჩნდა, როდესაც ევროთასებიდან მოკვეთის შემდეგ, ინგლისური კლუბები მთელი ძალებით ცდილობდნენ ევროპელებთან ჩამორჩენის შემცირებას (1985 წლის 29 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ლივერპულისა" და "იუვენტუსის" შეხვედრისას, ბრიუსელის "ეიზელის" სტადიონზე 39 ადამიანი გარდაიცვალა, უეფამ კი ინგლისური კლუბები კი ევროტურნირებიდან ხუთი წლით მოკვეთა).

ალბათ, ბევრს უკვე დაავიწყდა, გიორგიმ რა შესანიშნავი სამი სეზონი ჩაატარა "მეინ როუდზე". თუ თქვენ "მანჩესტერ სიტის" მატჩების ცქერის განსაკუთრებული სურვილი არ გქონდათ, ქინქლაძე ამის მიზეზს გაგიჩენდათ.

ამ ცაცია მოთამაშეს შეეძლო მოწინააღმდეგე იოლად და ეფექტურად ჩამოეცილებინა, უყვარდა ლამაზად თამაში, რამდენიმე მცველის გვერდის ავლა.

შესაძლოა, დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ქინქლაძის საუკეთესო ეპიზოდების ცქერისას გიჩნდება აზრი, რომ ლიონელ მესი დღეს იმავეს აკეთებს. "იუთუბზე" არის კიდეც კლიპი "მესი VS ქინქლაძე". წამიერად დაივიწყეთ ამ ორი მოთამაშის მოწინააღმდეგეთა შორის სხვაობა და საერთო თვისებებს აღმოაჩენთ: დახრილი თავით მოძრაობა, მიზნისკენ სწორი და არაორდინალური სვლა, საოცარი დრიბლინგი.

მეორე ფეხბურთელი, ვისაც ქინქლაძე ჰგავს, რუმინელი გეორგე ხაჯია, "კარპატელი მარადონა". არ არის გასაკვირი, რომ "გალათასარაის", სადაც ჰაჯი თამაშობდა, ქინქლაძის გადაყვანა სურდა.

როგორ მოხდა, რომ ქინქლაძემ პრემიერლიგაში მხოლოდ რამდენიმე სეზონი ითამაშა, მას ხომ გაცილებით დიდხანს უნდა ებრწყინა? შემდეგ "დერბიში" ითამაშა, მაგრამ იქ უკვე ძველებურად ველარ გამოიყურებოდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც ინგლისის პრემიერლიგა ჯერ კიდევ ძალას იკრებდა, მაგრამ უკვე თამაშობდნენ ერიკ კანტონა, ჯან-ფრანკო ძოლა, დენის ბერგკამპი, იურგენ კლინსმანი, დევიდ ჟინოლა, რომლებიც ბურთთან ისეთივე ოსტატები იყვნენ, როგორიც ჯიმი ჰენდრიქსი - გიტარაზე.

გიორგი ქინქლაძე მათ შორისაც ღირსეულად გამოიყურებოდა"

ლეგიონერი

# გია გრიგალავა: თავდასხმიდან დაცვაში

რუსულმა ინტერნეტგაზეთმა "სპორტბოქსმა" გია გრიგალავას ინტერვიუ ჩამოართვა. საქართველოს ნაკრებისა და ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველმა გაიხსენა, როგორ შეუცვალეს ამპლუა და რატომ ჰქონდა სამშობლოში მორაგბის პერსპექტივა.

"მიმდინარე სეზონში "ვოლგა" შარშანდელზე უფრო დამაჯერებლად თამაშობს. გულშემატკივარი უფრო შეთამაშებულ გუნდს ხედავს. ეს განსაკუთრებით ბოლო მატჩებზე ითქმის. იმედია, უილბლობის სერიას დავასრულებთ, ბოლო ოთხეულს თავს დავაღწევთ და პირველლიგელებთან გადათამაშებას თავიდან ავიცილებთ. საერთოდ, საუკეთესო რვა გუნდს ბევრით არც ჩამოვრჩებით.... "ვოლგას" ფორმით პირველი გოლი ამ სეზონში, "ამკარის" კარში გავიტანე. არავის გაკვირვებია, საჯარიმო რომ შევასრულე, მარცხენა ფეხით დასარტყმელად მოსახერხებელი პოზიცია იყო.

... სკოლაში ამპლუით თავდამსხმელი ვიყავი. მიყვარდა ბურთის თრევა და პასს არავის ვაძლევდი. მერე მწვრთნელმა სასჯელივით გამომიწერა ჯერ ნახევარდაცაში დახევა, ბოლოს კი — დაცვაში. გამოდის, ის მართალი იყო. ვარჯიშებზე შეტევაში ახლაც ხშირად ვერთვები, მაგრამ ჩემი ადგილი მაინც უკანა ხაზშია. ყოველთვის ვამბობდი, რომ ყველაზე მეტად დაცვის ცენტრში თამაში მიყვარს. მაგრამ დისკომფორტს არც მარცხენა ფლანგზე ვგრძნობ.

... მამა (ალეკო გრიგალავა) ცნობილი მორაგბეა, სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. საქართველოში რომ მეცხოვრა, შესაძლოა, მეც მის გზას გავყოლოდი. მაგრამ 8 წლის ვიყავი, როდესაც ჩვენი ოჯახი ქუთაისიდან როსტოვში გადასახლდა, ამ ქალაქის საფეხბურთო ტრადიციები კი ყველასათვის კარგად არის ცნობილი" – ამბობს 23 წლის ქართველი მცველი.

თავიდან, გრიგალავამ რუს გულშემატკივარს თავი პრემიერლიგაში საკმაოდ უხეში თამაშით გააცნო: "იყო დრო, როდესაც ყვითელ-წითელ ბარათებს "ვაგროვებდი" და ამის გამო ბევრი შეხვედრა გამოვტოვე. ახლა ვცდილობ, მსაჯებთან ნაკლები ვილაპარაკო, წვრილმანების გამო კამათს უკვე ვერიდები - ამით მაინც ვერაფერს მივაღწევ".

გრიგალავა ამბობს, რომ საქართველოს ნაკრების სჯერა: "რა თქმა უნდა, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკი ძნელია. ჩვენი მეტოქეები ესპანეთი და საფრანგეთი არიან. პირველ მათგანს დღეისათვის კონკურენციას ვერავინ უწევს. ფრანგებს კი, იმედია, ნერვებს გვარიანად მოვუშლით. მაგრამ დარწმუნებული ვარ ჩვენი ეროვნული გუნდის მომავალში და რომ ნაკრები უკეთ ათამაშდება. ჩვენთან ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდაა, რომლებიც სწრაფად იზრდებიან. შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში კიდევ ერთი ნიჭიერი თაობა წამოვიდა, რომელსაც გუნდისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია".

გრიგალავა შეეხო თემას, რაც მალე აქტუალური გახდება. ჩვენი ინფორმაციით, გიას გადაყვანა რუსულ, ინგლისურ და გერმანულ კლუბებს სურთ. თუმცა, "ვოლგასთან" კონტრაქტი მხოლოდ 2013 წლის დეკემბერში ეწურება და ალბათ, 2013 წლის ზაფხულამდე მაინც დარჩება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**


გია გრიგალავა (მარჯვნივ)

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ოთხშაბათის მატჩების წინ

# დონეცკი ყურადღების ცენტრში

## ბუფონი: შახტარი არაფერს დაგვითმობს, უნდა მოვიგოთ!



„შახტარის" მეკარე ანდრეი პიატოვი და „იუვეს" თავდამსხმელი ალესანდრო მატრი - ტურინში 1:1 დაფიქსირდა

**დღევანდელ მატჩებში გუშინდელზე მეტი ინტრიგაა, რადგან მერვედფინალის სამი საგზურია ვაკანტური. თუკი „ჩელსის" „შახტარის" „იუვენტუსთან" გამარჯვება სჭირდება, „სელტიკი" და „ბენფიკა", ასევე „გალათასარაი" და კლუჟი ბოლო ტურს თანაბარი ქულებით ხვდებიან.**

### E ჯგუფი

**შახტარი–იუვენტუსი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, კუჩერი, რაკიცკი, რაცი - სტეპანენკო, ფერნანდინიო - ვილიანი, ედუარდო, ტეიშეირა - მხითარიანი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბონუჩი, ბარცალი, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, პოგბა, ასამოა - ვუჩინიჩი, ჯოვინკო.

**არბიტრი:** იონას ერიკსონი (შვედეთი)

**ჩელსი–ნორდსიელანდი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, დავიდ ლუისი, ე. კოული - ობი მიკელი, რამირესი - მატა, ოსკარი, აზარი - ტორესი.

**ნორდსიელანდი (4-2-3-1):** ჰანსენი - პარკჰურსტი, გუნდელახი, რუნიე, მტილიგა - ადუ, სტოკჰოლმი - ლორენტზენი, კრისტენსენი, იონი - ნორდსტრანდი.

**არბიტრი:** ბას ნიჰუისი (ჰოლანდია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 10 |
| 2. იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 11-4 | 9 |
| 3. ჩელსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-9 | 7 |
| 4. ნორდსიელანდი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-16 | 1 |

### F ჯგუფი

**ლილი–ვალენსია 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლილი (4-3-3):** ელანა - დებუში, ბასა, როზენალი, ბერია - ბალმონტი, გეიე, მარტინი - კალუ, რუ, როდელინი.

**ვალენსია (4-2-3-1):** ალვეში - პერეირა, რამი, რ. კოშტა, სისოკო - გაგო, ტინო კოსტა - ფეგული, ბანეგა, გუარდადო - ვალდესი.

**არბიტრი:** ალექსანდარ სტავრევი (მაკედონია)

**ბაიერნი–ბატე 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - გომესი.

**ბატე (4-5-1):** გორბუნოვი - პოლიაკოვი, რადკოვი, შიმიჩი, ბორდაჩევი - ლიხტაროვიჩი, ოლეხნოვიჩი, ა. ვოლოდკო, ბრესანი, გლები - როდიონოვი.

**არბიტრი:** ვილიამ კოლუმი (შოტლანდია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 10 |
| 2. ვალენსია | 5 | 3 | 1 | 1 | 11-5 | 10 |
| 3. ბატე | 5 | 2 | 0 | 3 | 8-11 | 6 |
| 4. ლილი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-12 | 3 |

### G ჯგუფი

**ბარსელონა–ბენფიკა 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - მონტოია, პიკე, პუიოლი, ალბა - ფაბრეგასი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

**ბენფიკა (4-4-2):** არტური - მ. პერეირა, ლუიზაო, გარაი, მელგარეხო - სალვიო, მატიჩი, გაიტანი, პერესი - ლიმა, კარდოსო.

**არბიტრი:** სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

**სელტიკი–სპარტაკი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - მათეუსი, ამბროსი, ვილსონი, ლუსტიგი - ლედლი, კაიალი, კომონსი, მულგრიუ - სამარასი, ჰუპერი.

**სპარტაკი (4-2-3-1):** დიკანი - ინსაურალდე, სუხი, პარეხა, კომბაროვი - კარიოკა, დე ზეეუვი - მაკგიდი, კალსტრიომი, ხურადო - ემენიკე.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 11-5 | 12 |
| 2. ბენფიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 3. სელტიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 4. სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-12 | 3 |

### H ჯგუფი

**ბრაგა–გალათასარაი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბრაგა (4-3-3):** ბეტუ - სალინო, ეჩიეჯილე, კოელიო, ისმაილი - მიკაელი, კუშტოდიო, ვიანა - ალანი, ედერი, ამორიმი.

**გალათასარაი (4-4-2):** მუსლერა - ებუე, სემიჰი, ნოუნკეუ, რიერა - ჰამით ალთინთოფი, სელჩუკი, ფელიპე მელო, ამრაბატი - ელმანდერი, ბ. ილმაზი.

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

**მანჩესტერ იუნ.–კლუჟი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** ლინდეგაარდი - რაფაელი, სმოლინგი, ჯონსი, ბიუტნერი - კლევერლი, გიგზი, ფლეტჩერი, იანგი - უელბეკი, ერნანდესი.

**კლუჟი (4-4-2):** ფელგეირაში - პინტუ, მაფტეი, კადუ, სეპსი - ბასტოსი, კამორა, მურესანი, სუგუ - პედრო, კაპეტანოსი.

**არბიტრი:** დანიელე ორსატო (იტალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 5 | 4 | 0 | 1 | 9-5 | 12 |
| 2. გალათასარაი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 3. კლუჟი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 4. ბრაგა | 5 | 1 | 0 | 4 | 6-11 | 3 |

### E ჯგუფი:
### ჩელსი შახტარის იმედად

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს დღეს, მაისში ჩემპიონთა ლიგა მართლაც ლონდონის „ჩელსიმ" მოიგო. მაშინდელი ეიფორიისგან ლონდონურ კლუბში ალარაფერი დარჩა: წარმატების მომტანი მწვრთნელი **რობერტო დი მატეოც** გათავისუფლებულია, მის ნაცვლად დანიშნულ **რაფა ბენიტესს** კი „ჩელსის" ფანები დასანახად ვერ იტანენ. „არისტოკრატებმა" ბენიტესის ხელმძღვანელობით სამი მატჩი გამართეს, მხოლოდ ორი ქულა აილეს და ერთადერთი გოლი გაიტანეს. პრემიერლიგაში „ჩელსის" 7-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და ამ გუნდს ბოლოს ასეთი რამ 1995 წელს დაემართა - **რომან აბრამოვიჩი** მაშინ 28 წლის გახლდათ ნავთობის ბიზნესში დებიუტანტი იყო. ამ თემაზე წერას აქ და ამით შევწყვეტთ: „ჩელსის" დღეს სასწაული სჭირდება იმისათვის, რომ არ გახდეს პირველი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელიც მოქმედი გამარჯვებულის რანგში ჯგუფში ჩარჩება.

ლონდონურმა კლუბმა „ნორდსიელანდს" უნდა მოუგოს და ამ გამარჯვებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაედება ფასი, თუ „იუვენტუსი" დონეცკში იმ „შახტართან" დამარცხდება, რომელსაც მერვედფინალში თამაში უკვე განაღდებული აქვს.

*„ამ დღეებში ჩვენთან ყველა „შახტარის" ფეხბურთელებზე ლაპარაკობს. მათ „იუვენტუსთან" უნდა დაამტკიცონ, რომ მართლა მაგრები არიან,"* - განაცხადა ბენიტესმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე და ამ განცხადებით დონეცკელ ფეხბურთელებში სპორტული სულისკვეთების გაღვივებას შეეცადა.

„შახტარს" ნაგება არ აწყობს, რადგან ასეთ შემთხვევაში პირველ ადგილს დაკარგავს, ფრე კი მისაღები შედეგია როგორც დონეცკელებისთვის, ისე ტურინელებისთვისაც და ლონდონელებიც სწორედ ამის გამო ნერვიულობენ.

*„შახტარი არაფერს დაგვითმობს - ამაში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ და ჩვენც მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ,"* - ეს „იუვეს" მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონის** სიტყვებია. შაბათს „იუვენტუსმა" ტურინული დერბი 3:0 მოიგო და ამ მატჩში **ჯორჯო კიელინიმ** და **არტურო ვიდალმა** დაისვენეს. „შახტარს" **ლუის ადრიანო** სკანდალური გოლის გამო დისკვალიფიცირებული ჰყავს. აქვე გაგახსენებთ, რომ „იუვეს" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში 2008/2009 წლების სეზონის მერე აღარ უთამაშია.

### F ჯგუფი:
### შვაინშტაიგერს 5:0 უნდა, ჰიონესს 1:0-იც ეყოფა

*„ბატე ისე ჟღერს, რომ წესით, 5:0 უნდა მოვიგოთ,"* - თქვა გუშინ ბაიერნელმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა**, რაშიც ნამდვილად ვეთანხმებით, მაგრამ მაინც არაკორექტულად გამოუვიდა - რაც უნდა იყოს, ბატე ის გუნდია, რომელმაც ძლევამოსილ რეკორდმაისტერს ამ სეზონში პირველი მარცხი აგემა. არ ვიცით, რამდენად მართებულია რევანშზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, რომ მიუნხენელებს ამ თამაშის მოგება უნდათ, რადგან ასეთ შემთხვევაში პირველი ადგილის დაკავებას საფრთხე არ შეექმნება.

თუკი შვაინშტაიგერმა 5:0 ახსენა, „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** გუშინ თქვა, 1:0 ან 2:0-იც მეყოფაო. ბავარიელთა თავკაცი **იუპ ჰაინკესი** სავარაუდოდ კვლავ მიმართავს როტაციას და შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში **მარიო გომესი** ათამაშოს (**კლაუდიო პისარო** გაციებულია). **დანტეს, შვაინშტაიგერსა** და **ხავი მარტინესს** გაფრთხილების შემთხვევაში მერვედფინალის პირველი რაუნდის გამოტოვების საფრთხე ემუქრებათ.

...და რას უნდა ველოდოთ ბატესგან? **გლებისა** და კომპანიისთვის დღევანდელი შეხვედრა 2012 წლის უკანასკნელი მატჩია და ერთადერთი მოტივაციაც წლის კარგად დამთავრებაა. სპორტული მოტივაცია კი ბელარუსებს ჩემპიონთა ლიგაში აღარ აქვთ, რადგან მესამე ადგილი და ევროპალიგაში გადანაცვლება ყველა შემთხვევაში გარანტირებული აქვთ.

„ვალენსია" „ლილს" სტუმრობს და ერთი შეხედვით, მარტივი ამოცანის წინაშე დგას, მაგრამ ბოლო დროს „ღამურებში" მონასტერი აირია. „რეალ სოსიედადთან" 2:5-ის შემდეგ კლუბის ბოსებმა მწვრთნელი **მაურიციო პელეგრინო** დაითხოვეს და მას **ერნესტო ვალვერდე** შეცვლის, მაგრამ ეს უკანასკნელი მუშაობას ხვალიდან შეუდგება. ამრიგად, დღეს, „ლილთან" შეხვედრაში ვალენსიელთა დროებითი მწვრთნელი **ვორო** იქნება. სხვათა შორის, „სოსიედადთან" „ვალენსიას" ერთადერთი ნათელი წერტილი **სოლდადო** გახლდათ, რომელმაც დუბლი შეასრულა, მაგრამ ეს უკანასკნელი დღეს დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

### G ჯგუფი:
### დაეხმარება ბარსა სელტიკს?

„ბარსელონა" მერვედფინალშია და პირველი ადგილიც განაღდებული აქვს, მეორე საგზურისთვის კი „ბენფიკა" და „სელტიკი" იბრძვიან. მათ 7-7 ქულა აქვთ და მიუხედავად იმისა, რომ უშუალო დუელებში უპირატესობა „ბენფიკამ" მოიპოვა, ჯგუფიდან გასვლის ფავორიტად მაინც „სელტიკი" მიიჩნევა, რადგან გლაზგოელები მოსკოვის „სპარტაკს" მასპინძლობენ, ლისაბონელებმა კი „ნოუ კამპზე" უნდა ითამაშონ.

„ბენფიკასთვის" კარგი მხოლოდ ის არის, რომ „ბარსა" ალბათ ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშებს და თანაც, კატალონიური გრანდი ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩებში ცუდად გამოიყურებოდა. ცუდი კი ისაა, რომ „ბარსამ" ის ორივე თამაში მაინც მოიგო (3:2 „სპარტაკთან", 2:1 „სელტიკთან") და თანაც, „ბარსა" შესანიშნავ ფორმაშია - **ტიტო ვილანოვას** შეგირდებმა ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგეს და 22 გოლი გაიტანეს, „ბილბაოსთან" 5:1-ით კი პრიმერადივიზიონის ყველა დროის საუკეთესო სტარტი სრულყვეს.

### H ჯგუფი:
### გალა თუ კლუჟი?

მეორე თუ მესამე? - ეს H ჯგუფშიც ერთადერთი აქტუალური კითხვაა. „გალათასარაის" და „კლუჟს" ხუთი ტურის შემდეგ 7-7 ქულა აქვთ, დღეს გასვლით მატჩებში უწევთ ბრძოლა და მერვედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად გასვლის იმედი აქვთ. ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა „გალათასარაის" აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ფათიჰ თერიმის** გუნდს „ბრაგასთან" სტუმრობის მოგებით დამთავრება ჯგუფიდან გაიყვანს. „იუნაიტედი" „კლუჟს" მეორე შემადგენლობით დაუპირისპირდება - თუმცა **ფერგიუსონი** დღეს ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ათამაშებს გამოჯანმრთელებულ **ნემანია ვიდიჩს**, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

### ჩელსიმ უოლასი იყიდა

გუშინ „ჩელსიმ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ფლუმინენსედან" 18 წლის მარჯვენა მცველი **უოლასი** შეიძინა და ის ლონდონურ გუნდთან კონტრაქტს იანვარში მოაწერს ხელს, ზაფხულში კი შეუერთდება. ბრაზილიის ჩემპიონატში უოლასმა 18 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, დებიუტი კი წლის დასაწყისში ჰქონდა. უოლასი ბრაზილიის 17-წლამდელთა გუნდის ყოფილი ვარსკვლავია, ის შემტევი სტილის განაპირა მცველია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლაციო

### კლოზე მხოლოდ ერთ კვირას იუქმებს

„გაძეტა დელო სპორტმა" „ლაციოს" გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა - გასულ უქმეებზე დაშავებული **მიროსლავ კლოზეს** ტრავმა იმაზე უფრო მსუბუქი გამოდგა, ვიდრე ეს თვით ექიმებს წარმოედგინათ. დეტალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ 34 წლის ფორვარდი მხოლოდ ერთ კვირას იუქმებს და სერია A-ს მაქსიმუმ ერთ პაექრობას გამოტოვებს. აღნიშნულ თემაზე კომენტარი თვითონ მირომ გააკეთა:



*„ერთი სული მქონდა, როდის გავიგებდი საბოლოო დიაგნოზს და შვებით ამოვისუნთქე. დეტალურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მოედანს ერთ კვირაში დავუბრუნდები, რამაც ძალიან გამახარა. ამ ორ დღეში გულშემატკივართა არაერთი წერილი მივიღე, რამაც ძალიან გამამხნევა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ "ლაციოში" გადმოსვლით აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე".*

რომა

### სკუდეტო? რატომაც არა

„რომასთვის" სეზონის სტარტი არცთუ წარმატებული გამოდგა, თუმცა დროთა განმავლობაში დედაქალაქელებმა მოუმატეს და სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში აინაცვლეს. 15 ტურის შემდეგ, "ჯალოროსის" 26 ქულა აქვს და 9 ქულით ჩამორჩება ლიდერ "იუვენტუსს". იტალიური მასშტაბით, ეს არცთუ დიდი სხვაობაა, მაგრამ მეორე მხრივ, ამ ორ გუნდს შორის კიდევ ოთხი გუნდია... ანუ, "რომა" ცხრილში მე-6 პოზიციას იკავებს. მიუხედავად ამისა, **ზდენეკ ზემანი** სკუდეტოს უმიზნებს და ამას არც მალავს. ჩეხი სპეციალისტის ამბიციურ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და კომენტარიც უხვად გაკეთდა. მაგალითად, "რომას" ერთ-ერთმა ლიდერმა **დანიელე დე როსიმ** მწვრთნელს მხარი აუბა:

*„მართალია, ჩემპიონატი მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ კრიზისი უკვე დავძლიეთ და ალმავლობის გზას დავადექით. არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს და ვალდებულნი ვართ, აღებული ტემპი არ დავაგდოთ. მომდევნო ორი პაექრობა ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი იმედი მაქვს, რომ ექვს ქულას ჩავიწერთ აქტივში. ეს შესანიშნავი შანსია იმისთვის, რომ პოზიციები კიდევ უფრო განვიმტკიცოთ, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. სკუდეტო? - რატომაც არა".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● რეალი



მოურინიო და მისი ორი სავარაუდო მემკვიდრე

# ვინ შეცვლის განსაკუთრებულს?

## პერესის მაგიდაზე ჯერ ორი გვარია: ანჩელოტი და ლიოვი

ჯერ დათვი არ მოუკლავთ, უკვე ნანადირევს იყოფენო, ხომ გაგიგიათ - ასეა „მარკას" საქმე: ესპანურმა გამოცემამ ორშაბათის ნომერში უკვე საივნისოდ „მოხსნა" **ჟოზე მოურინიო**, სამშაბათისაში კი მისი შესაძლო მემკვიდრეები დაასახელა. „მარკა" ირწმუნება, რომ **ფლორენტინო პერესი** უკვე ეძებს პორტუგალიელის შემცვლელს და რომ მის სიაში ორი ფავორიტია: იტალიელი **კარლო ანჩელოტი**, რომელიც ახლა „პარი სენ ჟერმენს" წვრთნის და გერმანელი **იოახიმ ლიოვი**, გერმანიის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი.

მოკლედ, „მარკას" თუ დავუჯერებთ, კონჩა ესპინას ქუჩაზე, „რეალის" ოფისში ახლა მხოლოდ ამით არიან დაკავებულნი, სავარაუდო მწვრთნელების სიებს ადგენენ და შემდეგ პრეზიდენტს აცნობენ. სხვათა შორის, „კონკურსში" ერთადერთი პირობაა - მომავალი თავკაცი ფლორენტინო პერესმა უნდა მოიწონოს.

პერესის კრიტერიუმები კი ასეთია - „რეალის" მწვრთნელმა 4 პირობა უნდა დააკმაყოფილოს: 1. მან ვარსკვლავებით გაძეძგილ „რეალის" გასახდელში Yთავი ისე უნდა იგრძნოს, როგორც თევზმა წყალში, 2. ჰქონდეს გამოცდილება (თანაც წარმატებული) ერთ-ერთ ტოპ-ლიგაში და ჩემპიონთა ლიგაზე, 3. შეეძლოს მუდმივი პრესის შემთხვევაშიც კი საუკეთესო თვისებების გამოვლინება და 4. პრესასთან მისაღები, მარტივი ურთიერთობა ჰქონდეს.

ახლა, ამ სიას სათავეში კარლეტო უდგას, რომელსაც არცთუ კარგი დროება უდგას პარიზულ კლუბში. გუშინწინ „ეკიპი" წერდა, რომ იტალიელი აღარ იქნება მომავალ სეზონში პსჟ-ს თავკაცი.

ლიოვი კარგა ხანია, სასურველი მწვრთნელია პერესისთვის. პრეზიდენტს ლიოვის შემტევი ფილოსოფია მოსწონს ფეხბურთში.

### მოურინიოს პირველი რეპრესია

პორტუგალიელმა პირველად გამოიჩინა სიმკაცრე და ფეხბურთელებს განუცხადა, რომ საშობაო არდადეგებიდან კლუბის ბაზაზე 29 დეკემბერს, შაბათ დღეს გამოცხადნენ. არადა, 6 იანვრამდე („რეალ სოსიედადთან") „სამეფო კლუბს" თამაში არ უწევს. 22 დეკემბერს „რეალი" „მალაგას" ეთამაშება და ამის შემდეგ ფეხბურთელები 1 კვირით თავისუფალნი არიან. 29-ში კი ნაშუადღევის ვარჯიშია დანიშნული. ეს განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკელებს დააზარალებს: **კაკას, მარსელოს, იგუაინს** და **დი მარიას** რეალურად 4-დღიანი დასვენება გამოსდით.

### პერესი მოურინიოს ლეკვია

ვის თუ არა, „რეალის" ყოფილ პრეზიდენტ **რამონ კალდერონს** შეუძლია ცეცხლზე ნავთის დასხმა. ის აცხადებს, რომ ფლორენტინო პერესი „ბოსობს", სინამდვილეში კი ჟოზე მოურინიოს გოშიააო. *„ის, რაც მოურინიომ თამაშის დაწყებამდე 40 წუთით ადრე გააკეთა, კარგად მეტყველებს, რომ პორტუგალიელი ჯერ თავის თავზე ფიქრობს, რადგან ამ სიტუაციიდან მოგებული მხოლოდ ის დარჩა. მაგრამ სხვას რას უნდა ველოდოთ, როცა პორტუგალიელი იგივეს აკეთებდა სხვა კლუბებშიც? მოურინიოს არავინ მოუტყუებია, ის ალალად აცხადებდა, რომ ასეც მოიქცეოდა. ეს მისი ბრალი არ არის, რომ უდიდესი ძალაუფლება მოიპოვა. პერესი მოურინიოს გოშიაა, სინამდვილეში ის ვერაფერს აკონტროლებს, მთელი ძალაუფლება მწვრთნელის ხელშია".* აი, ასე!

### ნადალი: ჟოზეს უსამართლოდ ექცევიან

ცნობილმა ჩოგბურთელმა, ამჟამად მსოფლიოს მე-4 ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** განაცხადა, რომ ჟოზე მოურინიოს „რეალში" ძალიან უსამართლოდ ექცევიან. შეგახსენებთ, რომ ბალეარელი „რეალის" თავგადაკლული ქომაგია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● საპარაუდო ტრანსფერი

# ლორენტე: ივნისში მივდივარ





ბილბაოს „ატლეტიკის" 27 წლის ფორვარდმა **ფერნანდო ლორენტემ**, როგორც იქნა, თქვა, რას აპირებს უახლოეს მომავალში. „მეფე ლომს", როგორც ბასკეთში ლორენტეს ეძახიან, 2013 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს ხელშეკრულება „ბილბაოსთან". ფერნანდო აცხადებს, რომ მეორე დღესვე მისი ფეხი არ იქნება „ბილბაოში". *„მივდივარ, რადგან კარიერაში სხვა ხილიც გავსინჯო, სხვა გამოწვევებსაც შევეჭიდო. საქმე ფულში არაა, რადგან კონტრაქტის განსაახლებლად ძალიან მაგარი პირობები შემომთავაზეს, მაგრამ ვიუარე"*, - განაცხადა ლორენტემ, რომელიც, სავარაუდოდ, „იუვენტუსში" გადავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XVIII ტური.

# ინისიალი ველეს სარსფილდმა მოიგო

**გოდოი კრუსი–კილმესი 0:0**

**კოლონი–არ. ხუნიორსი 3:1**

გოლები: 1:0 ჟიგლიოტი (26), 1:1 ბარსოლა (32-პენ), 2:1 მორენო ი ფაბიანესი (42), 3:1 ჟიგლიოტი (81).

**რასინგი–ოლ ბოისი 3:1**

გოლები: 1:0 ფარინია (22), 2:0 კამორანეზი (29), 2:1 ფ. სანჩესი (51), 3:1 დ. ვილიარი (88).

**ველესი–უნიონი 2:0**

გოლები: 1:0 ფ. ფერეირა (49), 2:0 ფ. ფერეირა (85).

**ბელგრანო–ტიგრე 1:0**

გოლი: 1:0 ს. პერეირა (68).

**რივერი–ლანუსი 1:0**

გოლი: 1:0 მორა (77).

**სან ლორენსო–ინდეპენ. 2:1**

გოლები: 0:1 ო. ფერეირა (9), 1:1 ბიანკი არსე (18), 2:1 ა. რუისი (48).

**არსენალი–ბოკა 1:0**

გოლი: 1:0 სელაია (47).

**ნიუელსი–ატლ. რაფაელა 3:0**

გოლები: 1:0 ფ. მუნიოსი (2), 2:0 ფ. მუნიოსი (47), 3:0 სკოკო (85).

**ესტუდიანტესი–სან მარტინი 2:0**

გოლები: 1:0 აუსკი (81), 2:0 აუსკი (90).

**სარელეგაციო ცხრილი**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. ატლ. რაფაელა | 56 | 70 | 1.250 |
| 16. სან ლორენსო | 94 | 116 | 1.234 |
| 17. სან მარტინი | 56 | 65 | 1.161 |
| 18. ინდეპენდიენტე | 93 | 105 | 1.129 |
| 19. კილმესი | 18 | 18 | 1.000 |
| 20. უნიონი | 56 | 56 | 1.000 |

**2012 წლის ჯამური ცხრილი**

**ლიბერტადორესის საგზურისთვის**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 37 | 21 | 8 | 8 | 54-26 | 71 |
| 2. არსენალი | 37 | 19 | 9 | 9 | 48-37 | 66 |
| 3. ნიუელსი | 37 | 17 | 14 | 6 | 46-29 | 65 |
| 4. ბოკა | 37 | 17 | 12 | 8 | 53-39 | 63 |
| 5. ლანუსი | 37 | 17 | 8 | 12 | 42-28 | 59 |
| ... | | | | | | |
| 14. ტიგრე | 36 | 11 | 14 | 11 | 44-41 | 47 |

2013 წლის კოპა ლიბერტადორესზე ითამაშებენ: "ველეს სარსფილდი" (ტორნეო ინისიალის გამარჯვებული), "არსენალი" (2012 წლის კლაუსურას ჩემპიონი), "ნიუელს ოლდ ბოისი" (ინისიალისა და კლაუსურას გამარჯვებულთა გარდა, ჯამური ცხრილის საუკეთესო გუნდი), "ბოკა ხუნიორსი" (ინისიალისა და კლაუსურას გამარჯვებულთა გარდა, ჯამური ცხრილის მეორე საუკეთესო გუნდი) და "ტიგრე" (2012 წლის კოპა სუდამერიკანას საუკეთესო არგენტინული გუნდი).

შეწყვიტა და არა მარტო ტორნეო ინისიალის მოგების შანსი, არამედ ლიბერტადორესის თასის საგზურიც დაკარგა.

2013 წლის ტორნეო ინისიალს ერთადერთი ინტრიგა შემორჩა: ვინ გახდება საუკეთესო ბომბარდირი. **ფაკუნდო ფერეირამ** მე-18 ტურში დუბლი შეასრულა და გოლების მონაგარი 11-მდე გაზარდა, თუმცა მას არ ჩამორჩა **იგნასიო სკოკო**, რომელმაც მეორე დღეს თავი ერთი გოლით გამოიჩინა და ფერეირას გაუთანაბრდა. ამ დუეტს 8 გოლით **ემანუელ ჟიგლიოტი** მისდევს, მაგრამ მისი შანსები საკმაოდ მცირეა.

მე-18 ტურში მნიშვნელოვანი იყო "სან ლორენსოს" და "ინდეპენდიენტეს" დაპირისპირება, რადგან არგენტინული ფეხბურთის ორი გრანდი ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ამ მატჩის წინ უკეთეს ფორმაში **ხუან ანტონიო პიცის** "სან ლორენსო" იყო და მასპინძელმა ფავორიტის სტატუსი საქმით დაამტკიცა. მართალია, დაწინაურება სტუმრებმა შეძლეს, მაგრამ **ოსმარ ფერეირას** გოლს **ნიკოლას ბიანკი არსემ** და **ალან რუისმა** უპასუხეს. ამ მოგების წყალობით, "სან ლორენსომ" დაუმარცხებელი სერია ხუთ მატჩამდე გაზარდა და გასავარდნ ზონას საკმაოდ დაშორდა. **ვიგო მორტენსენის** საყვარელი გუნდი მართლაც შესანიშნავად ათამაშდა და თუ ასე გააგრძელა, გავარდნის საფრთხე ხომ არ დაემუქრება და გარდა ამისა, ტორნეო ფინალში გამარჯვებისთვისაც იბრძოლებს.





რიკარდო გარეკას გუნდმა ფინალურ მატჩში თამაში გაინაღდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 18 | 12 | 2 | 4 | 28-12 | 38 |
| 2. ლანუსი | 18 | 10 | 3 | 5 | 23-10 | 33 |
| 3. ნიუელსი | 18 | 8 | 9 | 1 | 20-10 | 33 |
| 4. ბელგრანო | 18 | 9 | 6 | 3 | 21-13 | 33 |
| 5. რასინგი | 18 | 9 | 5 | 4 | 25-11 | 32 |
| 6. ბოკა ხუნიორსი | 18 | 8 | 6 | 4 | 23-19 | 30 |
| 7. ესტუდიანტესი | 18 | 8 | 4 | 6 | 19-15 | 28 |
| 8. არსენალი | 18 | 8 | 4 | 6 | 18-22 | 28 |
| 9. რივერ პლეიტი | 18 | 6 | 8 | 4 | 26-16 | 26 |
| 10. კოლონი | 18 | 6 | 7 | 5 | 24-22 | 25 |
| 11. სან ლორენსო | 18 | 6 | 7 | 5 | 20-20 | 25 |
| 12. ოლ ბოისი | 18 | 5 | 6 | 7 | 19-26 | 21 |
| 13. ატლ. რაფაელა | 18 | 5 | 5 | 8 | 20-25 | 20 |
| 14. გოდოი კრუსი | 18 | 5 | 5 | 8 | 12-22 | 20 |
| 15. არ. ხუნიორსი | 18 | 4 | 7 | 7 | 18-26 | 19 |
| 16. კილმესი | 18 | 3 | 9 | 6 | 16-23 | 18 |
| 17. სან მარტინი | 18 | 4 | 5 | 9 | 21-25 | 17 |
| 18. ინდეპენდიენტე | 17 | 3 | 6 | 8 | 13-21 | 15 |
| 19. ტიგრე | 17 | 1 | 8 | 8 | 15-26 | 11 |
| 20. უნიონი | 18 | 0 | 6 | 12 | 15-32 | 6 |

**ბომბარდირები:** 11 – ფ. ფერეირა (ველეს სარსფილდი), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 8 – ჟიგლიოტი (კოლონი); 7 – კაუტერუჩიო (კილემსი), სტრაკვალურსი (სან ლორენსო).

ტორნეო ინისიალის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, მაგრამ უკვე ყველაფერი გარკვეულია – "ველეს სარსფილდმა" ბოლო ტურში აუტსაიდერ "უნიონს" სძლია და იმის გამო, რომ "ლანუსმა" "რივერთან" წააგო, პირველი ადგილი ტურნირის დასრულებამდე გაინაღდა. რიკარდო გარეკას გუნდმა ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მიიღო, სადაც "ველესი" ტორნეო ფინალის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო თუ ეს ტურნირიც მან მოიგო, მაშინ არანაირი ფინალი არ გაიმართება და არგენტინის 2012/13 წლების სეზონის ჩემპიონად "ველეს სარსფილდი" გამოცხადდება.

გაირკვა ლიბერტადორესის თასის ხუთივე მონაწილეც. "ნიუელს ოლდ ბოისმა" საკუთარ მოედანზე "ატლეტიკო რაფაელა" გაანადგურა და 2012 წლის ჯამურ ცხრილში "ლანუსისთვის" მიუწვდომელი გახდა. გილერმო ბაროს შელოტოს "ლანუსმა" "რივერ პლეიტთან" წაგებით 8-მატჩიანი წაუგებელი სერია

მომავალი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი უნდა იყოს "რასინგიც", რომელსაც შეტევაში უნიჭიერესი ფეხბურთელები ჰყავს. 21 წლის **ლუის ფარინია**, 19 წლის **ადრიან სენტურიონი** და 18 წლის **ლუსიანო ვიეტო** ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ. **ლუის სუბელდიას** უნიჭიერესი ახალგაზრდა ფეხბურთელების გარდა, შემადგენლობაში გამოცდილი ვეტერანებიც ჰყავს და ამ ნაზავმა, წესით, გუნდს წარმატება უნდა მოუტანოს. მე-18 ტურში თავი ახალგაზრდებიდან ფარინიამ (გოლი) და ვიეტომ (ორი საგოლე პასი) გამოიჩინეს, ხოლო ვეტერანებიდან მაურო **ხერმან კამორანეზი** (გოლი), **დიეგო ვილიარი** (გოლი) და **ხოსე სანდი** (საგოლე პასი) გამოირჩნენ.

ტორნეო ინისიალის ბოლო ტური 8-9-10 დეკემბერს გაიმართება და არგენტინული ფეხბურთი 10 თებერვლამდე დაგვემშვიდობება – ტორნეო ფინალი სწორედ ამ დღეს დაიწყება.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტურის შეჯამება

# ლონდონში მწვრთნელებს უსტვენდნენ

"მანჩესტერ იუნაიტედმა" მეათედ გაუშვა პირველი გოლი და მეშვიდედ შეძლო ასეთი მატჩის მოგება. თითქოს ერთხელ ჩამორჩენა საკმარისი არ ყოფილიყო და ამჯერად "წითელმა ეშმაკებმა" ორმაგი ე.წ. "ქამბექი" შემოგვთავაზეს. მორიგი მატჩი წააგო "არსენალმა", რის გამოც არსენ ვენგერს საკუთარი ქომაგის სტვენის მოსმენამ მოუწია. გულშემატკივრის კრიტიკას უკვე შეეჩვია რაფაელ ბენიტესი, რომლის გუნდმაც, როგორც იქნა, გოლი გაიტანა, მაგრამ ამჯერადაც ვერ მოიგო, ის კი არა, საერთოდ დამარცხდა. ლი პრობერტის მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა დევიდ მოიესი, ხოლო ორშაბათს "ნიუკასლმა" მსაჯის დახმარებით "უიგანს" სძლია და 4-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

"მადეისკიზე" შეკრებილმა მაყურებელმა საოცარი პირველი ტაიმი, უფრო სწორად, პირველი 34 წუთი იხილა. ამ პერიოდში გუნდებმა ერთმანეთს 7 გოლი გაუტანეს, თანაც ლიდერი ისე ხშირად იცვლებოდა, თითქოს არა ფეხბურთი, არამედ საკალათბურთო მატჩი ყოფილიყო. 34 წუთში ლიდერის ოთხჯერ შეცვლა მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა.


რაფაელ ბენიტესი უკვე დიდ ზეწოლას განიცდის

სერ **ალექს ფერგიუსონი** იმდენად უკმაყოფილო იყო დაცვის მოქმედებით, რომ **რაფაელი** უკვე 31-ე წუთზე შეცვალა, რამაც ბრაზილიელი ისე გააბრაზა, რომ ფერგის ხელი არ ჩამოართვა. მატჩის შემდეგ სერ ალექსს ამ ინციდენტზე არ უსაუბრია, თუმცა დაცვის სუსტი მოქმედება კი გამოჰყო: *"ამ სეზონში ასე ცუდად დაცვაში არ გვითამაშია. ასე გაგრძელება არ შეიძლება, რამე უნდა მოვიმოქმედოთ. საბედნიეროდ, გუნდში მებრძოლი ბიჭები გვყავს, რომლებსაც გუნდის გადარჩენა შეუძლიათ. უეინ რუნიმ საოცარი პირველი ტაიმი ჩაატარა – ის, ვან პერსი და იანგი უბრალოდ ბრწყინავდნენ. შეტევაში ყველაფერი შესანიშნავად იყო, მაგრამ დაცვის თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა"*.

"არსენალს" აშკარად კრიზისი აქვს. 14 ტურის შემდეგ, "მეთოფეებს" 21 ქულა ჰქონდათ, რაც არსენ ვენგერის ეპოქაში ყველაზე ცუდი შედეგი გახლდათ – ამაზე ცუდი სტარტი "არსენალს" ბოლოს 1994 წელს ჰქონდა, როდესაც 14 შეხვედრაში 19 ქულა მოაგროვა. **კასორლა** და კომპანია "სუონსისთან" ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ "არსენალი" ძალიან უნიათოდ უტევდა და **გერჰარდ ტრემელს** პრობლემებს ვერ უქმნიდა, შეხვედრის ბოლოს კი გოლი აქეთ გაუშვა – მატჩის 88-ე წუთზე **მიჩუმ** და **ლუკ მურმა** მარტივი კომბინაცია გაითამაშეს, რასაც ესპანელის გოლი მოჰყვა, ხოლო არბიტრის დამატებულ წუთებზე მიჩუ **შჩესნისთან** პირისპირ დარჩა და დუბლი შეასრულა. საფინალო სასტვენის შემდეგ, მასპინძელთა ქომაგებმა ფეხბურთელებს და **არსენ ვენგერს** ობსტრუქცია მოუწყვეს, რაც ფრანგის ლონდონში ყოფნის პერიოდში არცთუ ისე ხშირად მომხდარა.

ობსტრუქციას და სტვენას მიჩვეულია **რაფაელ ბენიტესი**, რომლის გათავისუფლებასაც "ჩელსის" ქომაგები მისი დანიშვნის დღიდან ითხოვენ. რაფას გუნდმა პირველ ორ შეხვედრაში გოლი ვერ გაიტანა, რამაც ქომაგების განწყობა კიდევ უფრო ნეგატიური გახადა. "არისტოკრატების" მწვრთნელის რანგში მესამე შეხვედრა ესპანელს "ვესტ ჰემთან" ჰქონდა და ამჯერად მისმა გუნდმა გოლი კი გაიტანა (**ხუან მატა**), მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა და ლიდერ "მანჩესტერ იუნაიტედს" უკვე 13 ქულით ჩამორჩა. **რომან აბრამოვიჩის** მოსვლის შემდეგ (2003 წელს), "ჩელსის" 15 თამაშიდან ასე ცოტა ქულა არასდროს ჰქონია და გარდა ამისა, ამავე პერიოდში გუნდმა 7-მატჩიანი მოუგებელი სერიაც პირველად "გამოაცხო". შეხვედრის დასრულების შემდეგ, "ბოლეინ გრაუნდზე" შეკრებილმა "ჩელსის" გულშემატკივრებმა ბენიტესის წასვლა კიდევ ერთხელ მოითხოვეს.

**მარუან ფელაინი** შესანიშნავ სეზონს ატარებს. ბელგიელმა "მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში ყველაფერი გააკეთა: გოლიც გაიტანა, აქტიურიც იყო და პენალტიც მოიპოვა, ოღონდ ამჯერად ბელგიელს თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა, რადგან 11-მეტრიანი მისი გუნდის კარში დაინიშნა. იმ მომენტში "სიტი" კუთხურს აწვდიდა, საჯარიმოში კი ფელაინი **ედინ ჯეკოს** მეურვეობდა. საბოლოოდ ეპიზოდი ჯეკოს დაცემით და **ლი პრობერტის** სასტვენით დასრულდა. პენალტი **კარლოს ტევესმა** გამოიყენა და ამ გოლის წყალობით მატჩი ფრედ დამთავრდა. სხვათა შორის, "სიტიმ" და "ევერტონმა" მანჩესტერში პირველად ითამაშეს ფრედ, აქამდე პრემიერლიგის შეხვედრებში ან მასპინძლები იგებდნენ, ან სტუმრები. **დევიდ მოიესი**, რომელსაც **მანჩინი** 6 შეხვედრიდან 5-ში ჰყავდა დამარცხებული, არბიტრის მოქმედებით უკმაყოფილო დარჩა: *"არ მინდა ისე გამოვიდეს, თითქოს გუნდის წარუმატებლობას მსაჯს ვაბრალებ, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ეპიზოდში ორი, თითქმის ორმეტრიანი მოთამაშე იბრძოდა ბურთისთვის, რაც ერთ-ერთის დაცემით დასრულდა. არა მგონია, რომ იმ სიტუაციაში პენალტი უნდა დანიშნულიყო"* – საკმაოდ რბილად გამოხატა თავისი აღშფოთება 49 წლის შოტლანდიელმა.

შესანიშნავ ფორმაშია "სტოკ სიტი", რომელმაც ბოლო 5 შეხვედრაში 13 ქულა მოაგროვა და ამ მხრივ მთელ პრემიერლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. **ტონი პულისის** შეგირდებმა სეზონის მთავარი სენსაცია, "ვესტ ბრომვიჩი" დაამარცხეს, თანაც იმ დროს, როდესაც უელსელ სპეციალისტს **პიტერ კრაუჩი**, **მაიკლ ოუენი** და **კამერონ ჯერომი** არ ჰყავდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **დინ უაიტჰედმა** გაიტანა, რომელიც უფრო უხეშობით არის გამორჩეული, ვიდრე გოლების გატანით.

როგორც იქნა, გამარჯვება მოიპოვა "ნიუკასლმა", რომელმაც ზედიზედ 4 წაგების შემდეგ შინ "უიგანი" დაამარცხა. ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა **დემბა ბამ**, ერთი გოლი კი ახალგაზრდა ბურუნდელმა **გაელ ბიგირიმანამ** გაიტანა. მატჩის საბოლოო შედეგი დიდწილად 12-ე წუთზე დანიშნულმა მეტად საეჭვო პენალტმა განსაზღვრა, რომელსაც **მეინორ ფიგეროას** გაძევებაც მოჰყვა. 11-მეტრიანი ბამ გოლად აქცია და ამის შემდეგ **ალან პარდიუს** შეგირდებს 10-კაციანი "უიგანის" დამარცხება აღარ გასჭირვებიათ.

### ბომბარდირები

10 – რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლუის სუარესი (ლივერპული), მიჩუ (სუონსი), დემბა ბა (ნიუკასლი);
9 – ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი);
8 – მარუან ფელაინი (ევერტონი);
7 – კარლოს ტევესი (მანჩესტერ სიტი);
6 – გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი), რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი), სტივენ ფლეტჩერი (სანდერლენდი);

### ასისტენტები

7 – უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი);
6 – ხუან მატა (ჩელსი);
5 – ედენ აზარი (ჩელსი), ბრაიან რუისი (ფულჰემი);

### გოლი + პასი

14 – რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი) – 10+4;
12 – ლუის სუარესი (ლივერპული) – 10+2;
11 – მიჩუ (სუონსი) – 10+1, ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი) – 9+2, მარუან ფელაინი (ევერტონი) – 8+3, კარლოს ტევესი (მანჩესტერ სიტი) – 7+4, ხუან მატა (ჩელსი) – 5+6, უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) – 4+7;

### გაფრთხილებები

6 – დინ უაიტჰედი (სტოკი), კრეიგ გარდნერი (სანდერლენდი), ახნელ რანხელი (სუონსი), მარკ ნობლი (ვესტ ჰემი).

სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი)
2. მარუან ფელაინი (ევერტონი)
3. კარლოს ტევესი (მანჩესტერ სიტი)
4. ლეიტონ ბეინსი (ევერტონი)
5. მიჩუ (სუონსი)

### ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის

149 მატჩი
100 მოგება
49 ფრე
74 მშრალად შენახული კარი
412 გოლი
2.76 საშუალო შედეგიანობა
18 ავტოგოლი
2111 ზუსტი დარტყმა კარში
1675 აცილება
450 ფეხბურთელი
295 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
3 ჰეთთრიკი
33 დუბლი
454 ყვითელი ბარათი
22 წითელი ბარათი
5 286 558 ფანი ტრიბუნებზე

### ტურის გმირი

XV ტურის საუკეთესო მოთამაშედ მიჩუ უნდა დავასახელოთ, რომელმაც "ემირეტსზე" დუბლი შეასრულა და საკუთარ გუნდს მოულოდნელი გამარჯვება მოუტანა. ესპანელმა ფეხბურთელმა, რომელშიც უელსელებმა "რაიო ვალეკანოს" მხოლოდ 2 მილიონი ევრო გადაუხადეს, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და ბომბარდირთა დავაში ლიდერებს გაუთანაბრდა. განსაკუთრებით ლამაზი მიჩუს პირველი გოლი იყო, როდესაც მარცხენა ფეხით ვოიცეხ შჩესნის შორეული კუთხე დალაშქრა.

### ტურის მწვრთნელი

აქაც "სუონსის" წარმომადგენელი უნდა გამოვარჩიოთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა გუნდმა "არსენალს" სტუმრად მოუგო – ლეგენდარული **მიქაელ ლაუდრუპის** კრებული შესანიშნავად ათამაშდა და უკანასკნელ ექვს დღეში 7 ქულა აიღო, თანაც უელსელთა მეტოქეები "ლივერპული", "არსენალი" და ამ სეზონის მთავარი სენსაცია "ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" იყვნენ.

### მომდევნო ტური

**8 დეკემბერი: არსენალი-ვესტ ბრომვიჩი, ასტონ ვილა-სტოკი, საუთჰემპტონი-რედინგი, სანდერლენდი-ჩელსი, სუონსი-ნორვიჩი, უიგანი-ქუინზ პარკი.**

**9 დეკემბერი: მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი, ევერტონი-ტოტენჰემი, ვესტ ჰემი-ლივერპული, ფულჰემი-ნიუკასლი.**

**ტატო ბაციკაძე**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




იუვენტუსი

# ვერატი იუვეს სამიზნეში

## ტრეზეგე ბევრ ქალბატონზე ფიქრობს

**სერია A-ში მალე საშობაო შესვენება გამოცხადდება და სატრანსფერო ფანჯარაც გაიხსნება, ბუნებრივია, იტალიური სპორტული პრესის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა სწორედ ტრანსფერებია და ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას "იუვენტუსი" იმსახურებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "ვეკია სენიორა" ლიდერობს ჩემპიონატს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც იასპარეზებს.**

### ვერატი ტურინელთა სამიზნეში

**მარკო ვერატის** გადაბირება ტურინელებს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდათ, მაგრამ 20 წლის ნახევარმცველმა ფრანგულ პსჟ-ს მიაშურა. პარიზელებმა უფრო მეტი გადაუხადეს "პესკარას" და თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა უცხოური გამოცდილების მიღების სურვილი. მით უმეტეს, საფრანგეთში მარკოს უცხოდ არასდროს უგრძნია თავი, რადგან იქ თანამემამულე **კარლო ანჩელოტის** ინიციატივით გადაბარგდა. ვერატიმ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავს მშვიდად ვერ გრძნობს, რისი მიზეზიც ნამდვილად აქვს...

საქმე იმაშია, რომ პარიზულ გუნდში კარლო ანჩელოტის შერყა პოზიციები და ბოლო ინფორმაციით, ზამთარში პოსტის დატოვება მოუწევს. ამაზე ფრანგულ პრესაში თამამად საუბრობენ და არც კლუბის მესვეურები უარყოფენ, რომ აღნიშნული საკითხი განიხილება. ორიოდე დღის წინ, ისიც გაცხადდა, რომ ფრანგებმა მოლაპარაკება **პეპ გვარდიოლასთან** წამოიწყეს, რომელიც წინადადებების განხილვაშია. ანჩელოტის შესაძლო გათავისუფლების თემამ, მარკო ვერატი შეაშფოთა, რადგან კარგად ესმის, რომ ახალი მწვრთნელის ხელში ძირითად შემადგენლობაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ფაქტია, ვერატი ანჩელოტის სხვებისგან გამორჩეული ჰყავს და ამის შესახებ ფრანგული პრესაც ხშირად იწერება. რაც მთავარია, აღნიშნულ საკითხზე თვითონ მარკომ გააკეთა კომენტარი:

*"ანჩელოტი თავის საქმეს შესანიშნავად ასრულებს და იმედი მაქვს, რომ კიდევ დიდხანს იქნება პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი. მასთან მუშაობა ერთ რამედ ღირს და არ დავმალავ, რომ დიდწილად სწორედ მის გამო გადმოვბარგდი საფრანგეთში. თუ კარლო წავა, დიდია შანსი, რომ გუნდის გამოცვლაზე მეც დავფიქრდე"*.

### ტრეზეგეს ხრიკი

ახალი არ არის, რომ "იუვენტუსის" "აქილევსის ქუსლად" ექსტრაკლასის ცენტრფორვარდის არყოლა მიიჩნევა. ტურინული გრანდი ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული გუნდია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი ისეთი ფორვარდი არ ჰყავს, რომელიც გოლებს სტაბილურად გაიტანს. როგორც ჩანს, ამ ვითარების გამოყენება მოისურვა **დავიდ ტრეზეგემ** და იტალიურ სპორტულ პრესას ისეთი კომენტარი მისცა, რომლის ქვეტექსტის გაშიფრვა არცთუ რთული საქმეა... 35 წლის ფრანგი ფორვარდი ამჟამად არგენტინაში ასპარეზობს და "რივერ პლეიტის" ღირსებას იცავს, თუმცა კარიერის საუკეთესო წლები სწორედ "ბიანკონერიში" აქვს გატარებული. აი, რა განუცხადა "კორიერე დელო სპორტს" ტრეზეგემ:

*"ტურინში რომ ცენტრფორვარდის პრობლემა აქვთ, ეს გასაგებია და ამის შესახებ ყველა ლაპარაკობს. ვიცი, რომ "იუვეს" მესვეურები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ამ პრობლემის მოგვარებას აპირებენ. გავიგე იმის შესახებაც, რომ ჩემით არიან დაინტერესებულნი და სურთ, ამ თემაზე არგენტინელ კოლეგებს გაესაუბრონ. ბუენოს აირესში თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ და სიმართლე გითხრათ, აქედან აბარგების სურვილი არ მაქვს. თუმცა, თუ საინტერესო წინადადება იქნება, აუცილებლად დავფიქრდები. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები"*.

**ლაშა წიკლაური**



მარკო ვერატი

ესპანეთი. ლა ლიგა. XIV ტურის შეჯამება

# პროვოკატორი, ჩხუბისთავი, სკანდალური და პროფესიონალი



ჟოზე მოურინიო სეზონის ბოლოს მიდის?

**მოურინიო**, მოურინიო, მოურინიო... ყველგან მოურინიო! ეს კაცი, რალაც მანქანებით, ახერხებს მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნას მაშინაც კი, როცა სხვა ჩემპიონატის ყველა დროის რეკორდს ამხობს. და მაინც, რა მოიმოქმედა პორტუგალიელმა სპეციალისტმა ამ უქმეებზე?

დერბის დაწყებამდე 40 წუთით ადრე ის იმ ტრიბუნასთან მიიჭრა, სადაც მისი მოწინააღმდეგე ფანები სხედან და მოსთხოვა მხარდაჭერა (მერე თქვა, გუნდის მხარდაჭერა მოვთხოვე, ჩემი კი არაო), რითაც ისინი უკიდურესად გაალიზიანა. „ატლეტიკოს" ისე მოუგო, რომ კითხვა არავის გასჩენია, თუმცა თამაშისას წაეჩხუბა დიეგო სიმეონეს ასისტენტს. შემდეგ გადაწვა ყველა ხიდი (როგორც, „მარკა" წერს) პრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან მისასვლელი და ამით მადრიდულ კარიერას კითხვის ნიშანი დაუსვა. ასეთია მოურინიო, სკანდალური, მაგრამ საქმის ზედმიწევნით მცოდნე პროფესიონალი...

პორტუგალიელის თემამ გადაფარა „ვალენსიაში" მომხდარი ინციდენტი, როცა ბასკებთან 2:5-ის წაგების შემდეგ ფანებმა კლუბის ოფისის შუშები ჩაამსხვრიეს და რასაც მალე მაურისიო პელეგრინოს გაგდება მოჰყვა. დღეიდან „ღამურებს" ერნესტო ვალვერდე წვრთნის.

მართლაც, საოცრად გამოიყურება ლა ლიგის ცხრილის ქვედა ნახევარი: „სევილია", „ვალენსია", „დეპორტივო", „ესპანიოლი"... წესით, ამ გუნდებს იქ რა უნდა ესაქმებოდეს, მაგრამ რეალობა ასეთია.

## შენ მე ტიტო ხომ არ გგონივარ, თავს მოგაძრობ, ბიჭო!

ფაბრიკაცია არ გეგონოთ - „ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, ზუსტად ასე მიმართა **ჟოზე მოურინიომ** დერბის მსვლელობისას **დიეგო სიმეონეს** ასისტენტმა. კამათის ეპიზოდი გულშემატკივარმა პირდაპირ ეთერშიც იხილა. **ხერმან „ელ მონო" ბურგოსი** „ატლეტიკოში" მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს. არგენტინის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი ბევრს ემახსოვრება, მან კარიერა „ატლეტიკოში" დაასრულა და ახლა დიეგო სიმეონეს თანაშემწეა. მებრძოლი ხასიათის მეკარემ კიბო დაამარცხა და კიდევ ერთი სეზონი შეძლო თამაში, ის ცნობილი მუსიკოსია, როკჯგუფის წევრი. „ელ მონო" კი მაიმუნს ნიშნავს. მოკლედ, ჟოზეს არ გაუმართლა, რომ მას წაეკინკლავა.

მოურინიო აპროტესტებდა, რომ „ატლეტიკოს" ტექნიკურ ზონაში ორი კაცი იდგა, და არგენტინელმაც პორტუგალიელს შეუტია. როცა პრესკონფერენციაზე მოურინიოს ამ ეპიზოდზე დაეკითხნენ, აგდებული პასუხი მიიღეს: „ბურგოსი? ვინ? არ ვიცნობ ასეთს".

## 96 მეტრი 10 წამში!

გახდებოდა თუ არა **კრიშტიანო რონალდო** საქართველოს ჩემპიონი? რა კითხვაა ახლა ეს: პორტუგალიელი, აუტსაიდერ ფოთის „კოლხეთშიც" რომ ჩაირიცხოს, ალბათ, შეძლებს ამას (თუკი თეორიულად შესაძლებელია), თუმცა ჩვენ სპორტის სხვა სახეობა გვაინტერესებს, გახდება თუ არა რონალდო საქართველოს ჩემპიონი... 100 მეტრზე სირბილში?

ერთ ეპიზოდში „ატლეტიკო" უტევდა (კუთხურს აწოდებდა), რონალდოც **კასილიასთან** იდგა, როცა ბურთი „რეალმა" ჩაჭრა და შეუტია, კრიშტიანომ 96 მეტრი 10 წამში გაირბინა (!) და დარტყმაც შეძლო (ბურთი ძელმა აისხლიტა).

## ბარსა-რეალობა

საოცარია, მაგრამ გუნდი, რომელმაც ლა ლიგის ყველა დროის საუკეთესო სტარტი (40 ქულა 14 ტურში) გვაჩუქა და მწვრთნელი, რომელიც ამ ყველაფრის შემოქმედია - ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ მაინც ჩრდილში მოექცა. მადრიდულმა ამბებმა და ვალენსიურმა ინციდენტმა გადაწონა.

„ბარსელონამ" „ბილბაო" 5:1 გაანადგურა, ბევრის თქმით, ეს ამ გუნდის საუკეთესო მატჩი იყო სეზონში. საუკეთესო სეზონის საუკეთესო მატჩი? ალბათ, უნაკლოს უნდა ნიშნავდეს. პრინციპში, **ანდრეს ინიესტას** (რომლისთვისაც ეს მე-500 მატჩი იყო) და **ლეო მესის** (350-ე მატჩი) თამაშმა კი დატოვა ასეთი შთაბეჭდილება. რა ხდება კიდევ საინტერესო „ბარსელონაში", **დავიდ „ელ გუახე" ვილია** იუბილარია, მესის **გერდ მიულერის** რეკორდამდე 1 გოლიღა აკლია, ხოლო **ერიკ აბიდალმა** ვარჯიში დაიწყო!

„რეალმა" კრიშტიანო რონალდოს წყალობით ულაპარაკოდ აჯობა კარის მეზობელს და „ბარსელონას" კონკურენტი ჩამოუცილა.

## მესი ვს რონი

**ლიონელ მესიმ** „ბილბაოსთან" 5:1 მოგებულ მატჩში დუბლი შეასრულა (ერთი გოლი საეჭვო იყო, წესით, ამორებიეტას ავტოგოლად უნდა გაფორმებულიყო, „მარკა" არც უთვლის).

**კრიშტიანო რონალდომ** „ატლეტიკოსთან" 2:0 მოგებულ მატჩში გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

დუელში ვერც ერთს ვერ გამოვყოფთ - 1:1 და 10:7 „ტურნირში" არგენტინელის სასარგებლოდ.

## ტურის ფრაზები

**ხოსე ლუის მენდილიბარი**: *„ხემესს უკვე ვუთხარი, რომ მისმა გუნდმა იმაზე მეტი დაიმსახურა, რაც მიიღო"*, - „ოსასუნას" თავკაცი „რაიო ვალეკანოსთან" 1:0 გამარჯვების შემდეგ.

**პაკო ხემესი**: *„ჩემმა გუნდმა სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა"*, - „ელჩების" მწვრთნელი „ოსასუნასთან" 0:1 მარცხის მერე.

**მანუელ პელეგრინი**: *„ჩვენ წავაგეთ მატჩი, რომლის 90 წუთში მეტოქემ კარში ერთხელ დაარტყა"*, - „მალაგას" ჩილელი თავკაცი „ხეტაფესთან" მარცხზე.

**მაურისიო პელეგრინო**: *„ჩემი გადაყენება დიდი უსამართლობაა"*, - „ვალენსიას" ექსთავკაცი.

**მარსელო ბიელსა**: *„ბურთის ყოველ დაკარგვაზე ჩვენს კართან ხიფათი იქმნებოდა"*, - „ბილბაოს" მწვრთნელი „ბარსელონასთან" მატჩის მერე.

**პეპე მელი**: *„ახლა მხოლოდ „ბარსაზე" ვფიქრობ"*, - „ბეტისის" თავკაცი.

**პაკო ერერა**: *„რა ვქნა, ამაზე მეტს გუნდს ვერ მოვთხოვ"*, - „სელტას" მწვრთნელი „ლევანტესთან" 1:1 დასრულებული მატჩის მერე.

**მიჩელი**: *„რეალისტები უნდა ვიყოთ და კარგად გავაცნობიეროთ, სად ვართ ახლა"*, - „სევილიას" მესაჭე „ვალიადოლიდთან" მარცხის მერე.




**ტურის მსხვერპლ(ნ)ი**

**სისი (ოსასუნა)**

ნავარელთა ნახევარმცველმა მარჯვენა მუხლის მყესები გაიწყვიტა და 6-8 თვე დასვენება მოუწევს.

**ტურის საუკეთესო გოლი**

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი) „ატლეტიკოს" კარში

**ტურის საუკეთესო პასი**

**დავიდ ზურუტუზა** („რეალ სოსიედადი") საგოლე პასი **ალბერტო დე ლა ბელას**.

**ტურის სტატისტიკა**

29 გოლი ტურში (2,9 მატჩში). 4 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა და 3 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 57 ყვითელი ბარათი, 4 წითელი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: არავინ

დუბლი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **რიკი** (დეპორტივო), **რობერტო სოლდადო** (ვალენსია), **რუბენ კასტრო** (ბეტისი).

**ვიქტორ კასადესუსმა** (მალიორკა) ვერ გაიტანა პენალტი „სარაგოსას" კარში.

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხოსე როდრიგესი** (რეალი, 17 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: 79 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ"

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 7 700 - „ონო ესტადი"

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 23 - გრანადა

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 12 - რეალ სოსიედადი

ყველაზე მეტი ჯარიმა: 23 - ატლეტიკო

ყველაზე მეტი კუთხური: 12 - დეპორტივო

ყველაზე მეტი თამაშგარე: 5 - მალიორკა

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 73% - მალიორკა

**მომდევნო ტური**

7 დეკემბერი: ესპანიოლი-სევილია.

8 დეკემბერი: რეალ სოსიედადი-ხეტაფე, მალაგა-გრანადა, ვალიადოლიდი-რეალი, ოსასუნა-ვალენსია.

9 დეკემბერი: ლევანტე-მალიორკა, ბილბაო-სელტა, ატლეტიკო-დეპორტივო, ბეტისი-ბარსელონა.

10 დეკემბერი: რაიო ვალეკანო-სარაგოსა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**მე-12 ფეხბურთელი**

**კარლოს ველა (სოსიედადი)**

14 ტურში მესი მე-10-ედ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში! მაშინ, როცა კრიშტიანო რონალდო რჩეულთა შორის „მხოლოდ" მეხუთედაა, თანაც 4-ტურიანი შესვენების შემდეგ პირველად.

**ტურის გმირი**



**ჯოელ კემპბელი (ბეტისი)**

კოსტარიკელი ფორვარდის გოლმა „რიასორზე" ჩატარებული მატჩის ბედი გადაწყვიტა, ხოლო „ბეტისი" მე-4 ადგილზე გადაიყვანა.

**ბომბარდირები**

21 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
13 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
11 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**ასისტენტები**

9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
6 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)

**გოლი+პასი**

26 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
15 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
14 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

## VII ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

**A ჯგუფი**

**პსჟ-პორტუ 2:[illegible]**

**გოლები:** 1:0 ტიაგო სილვა (28), 1:1 ჯეკსონი (32), [illegible] ლავეცი (61)

**პსჟ (4-1-2-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, [illegible] გო სილვა, მაქსველი - მატუიდი - შანტომი, პასტორე [illegible] ნენე) - მენეზი (86. ჟალე), იბრაჰიმოვიჩი, ლავეცი (77. [illegible] რატი).

**პორტუ (4-1-2-2-1):** ელტონი - დანილო, ოტამე[illegible] მანგალა, ალექს სანდრო (86. ალექს სანდრო) - ფერ[illegible] დო (70. დეფური) - ლუჩო გონსალესი, ჟოაო მოუტი[illegible] ჯეიმსი, ვარელა (85. აცუ) - ჯეკსონი.

**გაფრთხილება:** ლავეცი, ტიაგო სილვა, ალე[illegible] ოტამენდი, ჯეიმსი, დანილო, მანგალა

**კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** [illegible] **კარში დარტყმა:** 17(6)-12(4); **ბურთის ფლობა:** 50%-[illegible]

**მაყურებელი:** 35 000

**დინამო (ზ)-დინამო (კ) 1:[illegible]**

**გოლები:** 0:1 იარმოლენკო (45+1), 1:1 კრსტანო[illegible] (93-პენ)

**დინამო /ზ/ (4-2-3-1):** კელავა - ვრსალკო, ვიდა[illegible] მუნიჩი, იბანიესი - ადემი, კოვაჩიჩი - ბროზოვიჩი (71. [illegible] ვარიჩი), სამირი, კოპი (60. კრსტანოვიჩი) - ბეჩირაი.

**დინამო /კ/ (4-2-3-1):** კოვალი - ბეტაო, ვუკოიე[illegible] მიხალიკი, ტაიო - გარმაში, მიგელ ველოზო - იარმოლ[illegible] კო, არუნა (92. ბოჰდანოვი), დუდუ (83. მეჰმედი) - [illegible] (76. მარკო რუბენი).

**გაფრთხილება:** ვიდა, ბროზოვიჩი - დუდუ, იარ[illegible] ლენკო

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 1-5; [illegible] **კარში დარტყმა:** 18(5)-4(1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 5 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 6 | 5 | 0 | 1 | 14-3 |
| 2. პორტუ | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 |
| 3. დინამო (კ) | 6 | 1 | 2 | 3 | 6-10 |
| 4. დინამო (ზ) | 6 | 0 | 1 | 5 | 1-14 |

**C ჯგუფი**

**მილანი-ზენიტი 0:1**

**გოლი:** 0:1 დანი (35)

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - დე სილიო, საპატა, აკერბი, მესბა (65. რობინიო) - ფლამინი (80. ელ შაარავი), ამბროზინი, ემანუელსონი - კრკიჩი (90. პეტანია) - პაცინი, ბოატენგი.

**ზენიტი (4-1-2-3):** მალაფეევი - ანიუკოვი, ბ. ალვეში, ლომბაერტსი, ჰუბოკანი - დენისოვი - ვიტსელი, შიროკოვი (88. კანუნიკოვი) - სემაკი (90. ლუმბი), ჰალკი (79. ზირიანოვი), დანი.

**გაფრთხილება:** ფლამინი, რობინიო - ლომბაერტსი, ჰალკი, ალვეში

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 16-5 (3-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 29 500

**მალაგა-ანდერლეხტი 2:2**

**გოლები:** 1:0 დუდა (45), 1:1 იოვანოვიჩი (51), 2:1 დუდა (61), 2:2 მბოკანი (89)

**მალაგა (4-4-2):** კამენი - ს. სანჩესი, ონიევუ, ველინგტონი (54. გამესი), ელიზეუ - სება ფერნანდესი, ტულალანი (17. ნაჩო კამაჩო), იტურა, დუდა (80. პორტილიო) - ბუონანოტე, სანტა კრუსი.

**ანდერლეხტი (4-2-3-1):** პროტო - საფარი, კუიატი, დეშახტი, ჟილე - ბილია, კლიესტანი - ბრუნო, პრაეტი (71. დე სუტერი), იოვანოვიჩი (85. რ. ვარგასი) - მბოკანი.

**გაფრთხილება:** დუდა - კლიესტანი, საფარი, მბოკანი

**კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 11-8 (5-8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 6 | 3 | 3 | 0 | 12-5 | 12 |
| 2. მილანი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 3. ზენიტი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 4. ანდერლეხტი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 5 |



[illegible]უნდმა სიტის იულიან შიბერის (მარჯვენივ) გოლით მოუგო

**B ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი-არსენალი 2:[illegible]**

**გოლები:** 0:1 როსიცკი (38), 1:1 მანიატისი (64), [illegible] მიტროღლუ (73)

**ოლიმპიაკოსი (4-1-2-2-1):** კეროლი - დიაკიტე, [illegible] ლასი, კონტრერასი, ტოროსიდისი - მანიატისი - პ[illegible] მაჩადო, ფეისა (60. დავიდ ფუსტერი) - აბდუნი (72. [illegible] როღლუ), გრეკო - ჯებური (82. იბაგასა).

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - ჯენკინსონი, სკილაჩი, [illegible] მაელენი, მეადე (83. ანგა) - კოკელინი, რემსი - ოქსლეიდ[illegible] ბერლეინი, როსიცკი (46. არშავინი), ჟერვინიო - შამახი

**გაფრთხილება:** ფეისა - კოკელინი, შჩესნი, სკი[illegible] შამახი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 2-3; [illegible] **კარში დარტყმა:** 15(9)-6(3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 22 000

**მონპელიე-შალკე 1:[illegible]**

**გოლები:** 0:1 ჰიოვედესი (56), 1:1 ერერა (59)

**მონპელიე (4-2-3-1):** ლიგალი - კონგრე, იანგა-[illegible] ჰილტონი, ბედიმო - სტამბული (46. პიტაუ), ესტრადა[illegible] ნიე (67. ბელჰანდა), კაბელა, კამარა (67. უტაკა) - ერე[illegible]

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვე[illegible] მეტცელდერი, კოლასინაცი - ბარნეტა (72. ჯონს[illegible] იშტედტერი - პუკი (84. ობასი), ჰოლტბი, დრაქსლ[illegible] მარიკა (77. პუნტელაარი).

**გაფრთხილება:** ჰილტონი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 3-5; [illegible] **კარში დარტყმა:** 20(10)-8(1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 23 142

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 6 | 3 | 3 | 0 | 10-6 |
| 2. არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-9 |
| 4. მონპელიე | 6 | 0 | 2 | 4 | 6-12 |

**გოტფრიდ ლენცი**

**D ჯგუფი**

**ბორუსია (დ)-მანჩესტერ სიტი 1:0**

**გოლი:** 1:0 შიბერი (57)

**ბორუსია (4-3-3):** ვაიდენფელერი - კირხი (88. ბეტანკური), ჰუმელსი, სანტანა, შმელცერი - გროსკროიტცი, გიუნდოგანი, ლაიტნერი - როისი (46. ბლაშჩიკოვსკი); შიბერი (77. ლევანდოვსკი), პერიშიჩი.

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - მაიკონი, კომპანი, ლესკოტი, ნასტასიჩი - ბერი, ხ. გარსია - ნასრი (68. საბალეტა), ტევესი, სინკლერი (57. აგუერო) - ჯეკო (65. ბალოტელი).

**გაფრთხილება:** გარსია, ლესკოტი, ბალოტელი

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 7-10; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 14-5 (9-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 65 800

**რეალი-აიაქსი 4:1**

**გოლები:** 1:0 რონალდო (13), 2:0 კალეხონი (28), 3:0 კაკა (49), 3:1 ბოერიხტერი (59), 4:1 კალეხონი (88)

**რეალი (4-2-3-1):** ადანი - ნაჩო, რ. კარვალიო, ვარანი, ფ. კოენტრაო (23. პეპე) - ხედირა, მოდრიჩი - კალეხონი, კაკა (72. ხოსე როდრიგესი), რონალდო - ბენზემა (80. მორატა).

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი - ვან რინი, ალდერვაილერდი, მოისანდერი, ბლინდი - ს. დე იონგი, პოულსენი (40. შონი), ერიქსენი - ბოერიხტერი, ჰოსენი (77. ენო), ფიშერი (77. სანა).

**გაფრთხილება:** რ. კარვალიო, რონალდო

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 9-15; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 14-9 (11-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 57 200

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| 2. რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-9 | 11 |
| 3. აიაქსი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-16 | 4 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 6 | 0 | 3 | 3 | 7-11 | 3 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






# ფარაონი ახალ ცხოვრებას იწყებს

სტეფან ელ შაარავის შეუძლია, სილვიო ბერლუსკონის ფლირტის თანამედროვე საშუალებები გააცნოს

**„მილანის" ახალგაზრდა ვარსკვლავ სტეფან ელ შაარავის გოგონების ისეთი რიგი უდგას, თვით სილვიო ბერლუსკონისაც რომ შეშურდება; სერ ალექსმა დაცვას თუ არ მიხედა, „იუნაიტედი" ვერ გაფრინდება; „ვესტ ბრომვიჩის" ფეხბურთელმა ინგლისი გაანაწყენა; ჩიჩარიტო მექსიკაში დანაშაულის ფაქტების შემცირების გარანტია...**

**იტალია**

## ნამდვილი იუვენტინოები

საყვარელი გუნდის ფორმით დერბის გმირობაზე ნებისმიერი ბავშვი ოცნებობს. გასულ უქმეებზე **კლაუდიო მარკიზიოს** და **სებასტიან ჯოვინკოს** ეს ოცნება აუხდათ. 185-ე ტურინული დერბი „იუვენტუსმა" 3:0 მოიგო - ორი გოლი მარკიზიოს ანგარიშზეა, ერთი - ჯოვინკოსი. ორივე ტურინელია, ორივემ „იუვეს" ყველა ასაკობრივ გუნდში ითამაშა.

*„აღარ გავიგონო საუბრები იმის შესახებ, რომ იტალიაში ტალანტები აღარ ვითარდებიან,"* - დასჭექა მატჩის შემდეგ მარკიზიომ. სხვა კლუბების რა გითხრათ, „იუვე" კი ამ მხრივ მართლაც საუკეთესო და ყველა იტალიური კლუბისთვის მისაბაძია. „ბებერი ქალბატონი" ბავშვთა ფეხბურთში ყოველწლიურად 6 მილიონ ევროს ხარჯავს (ყველაზე მეტს იტალიაში) და შედეგიც სახეზეა: დღესდღეობით „იუვეს" 50 ოცწლამდელი ფეხბურთელი სხვადასხვა კლუბში, სათამაშო პრაქტიკის მისაღებად ჰყავს განათხოვრებული...

## ელ შაარავიმ ცხოვრებას გემო გაუგო

მთლად ნაღდი მილანელი არ არის, მაგრამ მილანელ ფანებს უკვე არანაკლებ უყვართ **სტეფან ელ შაარავი**, რომელიც გენუის სიახლოვეს, სავონაშია დაბადებული. კაიროელი ფსიქოლოგის ვაჟი ბავშვობაში „მილანის" ფანი კაკას გამო გახდა და თუ „როსონერის" ტიფოზები ერთ დროს Siam venuti fin qua per vedere segnare Kaka-ს მღეროდნენ, დღეს ეს ამ სიმღერას („აქ იმიტომ მოვედით, რომ კაკას გოლები ვნახოთ") უკვე ელ შაარავის უმღერიან, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან „ფარაონმა" 15 მატჩში 12 გოლის გატანა შეძლო, რაც **ანდრეი შევჩენკოზე** ოდნავ უარესი, **მარკო ვან ბასტენის** იდენტური და **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** უკეთესი შედეგია.

*„იბრა გენიალური ფეხბურთელია, მაგრამ მასთან ერთად თამაში მიჭირდა. იცით, როგორი ტიპია? ბურთი ეგრევე უნდა მისცე და თუ ამას არ გააკეთებ, ცოცხალ-მკვდარს გაგინებს,"* - უთხრა ელ შაარავიმ ამას წინათ ჩვენს იტალიელ კოლეგებს და ფაქტია, რომ შვედ გოლეადორს არ მისტირის. მას მერე, რაც იბრა „მილანიდან" წავიდა, ელ შაარავის საქმეები იდეალურად წაუვიდა. ცოტა ხნის წინ მართვის მოწმობაც აიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ თანაგუნდელი **ლუკა ანტონინი** ამიერიდან აღარ იქნება ვალდებული, დილაობით გაუაროს და მილანელოზე მიიყვანოს ხოლმე. გარდა ამისა, „როსონერის" შეფებმა ელ შაარავის ხელფასი 900 000 ევრომდე გაუზარდეს და ახლა უკვე თამამად შეუძლია, უახლოეს მეგობრებთან, **ალეშანდრე პატოსთან** და **კევინ-პრინს ბოატენგთან** ერთად გვარიანად გაერთოს ხოლმე.

ამ ყველაფერთან ერთად, „ფარაონმა" კიდევ ერთი რამ აღმოაჩინა: *„შევამჩნიე, რომ რაც დრო გადის, გოგონები უფრო და უფრო სექსუალურ მამაკაცად მიმიჩნევენ, რაც ძალიან მომწონს. საკმარისია, სოციალურ ქსელზე გამოვჩნდე და ეგრევე დიდი არჩევანის წინაშე ვდგები,"* - აცხადებს ელ შაარავი.

შესაბამისად, მას „მილანის" ცნობილ პრეზიდენტთან მეგობრობა გარანტირებული აქვს... სილვიო ხომ „არა და არ გადის პენსიაზე"...

## კატანიას რაღა?

ორი აზრი არ არსებობს: „კატანიასთან" მატჩში ელ შაარავიმ პირველი გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა. შესაბამისად, სიცილიელთა აღშფოთებაც გასაგებია. „კატანიას" „იუვენტუსთან" ჩასათვლელი გოლი არ ჩაუთვალეს და „იუვეს" არჩასათვლელი ჩაუთვალეს, ახლა კი „მილანს" ჩაუთვალეს ოფსაიტიდან გატანილი გოლი. ასე თუ გაგრძელდა, საქმე იქამდე მივა, რომ ბოლოს „კატანიას" წართმეული გოლები რომ დაუთვალონ, აღმოჩნდება, რომ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გასულა.

*„ეტყობა, დიდ გუნდებთან მატჩების დროს ლაინსმენებს მძიმე ალმები აქვთ ხოლმე,"* - სამართლიანად დაიჩივლა „მილანთან" მატჩის შემდეგ „კატანიას" პრეზიდენტმა **ანტონიო პულვერენტიმ**.

**ინგლისი**

## დაცვას მიხედე, ალექს!

„რედინგისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირება ტიპური-ინგლისური მატჩი გამოვიდა - ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ „იუნაიტედმა" 4:3 მოიგო და თანაც, შვიდივე გოლი პირველ 34 წუთში გავიდა.

*„სახლში მაქვს დალაი ლამას წიგნი „გზა ბედნიერებისკენ", რომელსაც აუცილებლად წავიკითხავ,"* - თქვა მატჩის შემდეგ „რედინგის" თავკაცმა **ბრაიან მაკდერმოტმა**. „იუნაიტედის" ბოსი **სერ ალექს ფერგიუსონი** კი „სიტისთან" დერბის წინ დაცვის ხაზზე ნერვიულობს.

*„ინდივიდუალურ შეცდომებს მოველება, უპირველესი საფიქრალი კი ისაა, რომ ბევრ გოლს ვუშვებთ და ეს პრობლემა მალე უნდა აღმოვფხვრათ!"* - თქვა **დარენ ფლეტჩერმა**.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **ნემანია ვიდიჩი** გამოჯანმრთელდა და სათამაშო პრაქტიკა დღესვე, „კლუჟთან" მატჩში უნდა მიიღოს, ფერგის ამ მხრივ უკეთესი მომავლის იმედი უნდა ჰქონდეს. ვინ, ვინ და სერ ალექსმა ყველაზე უკეთ უწყის, რომ ბედნიერებისკენ მიმავალი გზა მხოლოდ სტაბილურ დაცვაზე გადის.

## ვენგერის საქმე ცუდადაა

პრემიერლიგის მორიგი ტურის გმირი უდავოდ „სუონსის" ესპანელი ნახევარმცველი **მიჩუ** გახლდათ, რომელმაც „არსენალს" „ემირეიტსზე" ორი გოლი გაუტანა (მატჩიც 0:2 მორჩა). 26 წლის მიჩუ „სუონსის" შეფებმა „რაიო ვალეკანოდან" სულ რაღაც 2 მილიონ ევროდ იყიდეს და ამ სეზონში უკვე 11 გოლი აქვს გატანილი. „გედების" ზეიმის ფონზე „არსენალის" ფანები თვითგვემასთან ერთად **არსენ ვენგერისა** და მისი შეგირდების ლანძღვა-გინებით იყვნენ დაკავებულები.

მატჩის შემდეგ ვენგერს საინტერესო არაფერი უთქვამს. ამბობენ, მისმა ასისტენტმა **სტივენ ბულდმა** გასახდელში ფეხბურთელებს ქოქოლა აყარაო. გამოასწორებს ვერბალური იერიში ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან **რემსი** და **ჟერვინიო**? საკითხავი სწორედ ეს არის.

ამასობაში, **თეო უოლკოტი** და **ბაკარი სანია** „არსენალის" 2013 წლის კალენდრის ფოტოზე ვერ მოხვდნენ. ცნობილია, რომ ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი ორივეს ეწურება და ეს ორი ფაქტი ერთად იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ უოლკოტი და სანია „მეთოფეებს" გამოეთხოვებიან.

## რიდუელის ხუმრობა

გუნდიდან გაშვების არ ეშინია **ლაიამ რიდუელს**, სამაგიეროდ, მან მთელი საფეხბურთო ინგლისის გულისწყრომა დაიმსახურა. „ვესტ ბრომვიჩის" 28 წლის ფეხბურთელმა ცუდად იხუმრა - გადაიღო ფოტო, თუ როგორ იწმენდს ერთ ადგილს 20-ფუნტიანი კუპიურით და მერე ეს ფოტო სოციალურ ქსელში გამოამზეურა. მართალია, რიდუელმა ამის გამო მოიბოდიშა, მაგრამ უკვე გვიანი იყო - კლუბის ბოსებმა მისი დაჯარიმება გადაწყვიტეს.

ცნობისათვის, 20-ფუნტიან ბანკნოტს დედოფალ ელიზაბეთ II-ის ფოტო ამშვენებს...

## კარგი ცნობები მექსიკიდან

მექსიკის პოლიციის შეფმა **ხორხე კარლოს მარტინესმა** „სანს" უთხრა, როცა „მანჩესტერ იუნაიტედში" ჩვენებური **ხავიერ მარტინესი** თამაშობს, მექსიკაში დანაშაულების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდებაო. *„ამ დროს გაცილებით ნაკლები ქურდობისა და ძალადობის ფაქტი ფიქსირდება. როგორც ჩანს, თვით დამნაშავეებიც ჩიჩარიტოს თამაშს უყურებენ ხოლმე,"* - განაცხადა მარტინესმა.

**ესპანეთი**

## უსიამო ვნებები ვალენსიაში

„მალაგასთან" 0:4-ის შემდეგ საკუთარ მოედანზე „რეალ სოსიედადთან" განცდილი კრახი (2:5) „ვალენსიასთვის" ერთ კვირაში ზედიზედ მეორე სირცხვილი გახლდათ და **მაურიციო პელეგრინოს** მოღვაწეობაც ამით დამთავრდა. გათავისუფლებული მწვრთნელის პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს კითხვების დასმის უფლება არ მისცეს, მხოლოდ განწირულმა მწვრთნელმა ისაუბრა: *„ეს გადაწყვეტილება ჩემი აზრით უსამართლოა,* - წუხდა არგენტინელი, - *„ვალენსიას" ესპანეთის ჩემპიონატში დასახულ მიზანს მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს, გუნდი ესპანეთის თასზე და ჩემპიონთა ლიგაშიც აგრძელებს ასპარეზობას. ახლა სიტუაცია ბოლოდროინდელმა შედეგებმა დაძაბა და ამის გამო გამათავისუფლეს. ეს ჩემთვის ნაცნობი სცენარია, ასეთი ამბები ფეხბურთელობის დროს, ბენიტესისა და კუპერის მწვრთნელობის პერიოდში გადამხდენია."*

მეორე დღეს „ვალენსიას" ბაზა 50-მდე ულტრასმა მოინახულა - მათ ფეხბურთელებთან „დალაპარაკება" სურდათ. კლუბის ხელმძღვანელებმა ეს, რა თქმა უნდა, არ დაუშვეს, რის გამოც ფანები განრისხდნენ და პელეგრინო-პელეგრინოს სკანდირებდნენ...

## რონიმ ჯარიმის დარტყმა გაიხსენა

მადრიდული დერბი, სამწუხაროდ, ლამის ცალკარა იყო. „რეალმა" „ატლეტიკოს" უპრობლემოდ აჯობა და 2:0 მოუგო. **რადამელ ფალკაო** 90 წუთის მანძილზე თითქმის არ გამოჩენილა და **კრიშტიანო რონალდოს** ჩრდილში მოექცა - პორტუგალიელმა ჯარიმა გაიტანა და სხვათა შორის, ასეთი რამ ბოლოს 8 თვის წინ (!) ჰქონდა გაკეთებული.

## რამოსის მუქი მხარე

დერბი ერთი უსიამოვნო ეპიზოდითაც გამორჩა, რომლის მთავარი მოქმედი პირი **სერხიო რამოსი** გახლდათ. ამ უკანასკნელს **დიეგო კოშტამ** უთავაზა და თავი მსხვერპლად მოჰქონდა, მაგრამ კოშტას დარტყმა რამოსის საქციელზე ადეკვატური რეაქცია გახლდათ: გამეორებაზე ცხადად გამოჩნდა, რომ რამოსმა მას სახეში შეაფურთხა. ამის გამო რამოსის დასჯა გარდაუვალია.

**გერმანია**

## მატმურის რეკორდი

ფრანკფურტის „აინტრახტის" „დამხმარე" თავდამსხმელი **ქარიმ მატმური** „ფორტუნასთან" გასვლით მატჩში ძირითად შემადგენლობაში მოხვდა და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ რა ქნას, რომ ღმერთს არ უქნია? 34 წუთი ისე გავიდა, ერთხელაც არ მოექცა ყურადღების ცენტრში და როგორც ჩანს, შეეშინდა, ჟურნალისტებს ტექნიკურებში ჩემი გვარის შეტანა არ დაავიწყდეთო და ჯერ აბსოლუტურად არაფრისმომცემ სიტუაციაში გაფრთხილება მიიღო, მერე ასევე აბსოლუტურად არაფრისმომცემ სიტუაციაში მეორე ყვითელიც დაიმსახურა და შესაბამისად, აბსოლუტურად არაფრის გამო მსაჯს მოედნიდან თავი გააძევებინა.

შესაძლოა, ეს არც აღგვენიშნა, რომ არა ერთი საინტერესო ფაქტი: მატმური ორი ტურის წინ, „შალკესთან" მატჩშიც გააძევეს. ამრიგად, რაკი გერმანიაში „ინგლისური კვირა" იყო, ალჟირელი ერთადერთი ფეხბურთელია ბუნდესლიგის ისტორიაში, რომელიც ერთ კვირაში ორჯერ გააძევეს!

## აუფ ვიდერზეენ, მარკუს!

ვემშვიდობებით ან უკვე „ჰოფენჰაიმის" ექსთავკაც **მარკუს ბაბელს** და ეჭვი გვაქვს, ამ კაცს ბუნდესლიგაში მთავარი მწვრთნელის რანგში მანამდე ველარ ვიხილავთ, სანამ საფეხბურთო გერმანიას მისი ბერლინური და ჰოფენჰაიმური თავგადასავლები ეხსომება. მართალია, „ვერდერთან" მატჩის (1:4) შემდეგ ბაბელმა თქვა, „მე არასდროს ვნებდებიო" და იქვე დასძინა, „თანაც მომავალ პარასკევს მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვსო", მაგრამ „ჰოფენჰაიმში" ჯერ კიდევ „ნახევრად ღმერთი" **დიტმარ ჰოპი** წყვეტს, ვინ როდის უნდა დანებდეს და რა არის მნიშვნელოვანი...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძალოსნობა



მეორე რიგში მარცხნიდან პირველი შოთა მიშველიძე

## ვერცხლი და ბრინჯაო ეილათიდან

ისრაელის ქალაქ ეილათში გრძელდება 20 წლის ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საასპარეზოდ საქართველოს ხუთი ათლეტი გაემგზავრა. ორი მათგანი უკვე გავიდა ფიცარნაგზე. 62 კილოში 18 წლის ქუთაისელმა **შოთა მიშველიძემ,** რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **მალხაზ ლომთაძე** ავარჯიშებს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა: აიტაცა 126 კილო, 155 აკრა და ორჭიდში 281 კილოგრამი მოაგროვა. სამივე შედეგი უფროსებში ჩვენი ქვეყნის ახალი მიღწევაა. საგულისხმოა, რომ მიშველიძემ ორი წლის წინათ ვალენსიაში ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე (56 კილოში) ორჭიდში 229 კილოგრამით მე-3 ადგილი დაიკავა, ატაცში (103 კგ) ვერცხლი ერგო, აკვრაში (126 კგ) - ბრინჯაო.

ეილათში 62 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფავორიტმა - რუმინელმა ელორინ გროიტორუმ ორჭიდში 289 კილოგრამით (123+157) ოქროს მედალი დაიმსახურა, მოლდოველმა იონ ტერნამ 276 კლოგრამით (121+155) მესამე ადგილი დაიკვა.

სამი წლის წინათ ეილათმა ჭაბუკთა ევროპის პირველობას უმასპინძლა. მაშინ ქუთაისელმა **გიორგი ლომთაძემ** (მწვრთნელი **მალხაზ ლომთაძე**) ჩემპიონობა მოიპოვა. რიონისპირელი ჭაბუკი შარშან 20-წლამდელთა კონტინენტის პირველობაზე კვიპროსში 307 კილოგრამით (140+167) ვერცხლის მედალს დასჯერდა.

გუშინ გიორგიმ 69 კილოში ეილათის ფიცარნაგზე ასპარეზობა ისევ ოქროთი დაიწყო: ამჯერად უმაღლესი სინჯის მედალი ატაცში ერგო — სამივე ცდა გამოიყენა და 143 კილოგრამით საქართველოს რეკორდიც დაამყარა. აკვრა 167 კილოგრამით დაიწყო. სამწუხაროდ, მომდევნო ორი ცდა გაუცუდდა, რამაც კონკურენტებს დაწინაურების შანსი მისცა. ლომთაძემ ორჭიდში 310 კილოგრამით (ესეც საქართველოს რეკორდია) მესამე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აზერბაიჯანელი ფირიდუნ გულიევი (316=136+180) ავიდა, მეორე ადგილი მოლდოველ არტიომ პიპას (314=142+172) ხვდა.



გიორგი ლომთაძე

ეილადში 20-წლამდელთა პირველობაზე კიდევ სამი ქართველი ძალოსანი მოსინჯავს ძალებს: ხვალ **ზურიკო თავაძე** (85) და **ვილიამინ ალექსიძე** (94) იასპარეზებენ, 8 დეკემბერს კი ქვეყნის სპორტულ ღირსებას მძიმე წონაში **ლაშა ტალახაძე** დაიცავს.

ვაჟა დანელია

ჰოკეი

## ჰოკეისტებმა თასები ქუთაისში დაიტოვეს

ქუთაისის სპორტის სასახლეში ინდორ ჰოკეიში (დარბაზის ჰოკეი) კაცთა და ქალთა გუნდებს შორის საქართველოს თასის ფინალური ეტაპი გაიმართა. ძლიერი სქესის წარმომადგენელთა შორის ფინალში ერთმანეთს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ქუთაისი" და ლანჩხუთის „გურია" დაუპირისპირდნენ. **დავით მოდებაძისა** და **ხვიჩა ჯავახაძის** გაწვრთნილმა ქუთათურებმა მეტოქე საკმაოდ იოლად 8:3 დაამარცხეს და ჩემპიონობასთან ერთად წლეულს თასიც მოიპოვეს. ფინალის საუკეთესო მოთამაშედ ქუთაისური გუნდის შემტევი **გია გერაძე** დასახელდა.

მამაკაცებს ქუთაისელი გოგონებიც არ ჩამორჩნენ და ქალთა გუნდების ფინალიც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. **ავთანდილ თევდორაძის** გაწვრთნილმა „უქიმერიონმა „აბაშა" ყველა კომპონენტში დაჯაბნა და 7:2 დაამარცხა. საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი ქუთაისელ **რადა მალლაკელიძეს** გადაეცა.

მომავალი წლის თებერვალში რიონისპირელთა ვაჟ ჰოკეისტთა გუნდი ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც საბერძნეთის დედაქალაქი ათენი უმასპინძლებს. ქუთაისელი ჰოკეისტები იმედოვნებენ, რომ ქალაქის მერია მათ დასაფინანსებლად სახსრებს გამოძებნის და „ქუთაისი" ევროტურნირების გარეშე არ დარჩება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან





გამარჯვებული გუნდები

კრივი

## დოკვაძემ ბრინჯაო გაინაღდა

ერევანში დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც შესანიშნავად ასპარეზობს ქართველი სპორტსმენი **ალექსანდრე დოკვაძე,** რომელიც 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში გუშინ ირანელ სიავახ ომიდის დაუპირისპირდა. ჩვენებურმა პირველი რაუნდი 1:2 დათმო, მაგრამ მომდევნო ორ რაუნდში აჯობა (3:1, 4:3) მეტოქეს, საბოლოოდ 8:6 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა, რითაც სულ მცირე ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ქართველი სპორტსმენი დღეს დაისვენებს და ხვალ ფინალში გასასვლელად დოლმუროდ სატიბალდიევის (უკრაინა) მძლეველ (14:12) სქოთ ფორესტთან გაარკვევს ურთიერთობას. მეორე ნახევარფინალურ წყვილში იდრის შახმანოვი (რუსეთი) და ნიკოლ არუთინოვი (სომხეთი) შეხვდებიან ერთმანეთს.

ვაჟა დანელია

წიგნის თარო

## დიდი ფალავნის ნაფიქრალი

როდესაც დიდი სპორტსმენი თვითონ წერს წიგნს თავის განვლილ სპორტულ და არა მარტო სპორტულ ცხოვრებაზე, ეს უკვე ძალიან კარგი საქმეა.

ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, **რომან რურუას** წიგნში „ქალამნებიდან ჩემპიონობამდე და კიდევ..." რომელიც მის 70 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, შესანიშნავადა გადმოცემული ჩემპიონის განვლილი დიდი სპორტული ბატალიების ნიუანსებიც კი. როდესაც 1964 წელს ტოკიოში ოლიმპიურ თამაშებზე რომან რურუას ფინალურ შეხვედრაში მსაჯებმა უნგრელ იმრე პოიაკთან წააგებინეს (ეს ცნობილი ფაქტია), რომანმა მაშინ თქვა — ახლა გავხდი ნამდვილი მოჭიდავეო...




1966-1972 წლებში სსრკ „კლასიკოსთა" ნაკრების კაპიტანმა რომან რურუამ პირველმა შემოიღო ყოველდღიური ორჯერადი წვრთნა, ერთ-ერთი პირველი ქართველი მოჭიდავე იყო, რომელიც უბის წიგნაკში ყოველი ორთაბრძოლის შემდეგ ჩანაწერებს აკეთებდა...

ერთი სიტყვით, ის ნოვატორიც იყო.

ლეგენდარული რომან რურუა, რომ კომბინაციური და ტაქტიკური ჭიდაობის ეტალონი იყო ეს ჭიდაობის მთელმა სამყარომ იცის. თუ საჭირო იყო, უხეში ჭიდაობის ტაქტიკაც ზედმიწევნით ბრწყინვალედ იცოდა.

სამწვრთნელო შეკრებებზე სსრკ ნაკრებში რომანი სადილობისას ერთ ჭიქა ქართულ ღვინოსაც სვამდა თურმე და ეს მხნეობას მატებდა. ამის უფლებას მაშინ გუნდის სხვა წევრებს არ აძლევდნენ...

რომანის პრინციპულობისა და სამართლიანობის შესახებ არაერთხელ თქმულა. დიდ ჩემპიონს „კლასიკოსთა" ნაკრებში ორი „ქურდის" საქმეც გამოუძიებია და სააშკარაოზე გამოუტანია კიდეც...

სახალისო ამბებიც ბლომადაა წიგნში - თუნდაც ცნობილი საბჭოთა მზვერავ აბელისა და რურუას ვითომ ჩხუბი სასტუმრო „ივერიის" რესტორანში და მისთანები.

ეს წიგნი ყველა ასაკის ადამიანმა უნდა წაიკითხოს განსაკუთრებით ახალგაზრდა სპორტსმენებმა.

წიგნს ატყვია რედაქტორის, ქალბატონი **მანანა ჯარიაშვილის** ხელიც.

კარგად გამოცემულ ნაშრომში უამრავი ფოტოა, რომელთა შორის ისეთებიცაა, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

შპს „სეზანში" დაბეჭდილი წიგნი პოლიგრაფიულად ევროპული სტანდარტების შესატყვისია.

გაბრიელ ბარჯაძე

ჭადრაკი

## ლიდერთან ისევ ნახევარი ქულა აშორებს

ქართველი დიდოსტატი **კონსტანტინე შანავა** პავლოდარის (ყაზახეთი) ღია პირველობაზე წარმატებით ასპარეზობს. იმის მიუხედავად, რომ მან მე-5 ტურში წაიფორხილა, გუშინ კვლავ შემართებით ითამაშა და შავი ფიგურებით სომეხი ჰრაირ სიმონიანი დაამარცხა, მოაგროვა 4,5 ქულა და ექვსი ტურის შემდეგ ლიდერებს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება.

მეწინავეთა ჯგუფში გუშინ ხუთიდან ოთხი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ: ანუარ ისმაგამბეტოვი (ყაზახეთი) - ვლადისლავ არტემიევი (რუსეთი), ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი) - რინატ ჯუმაბაიევი (ყაზახეთი), ბერიკ აკოზოვი (ყაზახეთი) - ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი), ალექსეი პრიდოროჟნი (რუსეთი) - ემილ მუსაკაევი (რუსეთი), ხოლო პიოტრ კოსტენკომ (ყაზახეთი) ასლან აიტბაიევს (ყაზახეთი) აჯობა. ამდენად, 6 ტურის შემდეგ 5-5 ქულით არტემიევი, ისმაგამბეტოვი, კოსტენკო და გრიგორიანი ლიდერობენ. 12 მოჭადრაკეს, მათ შორის - შანავას, 4,5-4,5 ქულა აქვთ. ჩვენებური დღეს აკაზოვს დაუპირისპირდება. ლიდერებში კი არტემიევი - კოსტენკო და ისმაგამბეტოვი - გრიგორიანი გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

ვაჟა დანელია

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

საუნივერსიტეტო სპორტი

## სტუდენტურ სპორტს გუგავა გაუძღვება

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციას ხუთი წლის განმავლობაში ნიკოლოზ ამაშუკელი ხელმძღვანელობდა; წლეულს აგვისტოში ახალ მესვეურად გურამ კინწურაშვილი აირჩიეს, რომელიც ცოტა ხნის წინათ გადადგა. გუშინ სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში სტუდენტური სპორტის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა. პრეზიდენტობისთვის კენჭი ორ კანდიდატს უნდა ეყარა, მაგრამ **თემურ დოლიძემ** კანდიდატურა მოხსნა. დელეგატებმა პრეზიდენტად ერთხმად ცნობილი მორაგბე **ლექსო გუგავა,** ვიცე-პრეზიდენტებად **შოთა ბაქრაძე** და **ზურაბ ხეცაძე,** გენერალურ მდივნად კი **ნიკა მიქაუტაძე** აირჩიეს.

ვაჟა დანელია
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



ლექსო გუგავა

### განცხადება

2012 წლის 14 დეკემბერს გაიმართება საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის ყრილობა.

დღის წესრიგი

1. ფედერაციის ანგარიში
2. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები
3. გამგეობის არჩევნები
4. სეოკ-ის სესიის დელეგატის არჩევა

პრეზიდენტობის კანდიდატების წერილობითი წარმოდგენების ბოლო ვადაა 2012 წლის 12 დეკემბრის 17 საათი. მისამართი: itogeorg@access.sanet.ge

ყრილობა




# დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა აქტიურდება

**„როგორც ლელოს“ გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს (GADA) საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გაიმართა, რომელმაც მომავალი ოთხი წლით თავმჯდომარედ კვლავ პროფესორი პავლე კასრაძე აირჩია (დაპირებისამებრ, დღეს ვრცლად გთავაზობთ ყრილობის მიმოხილვას).**

რაც დრო გადის, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო აქტუალური ხდება. ეს არცაა გასაკვირი - თავის დროზე იმდენად იმატა სპორტსმენთა სიკვდილიანობამ, რომ მასთან ბრძოლა აუცილებელი გახდა. სამწუხაროდ, დოპინგის მიღების ხერხები თანდათან იხვეწება, რაც ბრძოლის მეთოდების განახლებასაც მოითხოვს. მაგალითად, თავიდან თუ საშეჯიბრო ატმოსფეროში შემოწმება სავსებით საკმარისი იყო, ახლა აქცენტი არასაშეჯიბრო პერიოდებზეა გადატანილი, რადგან ათლეტებმა კარგად იციან ყოველი აკრძალული პრეპარატის თვისება, თითოეული მათგანი რამდენ ხანში გამოდის ორგანიზმიდან და შეჯიბრებამდე დარჩენილ დროს ამის მიხედვით ანაწილებენ. საერთაშორისო ანტიდოპინგურმა სააგენტომაც (WADA) შეცვალა მიდგომა და უკვე მოსამზადებელ პერიოდში ამოწმებს, რათა ათლეტები შეჯიბრებაზე სუფთად მივიდნენ.

საქართველო ამ ბრძოლაში იმთავითვე ჩაება და პროცესებსაც ფეხს უწყობს - თავიდან თუ ძირითადად ასპარეზობებზე ამოწმებდნენ სპორტსმენებს, ბოლო წლებში რეალობა საპირისპიროდ იცვლება, გაისად კი შემოწმებათა 60% სულაც არასაშეჯიბრო იქნება. განსაკუთრებული აქცენტი გადადის სწრაფად მზარდ ახალგაზრდებზე, რომელთა მყისიერი პროგრესი და შედეგების უეცარი მატება გარკვეულ ეჭვს ბადებს. ცხადია, არავინ იქნება წინააღმდეგი, ისინი სუფთა მიღწევებით თუ გაზრდიან შედეგებს, მაგრამ როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს.

კასრაძის საანგარიშო მოხსენების მიხედვით, ამ პერიოდში საქართველოში მოამზადეს 12 დოპინგ-ოფიცერი, შესაბამის თემაზე გამოიცა 6 ბროშურა და ჩატარდა 9 საგანმანათლებლო სემინარი. მათ შორის - რეგიონებშიც, სადაც თურმე ამან დიდი ინტერესი გამოიწვია. გაისად სემინართა რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება 30-მდე. კასრაძემ GADA-ს ერთ-ერთ მთავარ მიღწევად იუნესკოსგან მიღებული გრანტი დაასახელა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამას მოხმარდა. თურმე მას იმდენად დიდი მოწონება დაუმსახურებია, პარიზში ერთ-ერთ სემინარზე სამაგალითო მოხსენებაც მიუძღვნიათ სხვებისთვის გამოცდილების გასაზიარებლად. დიდწილად ამის დამსახურებაა, რომ გაისად იუნესკო ისევ გამოგვიყოფს გრანტს, რომელიც უკვე საკვებ დანამატებს მოხმარდება. ესეც ფრიად მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან იმდენად მასობრივი და ჩვეულებრივი ნივთიერება შეიძლება მოხვდეს ამ სიაში, ვერც კი წარმოვიდგინოთ. კასრაძის თქმით, ადრე ორი სპორტსმენი იმსხვერპლა სწორედ ამან, ამჟამად კი სამზეა დადებითი პასუხი. საქმეს ისიც ართულებს, რომ ეს იმდენად გავრცელებული ნივთიერებებია, სპორტსმენები უმეტესად ანგარიშმიუცემლად იღებენ მათ, როგორც ჩვეულებრივ საკვებს. გვარები არ დაუსახელებიათ, მაგრამ თურმე ოლიმპიადის წინ სწორედ ამგვარი დანამატების გამო ორ მედალოსანს დამატებითი კვლევა დასჭირდა უდანაშაულობის დასამტკიცებლად, თორემ ოლიმპიადაზე არ დაუშვებდნენ. მათ ანალიზში თურმე დოპინგის კვალი არ ჩანდა, მაგრამ რაღაც ნივთიერებები მომატებული იყო. ჰოდა, WADA-მაც ყოველგვარი შემთხვევითობის გამოსარიცხად მოითხოვა დამატებითი ლაბორატორიული ანალიზი. თურმე ეს პრობლემა თავისი ფინანსური ხარჯებით სააგენტოს წევრებმა და ოლიმპიური გუნდის სამედიცინო შტაბმა ისე მოაგვარა, თავად ფედერაციამ, მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა დღემდე არ იციან არაფერი და გვარებიც ამიტომ არ დაასახელეს.

პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე - აკრძალულ სიაში ფართოდ გავრცელებული ყოველდღიური მოხმარების წამლები თუ კვებითი ნივთიერებებია, კასრაძემ სპორტულ ფედერაციებს აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდა. თუმცა ეს მათ ისედაც მოუწევთ, რადგან WADA-ს მოთხოვნით GADA-ს უნდა მიუერთდნენ. ბოლო წლებში მწვრთნელთა დოპინგ-განათლება ბევრად კი გაიზარდა, მაგრამ მაინც მეტია საჭირო. როგორ უნდა ითანამშრომლონ ფედერაციებმა სააგენტოსთან, ეს ყრილობაზე რაგბის კავშირის მაგალითზე განიხილეს, სადაც შესაბამისი სამსახური უკვე არსებობს. თურმე თავის დროზე მათი ორი მოთამაშე ერთად ჩავარდა დოპინგზე, რისთვისაც სოლიდური ჯარიმა დაეკისრათ. ამის ნიადაგზე კავშირში იფიქრეს, რომ ჯარიმებში ფულის სხვისთვის გადახდას აჯობებდა, ის თანხა საგანმანათლებლო სამუშაოებში დაეხარჯათ და ადგილზე დაეტოვებინათ. ყრილობაზე მოითხოვეს, რომ ფედერაციებმა შექმნან ანტიდოპინგური რგოლი და მჭიდროდ ითანამშრომლონ სააგენტოსთან, თან საკუთარ ბიუჯეტში იქონიონ თანხები „შავი დღისთვის“ ანუ ისეთი დამატებითი და გაუთვალისწინებელი შემოწმებისთვის, რაც იმ ორი ზემოხსენებული ოლიმპიელის შემთხვევაში იყო.

კასრაძის თქმით, გაისად ჩატარდება სპორტსმენთა სისხლის დოპინგი და შეიქმნება ბიოლოგიური პასპორტები, რაც პრობლემებს ბოლომდე ვერ ამოფხვრის, მაგრამ ბევრს კი მოაგვარებს. მაგალითად, დაეხმარება ეგრეთ წოდებული ადამსის სისტემაში, რაც სპორტსმენთა საერთაშორისო ანკეტებია.

ცხადია, GADA-ს წინაშე პრობლემაც ბევრია. თუნდაც ის, რომ ლიცენზირებული ლაბორატორია არ გვაქვს და სინჯები სტამბოლში, ვენაში ან გერმანიაში დაგვაქვს. გზის ხარჯების გარდა, ამ სპეციფიკური სინჯებისა და შარდის ანალიზების საზღვარზე გადატანა მესაზღვრეებთანაც ბევრ პრობლემას ქმნის, რადგან ეს პროცესი კანონით არ რეგულირდება. საქართველოში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთმა პიონერმა და GADA-ს დამფუძნებელმა, სპორტის მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ** სააგენტოს ურჩია, შეიქმნას ვებგვერდი და უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო საქმიანობაში, რაც შეიძლება გამჭვირვალე გახადოს ბიუჯეტის ხარჯვა და უფრო იაქტიურონ საერთაშორისო დონეზე. აგრეთვე წესდებაში მკაცრად განისაზღვროს ეროვნული სპორტული ფედერაციების როლი. ყრილობამ დაამტკიცა ცვლილებები წესდებაში. კერძოდ, აქამდე განსაზღვრული არ იყო, რამდენი წლით აირჩეოდა სააგენტოს თავმჯდომარე და გამგეობა, რამდენჯერ შეეძლო კანდიდატურის წამოყენება ერთსა და იმავე პიროვნებას. დაადგინეს, რომ სააგენტოს ხელმძღვანელი ორგანო და თავმჯდომარეც 4 წლით აირჩიონ, ერთი კანდიდატი კი მხოლოდ ორჯერ თუ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. 5-კაციან ალმასკომში კასრაძესთან ერთად **თეიმურაზ უკლება, ზურაბ კახაბრიშვილი, ელგუჯა ბერიშვილი** და **თამარ სვანიშვილი** აირჩიეს.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა. პრეზიდენტის არჩევნები

# მშვილდს ორნი მოზიდავენ



8 დეკემბერს, 15 საათზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება და ახალ პრეზიდენტსაც აირჩევენ.

გუშინ სალამოს საპრეზიდენტო კანდიდატურების წარდგენის ვადა ამოიწურა, განაცხადი კი მხოლოდ ორმა შეიტანა - ფედერაციის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა **თენგიზ ტერუნაშვილმა,** რომელიც აჭარის რეგიონულმა ორგანიზაციამ წარადგინა და ფედერაციის მოქმედმა ვიცე-პრეზიდენტმა **ბაჩი ჭანჭალეიშვილმა.** ფედერაციის აქამდელი თავკაცი **მამუკა ქაცარავა** კენჭისყრაში მონაწილეობას რომ არ მიიღებდა, ვადამდელი არჩევნების თარიღის დანიშვნისთანავე გახდა ცნობილი. გუშინ ფედერაციიდან წასვლის სურვილი გენერალურმა მდივანმა **არტემ სანიშვილმაც** დაგვიდასტურა, მიზეზად კი მოუცლელობა დაასახელა, თუმცა დასძინა, რომ ის მშვილდოსნობიდან არ მიდის და ფედერაციაში ალმასკომის წევრად დარჩება.

ამასობაში კვლავაც ღიად რჩება ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი. როგორც სანიშვილმა გვითხრა, კორეელი **ან ჰეიუნ სანის** დაბრუნება ამ ეტაპზე გამორიცხა. მოგეხსენებათ, მისი ხელფასი დიდწილად ძველ სამინისტროზე იყო დამოკიდებული, რასაც ფედერაცია დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა. ამიტომ ამ თემის განხილვას სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობასთან გეგმავდნენ, თუმცა აუდიენციისთვის არ არის გამორიცხული, ფედერაციის ძველმა ხელმძღვანელობამ არც იაქტიურა, რადგან პოსტიდან მაინც მიდიოდა. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ახალი საპრეზიდენტო გუნდი. ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ მოვა პრეზიდენტად, თუმცა მთელი რიგი მოსაზრებები გვაფიქრებინებს, რომ ვინც უნდა იყოს ის, ადგილობრივ კადრებს დაეყრდნობა და ამ ეტაპზე უცხოელს არ მოიწვევენ. თუმცა ეს მაინც ვარაუდია და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, ჩვენ კი ვისურვოთ, ახალმა პრეზიდენტმა აქცენტი სპორტის ამ უძველესი სახეობის მასობრიობაზე და სპორტული ბაზის შექმნაზე აილოს, თორემ სირცხვილია ის სავარჯიშო პირობები, რომელშიც ჩვენი სპორტსმენები ემზადებიან გინდ თბილისში და გინდ - ბათუმში. 21-ე საუკუნეში ასეთი პირველყოფილი ბაზები, უბრალოდ, სირცხვილია. განსაკუთრებით მძიმე ვითარება ზამთარში იქმნება, როცა კლიმატური პირობების გამო გარეთ ვარჯიში შეუძლებელი ხდება და იძულებულნი არიან, დარბაზს მიაშურონ. ამ მხრივ თბილისს კიდევ არა უშავს - სიგრძე მაინც ჰყოფნით, თუმცა კეთილმოწყობა, გათბობა და ამგვარი აუცილებელი პირობები აქაც შორეული ოცნებაა, ბათუმში კი იმ ბაზას პირობითად ეთქმის დარბაზი - იმდენად პატარაა. იქ ტექნიკურ დეტალებზე თუ იმუშავებენ, თორემ მოკლე დისტანციის გამო გასროლის საშუალება, პრაქტიკულად, არ არის. საბედნიეროდ, ამ ყველაფრის მიუხედავად, შედეგები მაინც გვაქვს - ევროპის ზამთრის ჩემპიონობას თავი რომ დავანებოთ, შარშან მსოფლიოს პირველობაზე **ქრისტინე ესებუა** მეორეზე გავიდა, რაც ამ რანგის შეჯიბრებაში ჩვენი მშვილდოსნობისთვის პირადში მოპოვებული პირველი მედალია, მაგრამ წარმატება თუ გვინდა, პირობები აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ.

**ირაკლი თავაძე**

სპორტი ყველასათვის

# ტურნირი უცხოელებისთვის

პირველად საქართველოში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა და მისმა სტუდენტურმა თვითმმართველობამ (პრეზიდენტი **კახა აბულაძე**) ჩაატარა მინიფეხბურთელთა ტურნირი ამ უნივერსიტეტის უცხოენოვანი ფაკულტეტების სტუდენტური გუნდების მონაწილეობით. ტურნირში 10 გუნდი ჩაება ორ ჯგუფად. ფინალურ ეტაპზე პირველობისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თურქეთისა და ნიგერიის სტუდენტი ფეხბურთელები. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ - შესაბამისად 3:3 და 4:4 დასრულდა. პენალტების სერიაში კი წარმატება და მთავარი ჯილდო ნიგერიელებს ხვდათ წილად.

სპეციალური პრიზები გადაეცათ ცალკეულ ფეხბურთელებს: მეკარის - **ბათუჰან ერქუთს** (თურქეთი), მცველის - **კრიცთოფერ ეზეს,** თავდამსხმელის - **კლიფორდ ინჯას,** საუკეთესო ფეხბურთელის - **ვიტეს ამაცუს** (სამივე - ნიგერია), გოლიადორის - **აიქუთ ოვლანს** (თურქეთი). ეს ფეხბურთელები უნივერსიტეტის ნაკრების წევრობის კანდიდატთა სიას შეავსებენ.

**თენგიზ თომაშვილი**

**სურათზე:** გამარჯვებული ნიგერიის ნაკრები



„...აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“ გამოხმაურება

# ვინ როგორ ფიქრობს...

**გასულ კვირაში „ლელოს“ ახალი რუბრიკა: „...აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“ სწავლისა და სპორტის შეთავსება-შეუთავსებლობას დაეთმო. კვირის ბოლოს თემა შევაჯამეთ და იქვე ამ კვირისთვის განსახილველად ახალი შემოგთავაზეთ - “ბავშვთა ფეხბურთი”. თქვენი აზრისა და წინადადებების რედაქციაში მოსაწოდებლად გამოიყენეთ “ლელოს” ბოლო გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული საკონტაქტო საშუალებები. გთავაზობთ მესამე გამოხმაურების ბლოკს.**

თბილისში, ტრადიციულად, დიდი ფეხბურთი ეზოს ფეხბურთიდან იწყებოდა. უფროს თაობას კარგად ახსოვს ის დრო. თვით თბილისურ იტალიურ ეზოებშიც კი ბავშვები გატაცებით თამაშობდნენ ფეხბურთს. ვისაც ეზო არ ჰქონდა, ქუჩაში, ჩიხში, თავისუფალ ადგილას თუ ახლომდებარე სკოლის მოედნებზე თამაშობდნენ. დღეს საცხოვრებელ ადგილებში მეტი მოედნებია, მაგრამ ის ძველებური შნო და ლაზათი აღარ არის. ბავშვების ლაღმა თამაშმა თითქოს ელფერი დაკარგა. კარგი იქნებოდა, ამ მოედნებს მუნიციპალური ინსტრუქტორი (დროა, შემოვიღოთ ასეთი შტატი, რასაც მსოფლიო მოძრაობა “სპორტი ყველასათვის” მოითხოვს) თუ გაუწევდა ზედამხედველობას და ბავშვებს რჩევებსაც მისცემდა.

**ვლადიმერ ხორგუაშვილი**
თბილისი

■ ■ ■

დიდი ხანია, დაინტერესებული ვარ ბავშვთა ფეხბურთით. ალბათ სელექციონერები არ დადიან იმდენს ბავშვების ვარჯიშებსა და ტურნირებზე, რამდენსაც მე დავდივარ. უმუშევარი ვარ და დრო საკმაოდ მაქვს. საერთოდ მიყვარს ნიჭიერი მოზარდების თვალის მიდევნება და მერე მიხარია, როცა მათი სახელები დიდ ფეხბურთში მესმის. „ავაზაზე“ ხშირად ვესწრებოდი ნუგზარ ჩიტაურის ჯგუფების ვარჯიშებს. ჩინებული მწვრთნელია, მახსოვს 1988-იანებიდან რამდენი კარგი ფეხბურთელი გამოზარდა. არაერთმა ევროპაშიც ითამაშა. აი, ასეთი მწვრთნელები გვაკლია. ისიც მინახავს, ულიმლამოდ რომ ავარჯიშებენ ბავშვებს. დავინტერესებულვარ და გარკვეულა, რომ ამ მწვრთნელს ფეხბურთთან საერთოდ არასდროს ჰქონია შეხება. მიკვირს სხვა სფეროში ხელმოცარულებს ფეხბურთში, მით უფრო ბავშვთა ფეხბურთში, მუშაობა ასე რატომ ეადვილებათ. ან ვინ რთავს უფლებას. ეს მისახედი პრობლემაა.

**გივი ბაიდაური**
თბილისი

■ ■ ■

მინდა ყურადღება მიექცეს ბავშვთა ჯანმრთელობის სისტემურ შემოწმებას. ჩემი ბიჭი უკვე 14 წლისაა, 6 წელიწადია მეცადინეობს ფეხბურთის სექციაში და ექიმს ერთხელაც არ შეუმოწმებია დატვირთვის პროცესში. იქნებ არ შეიძლება დატვირთვები, იქნებ მისი ჯანმრთელობისთვის უკეთესი იქნება ცურვა ან სპორტის სხვა სახეობა. ამას ვინმე ხომ უნდა აქცევდეს ყურადღებას. რამდენადაც ვიცი პოლიკლინიკის ექიმები, თუ სპორტულ სექციაში სადმე მოზარდს ჯანმრთელობის ცნობას სთხოვენ, ყოველგვარი კომპლექსური სამედიცინო შემოწმების გარეშე ცნობაში მოკლედ და ბუნდოვნად უწერენ: „პრაქტიკულად ჯანმრთელია“. არადა საქმე ნამდვილად არ არის ასე მარტივად. ვიცი, ზოგიერთი მოზარდისთვის სავალალოდ დასრულებულა მშობლებისა და მწვრთნელების დაუდევრობა. ნუ გავრისკავთ!

**ლადო ძებისაშვილი**
გორი

ევროჩელენჯი. V ტური

# დაგვრჩა ბონი

4 დეკემბერი. ანტვერპენი (ბელგია)

**ანტვერპენი-არმია**

**87:54**

22-13, 25-9, 22-21, 18-11

| ანტვერპენი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მორისი | 19 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 5 |
| დრიესენი | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ბიგსი | 19 | 2 | 0 | 1 | 2 | 0 | 11 |
| ჰოპკინსი | 21 | 6 | 1 | 0 | 3 | 0 | 16 |
| თონდიკი | 31 | 8 | 2 | 3 | 1 | 1 | 10 |
| ბლეიქი | 29 | 5 | 8 | 3 | 2 | 0 | 13 |
| დონკორი | 10 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 5 |
| დე ზეეუვი | 23 | 4 | 6 | 0 | 2 | 1 | 7 |
| მვემა | 20 | 3 | 3 | 0 | 0 | 1 | 10 |
| რადემაკერსი | 5 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 |
| ლავი | 10 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 |

| არმია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 29 | 4 | 1 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ბაბიაშვილი | 11 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ა. ბოისა | 16 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 |
| მილეიჯი | 9 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 |
| წიფწივაძე | 10 | 2 | 1 | 4 | 1 | 0 | 3 |
| შელგოვი | 19 | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 14 |
| საყვარელიძე | 17 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ფილსონი | 13 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| შარაბიძე | 11 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ჯგერენაია | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 |
| უილსონი | 28 | 5 | 1 | 4 | 1 | 0 | 8 |
| ფარლალავა | 21 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 6 |



საქართველოს ჩემპიონმა „არმიამ" ევროჩელენჯზე მეოთხე ტურში შინ ისრაელის „ჰოლონთან" წააგო და სწორედ მაშინ დაიკარგა მომდევნო ეტაპზე გასვლის პრაქტიკულიცა და თეორიული შანსიც. თავის მხრივ, იმ ტურში ბელგიის „ანტვერპენმა" სტუმრად გერმანიის „ბონთან" იმარჯვა და ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაუჩნდა.

ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია, „ანტვერპენი"-„არმიას" დაპირისპირების მონაწილე რომელი მხარე როგორი მოტივაციით შეხვდა გუშინდელ მატჩს. არ ვამბობთ, რომ „არმიას" ენთუზიაზმი აკლდა (მითუმეტეს, მატჩის მხოლოდ ტექსტურ ტრანსლაციას მივადევნეთ თვალი), მაგრამ ბელგიელებისთვის ქართველებთან გამარჯვება მეტად ღირებული იყო, სასწორზე ხომ ჯგუფიდან გასვლის საკითხი იდო.

ანტვერპენელებს თბილისური შეხვედრის შემდეგ დაუბრუნდათ ტრავმამოშუშებული **ტიმოთი ბლექი** (რომელიც გუშინ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო, 13 ქულა მოაგროვა) და პირველივე პერიოდში გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა.

22:13 - ასე დასრულდა საწყისი ათწუთეული. ბელგიელთა მწვრთნელმა **ედი კასტელსმა** პირველი მატჩის შემდეგ დაინახა, რომ „არმიას" მთავარი კოზირი შორი მანძილიდან ტყორცნებია და პერიმეტრი კარგად გადაკეტა. შესაბამისად, თბილისურ მატჩთან შედარებით, ქართველებმა ორჯერ ნაკლები სამქულიანი გამოიყენეს. ფარქვეშიდან კი ვერც თბილისში ვიხეირეთ...

მეორე პერიოდში ჩვენს გუნდს დაცვაში კიდევ უფრო გაუჭირდა, მხოლოდ 9 ქულა ჩააგდო, ხოლო საკუთარ კალათში 25 მიიღო. დიდ შესვენებაზე გასვლის წინ „ანტვერპენმა" 23-ქულიანი ფორა დაიბევა (47:24) და ყოველგვარი კითხვა დღის წესრიგიდან მოხსნა. მეორე ტაიმში „არმიას" არ აღმოაჩნდა ძალა და რესურსი არათუ თამაშის შემოტრიალებისა, არამედ საპატიო სხვაობით წაგებისა - 54:87.

ისღა დაგვრჩენია, 11 დეკემბერს დაველოდოთ და საერთაშორისო სარბიელს სანაკრებო მატჩებამდე დავემშვიდობოთ. 11-ში „არმია" ჯგუფის ბოლო შეხვედრაში გერმანულ „ბონს" მიიღებს.

დღეს

ჰაპოელი-ბონი

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ანტვერპენი | 3 | 2 | 8 |
| 2. ბონი | 3 | 1 | 7 |
| 3. ჰოლონი | 2 | 2 | 6 |
| 4. არმია | 0 | 5 | 5 |




| VII ტური | |
|---|---|
| დინამო-ოლიმპი | 79:84 დ.დ. |
| თსუ-არმია | 65:94 |
| სტუ-სოხუმი | 75:86 |
| ბათუმი-სამედიცინო | 82:73 |
| ქუთაისი-რუსთავი | 60:67 |

## რეკორდები

**ქულა**

31 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
2-ქულ 6/14; 3-ქულ 4/6; საჯ 7/8
24.11.12 ოლიმპი-ქუთაისი

**მოხსნა**

17 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
(მეტოქ: 3; საკუთ: 14)
24.11.12 ოლიმპი-ქუთაისი

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ

**ჩაჭრა**

7 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
17.11.12 სტუ-შსს აკადემია

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

### ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კირკ არჩიბეკი | შსს აკადემია | 5 | 111 | 22.2 |
| 2 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 6 | 125 | 20.83 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 7 | 128 | 18.29 |
| 4 | ნეით ბოუი | რუსთავი | 7 | 125 | 17.86 |
| 5 | ლამარ კარიმი | დინამო | 6 | 107 | 17.83 |
| 6 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 6 | 102 | 17 |
| 7 | გივი ბაქრაძე | თსუ | 7 | 109 | 15.57 |
| 8 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 6 | 90 | 15 |
| 9 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 7 | 103 | 14.71 |
| 10 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 7 | 102 | 14.57 |
| 11 | მილან ოლუიჩი | დინამო | 4 | 58 | 14.5 |
| 12 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 6 | 86 | 14.33 |
| 13 | გიორგი პირველაშვილი | სტუ | 5 | 70 | 14 |

### მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 6 | 29 | 44 | 73 | 12.17 |
| 2 | კირკ არჩიბეკი | შსს აკადემია | 5 | 26 | 33 | 59 | 11.8 |
| 3 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 6 | 19 | 50 | 69 | 11.5 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 7 | 14 | 65 | 79 | 11.29 |
| 5 | მილან ოლუიჩი | დინამო | 4 | 15 | 25 | 40 | 10 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 7 | 16 | 52 | 68 | 9.71 |
| 7 | სერჟი ასელაინი | თსუ | 6 | 16 | 39 | 55 | 9.17 |
| 8 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 7 | 18 | 39 | 57 | 8.14 |
| 9 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 6 | 13 | 35 | 48 | 8 |
| 10 | გიორგი რევაზაშვილი | სამედიცინო | 6 | 16 | 30 | 46 | 7.67 |
| 11 | გიორგი ყველაშვილი | ბათუმი-რსუ | 7 | 19 | 31 | 50 | 7.14 |
| 12 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 7 | 15 | 34 | 49 | 7 |

### პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 5 | 47 | 9.4 |
| 2 | სტენ სოკი | ოლიმპი | 6 | 41 | 6.83 |
| 3 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 5 | 34 | 6.8 |
| 4 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 7 | 37 | 5.29 |
| 5 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 6 | 29 | 4.83 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 6 | 28 | 4.67 |
| 7 | იოსებ ლეჟავა | დინამო | 6 | 28 | 4.67 |
| 8 | რატი ბააკაშვილი | სოხუმი | 6 | 25 | 4.17 |
| 9 | გივი ბაქრაძე | თსუ | 7 | 29 | 4.14 |
| 10 | ნეით ბოუი | რუსთავი | 7 | 26 | 3.71 |

### ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 5 | 16 | 3.2 |
| 2 | ნეით ბოუი | რუსთავი | 7 | 22 | 3.14 |
| 3 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 4 | 10 | 2.5 |
| 4 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 5 | 12 | 2.4 |
| 5 | კურტის მილიჯი | არმია | 5 | 12 | 2.4 |
| 6 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 7 | 16 | 2.29 |
| 7 | აკაკი დვალიშვილი | ოლიმპი | 6 | 13 | 2.17 |
| 8 | მიხეილ ჟოჟუა | რუსთავი | 7 | 14 | 2 |
| 9 | გივი ბაქრაძე | თსუ | 7 | 12 | 1.71 |

### დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 4 | 15 | 3.75 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 7 | 10 | 1.43 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 6 | 8 | 1.33 |
| 4 | ირაკლი კობიძე | თსუ | 5 | 6 | 1.2 |
| 5 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 6 | 7 | 1.17 |

### შესრულება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გაფრინდაშვილი | სამედიცინო | 6 | 26 | 4.33 |
| 2 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 6 | 24 | 4 |
| 3 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 7 | 26 | 3.71 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 7 | 26 | 3.71 |
| 5 | გივი ბაქრაძე | თსუ | 7 | 26 | 3.71 |
| 6 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 7 | 25 | 3.57 |
| 7 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 7 | 24 | 3.43 |
| 8 | რატი ბააკაშვილი | სოხუმი | 6 | 20 | 3.33 |

სუპერლიგა 2012-13. საუკეთესონი

# ბოუი, მეორედ

სუპერლიგის მეშვიდე ტურში ხუთიდან ოთხ თამაშში ვიხილეთ მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა. ბევრისთვის მოულოდნელად ქუთაისში იმარჯვა „რუსთავმა". გადამწყვეტ მომენტში ქვემოქართლელებს დიდად დაეხმარა ამერიკელი **ნეით ბოუი**. ამიტომ ტურის საუკეთესოდაც ის დავასახელეთ.

თბილისში „დინამო"-„ოლიმპის" მატჩში ოვერტაიმი დაფიქსირდა. ახალგაზრდა დინამოელმა **სოსო ლეჟავამ** ორმაგი დუბლი მიითვალა და სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, ხოლო ოვერტაიმში „ოლიმპის" საწყისი ექვსი ქულა **აკაკი დვალიშვილმა** ჩააგდო და გუნდის გამარჯვებაც განაპირობა.

ბათუმელებს მეორე მოგებისკენ გამოცდილი **ლაშა კეშელავა** გაუძღვა, ხოლო „სოხუმმა" სტუ-ს ფარი რომ არ დაუთმო უმთავრესად ცენტრი **ვახტანგ ქადარიას** დამსახურებაა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# ქართული რაგბის ინტერესები უმთავრესია

## საქართველოს ნაკრებისთვის სტადიონის მშენებლობის თაობაზე საუბარი ნამდვილად იყო

**საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე ახლახან პარიზიდან დაბრუნდა, სადაც FIRA AER-ის გენერალური ასამბლეა გაიმართა. ევროპული რაგბის მესვეურთა თავყრილობაზე ქართული რაგბის თავკაცი ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. მოვლენა, ცხადია, ღირსშესანიშნავია. ამდენად, საინტერესოა, რას მოუტანს ქართულ რაგბის ეს კიდევ ერთი აღიარება. გიორგი ნიჟარაძეს რაგბის კავშირში ვეწვიეთ და ამ ფაქტთან ერთად განვლილ სეზონზეც ვესაუბრეთ.**

**- საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ FIRA AER-ის გენერალური ასამბლეაზე თქვენ ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად აგირჩიეს. იქნებ, დაწვრილებით გვიამბოთ არჩევნების პერიპეტიებზე.**

- ასამბლეაზე კიდევ ოთხი წლით პრეზიდენტად ფრანგი ჟან კლოდ ბაკე აირჩიეს. ამასთან ერთად ჩატარდა ვიცე-პრეზიდენტების არჩევნებიც. მერე პრეზიდენტმა თავად დაასახელა აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ვინაობა. პროცედურა ძალიან მარტივი იყო. ეროვნულმა ფედერაციებმა თავიანთი კანდიდატურები რამდენიმე დღით ადრე აცნობეს FIRA AER-ს, რომლებიც ყველა ერთად იყვნენ შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში. ამ არჩევნების შედეგად რამდენიმე ვიცე-პრეზიდენტი აირჩიეს, მათ შორის მეც.

**- რას მოუტანს ეს მოვლენა ქართულ რაგბის?**

- FIRA AER-ს რამდენიმე წლის განმავლობაში „შეუმჩნეველი“ რჩებოდა ქართული რაგბის წინსვლა და პროგრესი. ყოველივე ამის შემდეგ ჩემი ვიცე-პრეზიდენტად არჩევა არის ქართული რაგბის სერიოზული აღიარება. ეს, ცხადია, საშუალებას მოგვცემს მეტი გავაკეთოთ ქართული რაგბისთვის, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ევროპული რაგბის განვითარების პროცესში.

პირადად ჩემთვის ეს ფაქტი არის იმ უზარმაზარი შრომის დაფასება, რასაც წლების განმავლობაში საქართველოში თაობები ეწეოდნენ. დღესაც უამრავი ადამიანი მუხლჩაუხრელად შრომობს ქართული რაგბის განვითარებისთვის. ეს არის ნაყოფი, რომელიც დაუღალავი შრომით მოიმკეს მწვრთნელებმა, მსაჯებმა და თითოეულმა მოთამაშემ.

FIRA AER-ის პრეზიდენტთან წინასწარი შეთანხმებით კურირებას გავუწევ რეგიონში რაგბის განვითარებას, რომელშიც შედიან საბერძნეთი, თურქეთი, უკრაინა და ამიერკავკასიის ქვეყნები. ჩემი დიდი სურვილია, აქტიური მონაწილეობა მივიღო FIRA AER-ისა და ევროპის ექვსი ერის თანამშრომლობაში.

ამასთან ერთად ლაშა ხურციძეს და გიორგი ჭუმბურიძეს წარვადგენთ FIRA AER-ის წამყვან კომიტეტებში, რომლებიც ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

**- რა გეგმები დასახა FIRA AER-ის ახალმა ხელმძღვანელობამ?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ასამბლეაზე მოხდა, ის იყო, რომ თანამდებობებზე დაინიშნენ კვალიფიციური კადრები. აღმასკომი მთლიანად ექვსი ერის ქვეყნების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტდა და დაიწყო ძალიან აქტიური თანამშრომლეობა ამ ორ ორგანიზაციას შორის. ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, რომ მალე ევროპულ რაგბიში ერთმმართველობა დამყარდება.

დიდი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდული ნაკრებების თემას. განსაკუთრებით კი 18-წლამდელთა ტურნირს, რომელშიც ევროპის ელიტური ქვეყნების გუნდებიც ასპარეზობენ. მომავალი წლის მარტში გაიმართება შეხვედრა, სადაც სავარაუდოდ გადაწყდება, რომ ეს ექსპერიმენტი სხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც განახორციელონ.

დაიგეგმა რაგბის მასობრიობის ევროპული პროგრამის განხორციელება, რომელშიც აქტიურად მივიღებთ მონაწილეობას. ამ პროგრამის მიხედვით, სკოლის დამწყები კლასების ბავშვებს წელიწადში ჩაუტარდებათ ათი გაკვეთილი, სადაც ელემენტარულ სარაგბო უნარ-ჩვევებს ასწავლიან.

**- ახლახან გაიმართა 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების წილისყრა, სადაც საქართველოს ნაკრების სავარაუდო მეტოქეები გაირკვა. როგორ შეაფასებდით ამ წილისყრის შედეგებს?**

- დავიწყოთ იმით, რომ აუცილებლად უნდა მოვიგოთ ერთა თასის გათამაშება და მსოფლიოს თასის საგზური მოვიპოვოთ როგორც პირველადგილოსანმა გუნდმა. ამ შემთხვევაში C ჯგუფში მოვხვდებით, სადაც მეტოქეები ახალი ზელანდიის, არგენტინის, ტონგას ნაკრებები და აფრიკის კონტინენტის ჩემპიონი იქნებიან.

ვფიქრობ, სხვა ვარიანტებთან შედარებით ეს ჩვენთვის იდეალური ჯგუფია. მეტ-ნაკლებად სუსტი აქ აფრიკის კონტინენტის გამარჯვებული იქნება, რომელთან მოგებაც თავიდანვე უნდა დაიგეგმოს და დანარჩენ გუნდებთან თამაშს პრაგმატულად მივუდგეთ. ეს ფსიქოლოგიურად ჩვენი გუნდისთვის შესანიშნავი იქნება.

მესამე ნომერი ჯგუფში არის ტონგას ნაკრები, რომელიც პროგრესს განიცდის და ძალიან ძლიერი გუნდია, თუმცა ტონგელებთან თამაშში გამორიცხული არაფერია, მათი დამარცხება ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი.

არგენტინის ნაკრები ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია. ორჯერ უკვე ვეთამაშეთ მსოფლიოს თასის გათამაშებებში. მესამედ გაისად ივნისში სტუმრად დავუპირისპირდებით. ისინიც კარგად გვიცნობენ, თუმცა შეგვიძლია მათ სერიოზული ბრძოლა გავუმართოთ.

ახალი ზელანდიის ნაკრებთან თამაში წესით არ უნდა გვიხაროდეს, რადგან ამ გუნდთან აუცილებლად წავაგებთ და, გამორიცხული არ არის, დიდი ანგარიშითაც. თუმცა მაინც სასიხარულოა, რადგან „ოლ ბლექსთან“ მსოფლიოს თასზე თამაში დიდი პატივია, რაზეც ძალიან ბევრი ქვეყნის ნაკრები ოცნებობს.

თუ ერთა თასზე მეორე ადგილზე გავედით, მაშინ ვითარება გაცილებით რთული იქნება. ნურავის ჰგონია, რომ იტალიის ნაკრებისა და ამერიკის კონტინენტის ჩემპიონთან (აშშ ან კანადა) დაგეგმილად მოვიგებთ. ეს ის შემთხვევაა, როცა შესაძლოა მეტოქეებს ვძლიოთ ან პირიქით, ყველა თამაში წავაგოთ. აქედან გამომდინარე ჩვენთვის C ჯგუფში თამაში უკეთესია.

**- ნოემბრის ტესტებზე საქართველოს ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა და ორივეში დამარცხდა. რით შეიძლება აიხსნას „ბორჯღალოსნების“ ეს წარუმატებლობა?**

- ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ რაგბის საერთაშორისო საბჭოსი, რომ საშუალება მოგვცა ჩვენზე ძლიერ გუნდებს ვეთამაშოთ. ამისთვის მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძოდით. როდესაც საქართველოს რაგბის კავშირი განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას ვამუშავებდით, კარგად გვქონდა გააზრებული, რა გზას უნდა დავდგომოდით. ასარჩევი იყო ორი გზა.

პირველი - საქართველოს ნაკრები განაგრძობს ასპარეზობას ერთა თასზე და იქ გამარჯვებებს. ამ შემთხვევაში კმაყოფილი არიან გულშემატკივრებიც, მთავრობაც და სპონსორებიც. ვამკვიდრებთ ნაუგებელი ნაკრების სტატუსს, თუმცა ამ მიმართულებით სვლით ქართული რაგბის განვითარება გამორიცხულია.

მეორე - ერთა თასის პარალელურად დაგვეწყო ძლიერ გუნდებთან ტესტების სერია, რაც იმთავითვე გულისხმობს იმას, რომ დავიწყებდით წაგებებს, ეს კი აბსოლუტურად ლოგიკურია. ამით მოვიმდურებდით გულშემატკივრების გარკვეულ ნაწილს. თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ მაღალი დონის გუნდებთან პაექრობაში იქნება შესაძლებელი საქართველოს ნაკრების დონის ამაღლება. ამ გუნდებთან შეხვედრებში კარგად ჩანს არსებული ნაკლოვანებები, რა არის გამოსასწორებელი და რაზე გვაქვს ყველაზე მეტი სამუშაო. ქართული რაგბის ინტერესებიდან გამომდინარე ავირჩიეთ მეორე გზა და დარწმუნებული ვართ, რომ შედეგს გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად მოვიმკით.

ფიჯისა და იაპონიის ნაკრებებთან მატჩებს თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ, ჩვენ მივიღეთ ის, რაც გვინდოდა. ვეთამაშეთ ძლიერ გუნდებს, დავინახეთ ჩვენი ნაკლოვანებები, ვისწავლეთ აბსოლუტურად განსხვავებული სტილის გუნდებთან თამაში და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეგვეძლო ორივე ნაკრები დაგვემარცხებინა. ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რა ნაკლოვანებებზე გვაქვს სამუშაო.

**- ამას წინათ, ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა თქვა, რომ გაისად ნოემბრის ტესტებზე ორი თამაშია დაგეგმილი, აშშ-ისა და კანადის ეროვნულ გუნდებთან. თუმცა უნდა, რომ მესამე თამაშიც მოითხოვოს...**

- უნდა ვცადოთ და ვთხოვოთ IRB-ს მესამე ტესტიც დაგვინიშნოს. რომელი ქვეყნის ნაკრებს გამოგვიგზავნიან, ძნელი სათქმელია, კარგი იქნება ტონგასთან თუ გვათამაშებენ, ან მსგავსი სტილის მქონე, თუნდაც იმავე ფიჯისთან. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ძალიან გაგვიჭირდება ფრანგული კლუბებიდან მორაგბეების სამი კვირით განთავისუფლება.

**- ჰეიგს ნოემბრის ტესტებზე ტანა უმაგა ეხმარებოდა, მოხერხდა თუ არა მასთან მოლაპარაკება, მომავალშიც ითანამშრომლოს საქართველოს ნაკრებთან?**

- ტანა უმაგას ჩამოყვანის მიზანი თავდაპირველად რაგბის პრომოუშენი იყო, მერე დავფიქრდით, ხომ არ დაგვეწყო მასთან თანამშრომლობა. პრობლემა ისაა, რომ ორწლიანი კონტრაქტი გაქვს ახალზელანდიურ კლუბთან გაფორმებული, ამიტომ ცოტა გაურკვეველია, როგორ შეძლებს ის ჩვენს ნაკრებთან მუშაობას. საერთოდ მწვრთნელთა შტაბი კრის გიბსის წასვლის შემდეგ შესავსებია და გადაწყვეტილებას ამის თაობაზე უახლოეს დღეებში მივიღებთ.

**- მოდით, განვლილი სეზონი შევაჯამოთ, რა იყო დადებითი და რამ გაგიცრუათ იმედი?**

- საბოლოო ჯამში სეზონი, ალბათ, წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. გვქონდა ერთი ჩავარდნა, რომელიც პირადად ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. ეს არის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წარუმატებლობა. შესაბამისად, ამ გუნდის თავკაცი იან სმიტი თანამდებობიდან გავათავისუფლეთ. მას ორჯერ ჰქონდა შანსი შედეგი ეჩვენებინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ამიერიდან საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებს სათავეში ქართველი მწვრთნელები ჩაუდგებიან. დონ კასკი ისევ „სარაგბო აკადემიაში“ იმუშავებს და მათ დაეხმარება. ყველა ნაკრებს მილტონ ჰეიგი გაუწევს კურატორობას. აღსანიშნავია, რომ მოსამზადებელ პერიოდში მნიშვნელოვანი ტურნირების წინ მათ ძლიერ სპარინგპარტნიორებთან მოუწევთ თამაში.

საქართველოს ჩემპიონატში პირველი წრის შედეგებით ვნახეთ, რომ კონკურენცია გაიზარდა. მედლებისთვის რეალურად ექვსი გუნდი იბრძვის. მართალია, „არმია“ და „ლელო“ ახლა დანარჩენებს მნიშვნელოვნად უსწრებენ, თუმცა დარწმუნებული ვარ, მეორე წრეში „აია“ და „ლოკომოტივი“ საგრძნობლად მოუმატებენ. მიმდინარე ჩემპიონატის მშვენებაა „არმაზი“, რომელმაც ერთ წელიწადში სერიოზული პროგრესი განიცადა.

ყველაზე დიდი ოპტიმიზმის საფუძველს კი ჭაბუკთა A ლიგის წლევანდელი გათამაშების ფინალი მაძლევს. ქუთაისისა და რუსთავის გუნდების დაპირისპირებისას სრულიად ახლებური რაგბი ვიხილეთ. მორაგბეები შესანიშნავად თამაშობდენ ხელდახელ, სწორად აზროვნებდნენ და ყველანი აღფრთოვანებული დავრჩით.

**- ახლახან თბილისში IRB-ს დიდმოხელეები სტუმრობდნენ, რომლებთან ერთადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდით. რა კონკრეტულ თემებზე ისაუბრეთ?**

- ძალიან კარგი შეხვედრა იყო. პრემიერ-მინისტრს ჩემთან ერთად მარკ იგანი, გრემ მური, რიჩი დიქსონი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე გია რაფავა შეხვდნენ. წესით, ბიძინა ივანიშვილს ჩვენთვის 20 წუთი უნდა დაეთმო, თუმცა საუბარმა საათი და ორმოცი წუთი გასტანა. ამ დროის განმავლობაში ვისაუბრეთ საქართველოში რაგბის განვითარების პრობლემებზე.

IRB-ს წარმომადგენლებმა თავის მხრივ უამბეს რა გააკეთეს და კიდევ რას გეგმავენ ქართული რაგბის განვითარებისთვის. აღნიშნეს, რომ საქართველოში რაგბის კავშირის, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა ყველასთვის სამაგალითო იყო. მათ მიიღეს გარანტია, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდება და უფრო ნაყოფიერი გახდება.

**- ხომ არ ყოფილა საუბარი საქართველოს ნაკრებისთვის სტადიონის მშენებლობის თაობაზე.**

- დიახ, საქართველოს ნაკრებისთვის სტადიონის მშენებლობის თაობაზე საუბარი ნამდვილად იყო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*


გიორგი ნიჟარაძე


საქართველო-ფიჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



დურანტი და ენტონი

# კვირის მოთამაშეები

„ნიუ იორკ ნიქსისა" და "ოკლაჰომასტის" ფორვარდები – **კარმელო ენტონი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ენტონი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. კარმელო საშუალოდ მატჩში 29.5 ქულას (ლიგაში საუკეთესო), 8.0 მოხსნასა და 1.3 დაფარებას აგროვებდა. გასულ კვირას, ენტონიმ ორ მატში მოახერხა 30 ქულაზე მეტის მოხვეჭა.

დურანტის კარგი თამაშის წყალობით, "ოკლაჰომამ" გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. კევინის მონაგარი იყო 25.0 ქულა, 6.3 მოხსნა და 2.5 დაფარება. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო დურანტის თამაში "ჰიუსტონის" წინააღმდეგ – ოკლაჰომელმა 37 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

### ენტონის კვირა

**26 ნოემბერი. ნიუ იორკი-ბრუკლინი 89:96 (ო).** 35 ქულა, 13 მოხსნა.

**28 ნოემბერი. ნიუ იორკი-მილუოკი 102:88.** 29 ქულა.

**30 ნოემბერი. ნიუ იორკი-ვაშინგტონი 108:87.** 20 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი.

**2 დეკემბერი. ნიუ იორკი-ფინიქსი 106:99.** 34 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი.

### დურანტის კვირა

**26 ნოემბერი. ოკლაჰომა-შარლოტი 114:69.** 18 ქულა, 6 მოხსნა, 4 დაფარება.

**28 ნოემბერი. ოკლაჰომა-ჰიუსტონი 120:98.** 37 ქულა, 7 მოხსნა.

**30 ნოემბერი. ოკლაჰომა-იუტა 106:94.** 25 ქულა, 4 დაფარება.

**1 დეკემბერი. ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა 79:100.** 20 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დევიდ ლი** („გოლდენ სტეიტი"), **პატრიკ პატერსონი** („ჰიუსტონი"), **მაიკ კონლი** („მემფისი"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **ლარი სანდერსი** („მილუოკი"), **ტაისონ ჩენდლერი** („ნიუ იორკი").

### შარლოტი-პორტლენდი 112:118 (ო)

**34:26, 20:25, 21:19, 27:32, 10:16**

**შ:** გორდონი (29+5 პასი), უოკერი (22+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), მალენსი (12+12 მოხსნა), სეშენსი (11+9 პასი), ტეილორი (11).

**პ:** ოლდრიჯი (25+13 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), ლილარდი (24+9 პასი), მეტიუზი (19+7 მოხსნა), ბატუმი (17+13 მოხსნა+7 პასი).

### დეტროიტი-კლივლენდი 89:79

**30:17, 26:22, 19:24, 14:16**

**დ:** ნაითი (17+5 მოხსნა+5 პასი), სინგლერი (15+6 მოხსნა), პრინსი (15), მაქსიელი (12+6 მოხსნა+5 დაფარება), მონრო (9+14 მოხსნა+5 პასი), დრამონდი (7+12 მოხსნა+3 დაფარება).

**კ:** ვარეჟაო (17+18 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტომპსონი (10+11 მოხსნა), პარგო (10+8 პასი), კასპი (10).

### ნიუ ორლეანი-მილუოკი 102:81

**30:28, 23:22, 24:17, 25:14**

**ნ-ო:** ანდერსონი (22+7 მოხსნა), ლოპესი (21), სმიტი (12+3 ჩაჭრა), ვასკესი (11+9 პასი), რობერტსი (10+5 პასი), ტომასი (10).

**მ:** ჯენინგსი (25), ელისი (17+6 პასი).

### დენვერი-ტორონტო 113:110

**29:24, 32:20, 28:31, 24:35**

**დ:** ბრიუერი (19+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), ფარიდი (18+10 მოხსნა), მაკგი (17+6 მოხსნა+5 დაფარება), ლოუსონი (16), გალინარი (13+8 მოხსნა), კუფოსი (10+10 მოხსნა).

**ტ:** ლოური (24+7 პასი+3 დაფარება), ბარნიანი (23), დეროზანი (18+7 მოხსნა), როსი (12+6 მოხსნა), ჯონსონი (11).

### იუტა-კლიპერსი 104:105

**31:19, 27:32, 25:22, 21:32**

**ი:** მო უილიამსი (20+12 პასი), ფოიე (19), გ. ჰეივორდი (17+5 მოხსნა), ჯეფერსონი (16+10 მოხსნა+5 პასი), მილსეპი (13+8 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (30+11 მოხსნა), კროუფორდი (20), პოლი (14+9 პასი), ბლედსოუ (10).

### გ. სტეიტი-ორლანდო 94:102

**27:28, 20:23, 22:18, 25:33**

**გ-ს:** კარი (25+5 მოხსნა+11 პასი), ლი (22+9 მოხსნა), ჯეკი (17), ლენდრი (9+10 მოხსნა).

**ო:** დევისი (24+6 მოხსნა), აფლალო (24), რედიკი (22+5 მოხსნა+7 პასი), ვუჩევიჩი (14+15 მოხსნა), ნელსონი (7+9 პასი).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ იორკი* | 16 | 12 | 4 | 75.0 |
| 2. მაიამი* | 15 | 12 | 3 | 80.0 |
| 3. ბრუკლინი | 16 | 11 | 5 | 68.8 |
| 4. ჩიკაგო* | 15 | 8 | 7 | 53.3 |
| 5. ატლანტა | 14 | 9 | 5 | 64.3 |
| 6. ფილადელფია | 17 | 10 | 7 | 58.8 |
| 7. ბოსტონი | 17 | 9 | 8 | 52.9 |
| 8. მილუოკი | 16 | 8 | 8 | 50.0 |
| 9. ინდიანა | 17 | 8 | 9 | 47.1 |
| 10. შარლოტი | 16 | 7 | 9 | 43.8 |
| 11. ორლანდო | 17 | 7 | 10 | 41.2 |
| 12. დეტროიტი | 19 | 6 | 13 | 31.6 |
| 13. კლივლენდი | 18 | 4 | 14 | 22.2 |
| 14. ტორონტო | 18 | 4 | 14 | 22.2 |
| 15. ვაშინგტონი | 14 | 1 | 13 | 7.1 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მემფისი* | 15 | 12 | 3 | 80.0 |
| 2. ოკლაჰომა* | 18 | 14 | 4 | 77.8 |
| 3. სან ანტონიო | 18 | 14 | 4 | 77.8 |
| 4. კლიპერსი* | 17 | 11 | 6 | 64.7 |
| 5. გ. სტეიტი | 18 | 10 | 7 | 58.8 |
| 6. დენვერი | 18 | 9 | 9 | 50.0 |
| 7. ჰიუსტონი | 16 | 8 | 8 | 50.0 |
| 8. იუტა | 19 | 9 | 10 | 47.4 |
| 9. ლეიკერსი | 17 | 8 | 9 | 47.1 |
| 10. დალასი | 17 | 8 | 9 | 47.1 |
| 11. მინესოტა | 15 | 7 | 8 | 46.7 |
| 12. პორტლენდი | 18 | 8 | 10 | 44.4 |
| 13. ფინიქსი | 18 | 7 | 11 | 38.9 |
| 14. ნიუ ორლეანი | 16 | 5 | 11 | 31.2 |
| 15. საკრამენტო | 16 | 4 | 12 | 25.0 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ქულა**

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.3 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 26.6 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 26.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 24.7 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 24.1 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 20.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 20.7 |
| ო ჯეი მაიო (დალ) | 21.2 |
| კრის ბოში (მაი) | 19.3 |
| პოლ პირსი (ბოს) | 19.2 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| ანდერსონ ვარეჟაო (კლი) | 15.4 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.7 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 12.3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 11.3 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 10.7 |
| კენეტ ფარიდი (დენ) | 10.5 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 10.5 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.1 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 9.9 |
| გრეგ მონრო (დეტ) | 9.9 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 12.9 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 9.3 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.3 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 8.9 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 8.7 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.7 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 7.3 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 7.2 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 7.1 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.1 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| მაიკ კონლი (მემ) | 2.6 |
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 2.5 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.1 |
| კემბა უოკერი (შარ) | 2.1 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 2.0 |
| ტონი ალენი (მემ) | 2.0 |
| გორან დრაგიჩი (ფინ) | 1.9 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 1.9 |
| უესლი მეტიუზი (პორ) | 1.9 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.3 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 3.1 |
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.0 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.6 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.5 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.4 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.4 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.2 |
| მარცინ გორტატი (ფინ) | 2.1 |
| დეანდრე ჯორდანი (კლიპ) | 2.0 |

# ლიგა ნოემბერს აჯამებს

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ რეგულარული ჩემპიონატის პირველი თვის ლაურეატების გამოვლენა დაიწყო. თავდაპირველად დასახელდნენ ნოემბრის საუკეთესო მწვრთნელები.

აღმოსავლეთის ლაურეატი გახდა "ბრუკლინ ნეტსის" დამრიგებელი **ეივერი ჯონსონი**. მისმა გუნდმა გასულ თვეში 11 მატჩი მოიგო და ოთხჯერ დამარცხდა. მოგებების რაოდენობით, "ბრუკლინი" არ ჩამოუვარდება აღმოსავლეთის ფავორიტებს – "მაიამი ჰიტსა" (11-3) და "ნიუ იორკ ნიქსს" (11-4).

15 მატჩში 11 მოგება საუკეთესო სტარტია კლუბის ისტორიაში. გარდა ამისა, „ნეტსმა" არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო შეხვედრა - 107:68 „ორლანდოს" წინააღმდეგ. და კიდევ, „ბრუკლინი" საშუალოდ მატჩში 90.4 ქულას უშვებს, რაც მეორე შედეგია რეგულარულ ჩემპიონატში.

დასავლეთში საუკეთესოდ დაასახელეს „მემფისის" მთავარი მწვრთნელი **ლაიონელ ჰოლინზი**. მისმა გუნდმა გასულ თვეში საუკეთესო ბალანსი აჩვენა - 12 მოგება და 2 წაგება. „გრიზლისი" ლიგის ლიდერია დაცვაში თამაშით - მისი მეტოქეები საშუალოდ მატჩში მხოლოდ 90.1 ქულას აგროვებენ. საინტერესოა, რომ 11 და 14 ნოემბერს, „მემფისმა" შარშანდელი სეზონის ფინალისტებს - „მაიამისა" (104:86) და „ოკლაჰომას" (107:97) ორნიშნა სხვაობით მოუგო.

თვის მწვრთნელობაზე პრეტენდენტები იყვნენ: **ლარი დრიუ** („ატლანტა"), **მაიკ დანლეპი** („შარლოტი"), **ერიკ სპოელსტრა** („მაიამი"), **მაიკ ვუდსონი** („ნიუ იორკი"), **სკოტ ბრუქსი** („ოკლაჰომა") და **გრეგ პოპოვიჩი** („სან ანტონიო").



ლაიონელ ჰოლინზი

# რუსეთს ობრადოვიჩი ჩაიბარებს?

რუსული პრესა ირწმუნება, რომ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი გახდება სერბი სპეციალისტი **ჟელკო ობრადოვიჩი**. შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ, სადაც რუსეთის ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ამერიკელმა **დევიდ ბლატმა** და მისი შემცვლელი დღემდე არ უპოვიათ. ადრე კანდიდატებად განიხილავდნენ რუს სპეციალისტებს: **სერგეი ბაზარევიჩს, ევგენი პაშუტინსა** და **ვასილი კარასიოვს**.



ჟელკო ობრადოვიჩი

ობრადოვიჩი 2012 წლის გაზაფხულიდან არის უმუშევარი, მანამდე კი ის ცხრა წელი ავარჯიშებდა საბერძნეთის „პანათინაიკოსს" და მასთან ერთად მოიგო ყველანაირი ტიტული შიდა და ევროპულ არენაზე.

■ ■ ■

ამასობაში, თითქმის გაირკვა, რომ 2013 წელს, სლოვენიაში ევრობასკეტზე გერმანიის ნაკრები თავისი ლიდერის **დირკ ნოვიცკის** გარეშე ითამაშებს. „დალასის" ფორვარდს ეჭვი ეპარება, რომ შეძლებს კონტინენტის პირველობაზე თამაშს.

*„არა მგონია, სლოვენიაში ჩავიდე სათამაშოდ. ახლა, პირველ რიგში, იმაზე ვფიქრობ, რომ რეგულარულ ჩემპიონატში ჩემს დალასელ თანაგუნდელებს დავეხმარო"*, - ამბობს ნოვიცკი, რომელიც მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, აღდგენით კურსს გადის.

ოლიმპიზმი

# ოლიმპიური ოჯახიდან გაძევებული

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეაჩერა თავის რიგებში ინდოეთის წევრობა, - ამ ინფორმაციას სააგენტო AP ავრცელებს. ინდოელი სპორტსმენები ვერ გამოვლენ ტურნირებზე თავიანთი ქვეყნის დროშის ქვეშ, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებზეც. გარდა ამისა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აღარ მიიღებს სოკ-ისგან ფინანსურ დახმარებას, ინდოელი ჩინოვნიკები კი ვერ დაესწრებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით გამართულ ღონისძიებებს.

ინდოეთი დაისაჯა იმის გამო, სახელმწიფო ჩაერია ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში. კერძოდ, სახელმწიფო სტრუქტურები ცდილობენ გავლენა იქონიონ კომიტეტის არჩევნებზე, რომელიც 5 დეკემბერს გაიმართება. თავდაპირველად, არჩევნები 25 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პროსტესტის ნიშნად დატოვა პოსტი - ამით ის შეეწინააღმდეგა სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლას.



ინდოეთის ოლიმპიური გუნდი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ხშირად აკრიტიკებდა ინდოეთის მთავრობას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის წევრ **სურშა კალმადის** დაპატიმრების გამო, რომელიც პასუხისმგებელი იყო 2010 წელს, დელიში თანამეგობრობის თამაშების ორგანიზებაზე. 2011 წელს კალმადი კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს, მაგრამ 2012 წლის იანვარში გაათავისუფლეს.

მხატვრული ტანვარჯიში

# რუსები ჩემპიონებს კარგავენ



ევგენია კანაევა

მხატვრულ ტანვარჯიშში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ევგენია კანაევამ** სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

გუშინ, 22 წლის კანაევა რუსეთის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დაამტკიცეს. სპორტსმენმა აღნიშნა, რომ სპორტსა და ფედერაციას შორის აკეთებდა არჩევანს და საბოლოოდ, ჩინოვნიკობა გადაწყვიტა.

სექტემბერის დასაწყისში, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი **ირინა ვინერი** ამბობდა, რომ კანაევა დიდი ალბათობით გააგრძელებდა სპორტულ კარიერას. კანაევა მესამე ტანმოვარჯიშე გახდა, რომელმაც რუსეთის ნაკრები ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ დატოვა. მანამდე დიდი სპორტიდან წავიდნენ 20 წლის **ულიანა დონსკოვა** და 17 წლის **კაროლინა სევასტიანოვა**.

კანაევამ 2008 წელს პეკინში და 2012 წელს ლონდონში ინდივიდუალურ პირველობაში მოიგო ოქროს მედალი. გარდა ამისა, რუსი ტანმოვარჯიშის ანგარიშზეა 17 ოქრო მსოფლიოს ჩემპიონატებზე და 13 უმაღლესი ჯილდო ევროპის პირველობებზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

# ამბოზენ, მოილაპარაკესო!




კანადური ტელესაკომუნიკაციო კომპანია CBC-ის ერთ-ერთმა რეპორტიორმა სანდო წყაროზე დაყრდნობით გამოაცხადა, რომ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მალე დასრულდება ლოკაუტი.

ის ამბობს, რომ ორშაბათს შედგა საიდუმლო შეხვედრა, რომლის დროსაც ლიგის ხელმძღვანელობამ და პროფკავშირებმა მოლაპარაკებების პროცესში შესამჩნევ პროგრესს მიაღწიეს და სამშაბათს ან ოთხშაბათს კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებისთვის ემზადებიან.

თუმცა ამ ჟურნალისტის ოპტიმიზმის მიუხედავად, ორივე დაპირისპირებული მხარე უარყოფს ლოკაუტის სწრაფად დასრულების შესახებ ინფორმაციას.

ასევე არსებობს ოფიციალური ინფორმაცია. ჰოკეის ეროვნული ლიგისა და მოთამაშეთა პროფკავშირების მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი დღეს გაიმართება, - წერს NHL-ის ოფიციალური ვებგვერდი. შეხვედრას დაესწრებიან მხოლოდ კლუბების მფლობელები და ჰოკეისტები. დიალოგი ნიუ იორკში შედგება. მოთამაშეების პირისპირ წარდგებიან "პიტსბურგის", "ვინიპეგის", "კალგარის", "ბოსტონის", "ტორონტოსა" და "ტამპა ბეის" მფლობელები.

■ ■ ■

ამასობაში, "პიტსბურგის" კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ** აირჩია ადგილი ლოკაუტის პერიოდში კარიერის გასაგრძელებლად. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, კროსბიმ უკვე მისცა წინასწარი თანხმობა ერთ-ერთ შვეიცარიულ კლუბს, ხოლო ჰოკეის კონტინენტურ ლიგაში თამაშზე უარი განაცხადა გადაფრენებთან დაკავშირებული სირთულეების გამო.

*"ისევე, როგორც სხვები, მეც მზად ვარ სათამაშოდ. თუ ჩვენ ვერ ვახერხებთ NHL-ში სეზონის გადარჩენას, უმჯობესია მონაწილეობა მივიღოთ ოფიციალურ მატჩებში, ვიდრე გაუთავებლად ვივარჯიშოთ"*, - განაცხადა კროსბიმ.

დავამატებთ, რომ შვეიცარიაში გამოდის NHL-ის ბევრი ვარსკვლავი, მათ შორის, **ჯო ტორნტონი, ტაილერ სეგინი** და **რიკ ნეში.**

ფორმულა 1. ახალი ამბები

# საჩემპიონო ბოლიდი ლუისს

ვალენსიას ტურიზმის მინისტრი **ლოლა ჯონსონის** თქმით, გრძელდება მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ ესპანეთის გრანპრი მონაცვლეობით ჩატარდეს ვალენსიასა და ბარსელონაში. თუ შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ, ვალენსია ფორმულა 1-ის ეტაპს 2014 წელს უმასპინძლებს.

*"ამჟამად აქტიური მოლაპარაკებების სტადიაში ვიმყოფებით, - ამბობს ჯონსონი. – ვალენსია, ბარსელონა და ფორმულა 1 წარმოადგენენ თანამშრომლობის საკუთარ ვარიანტებს. მაგრამ სამივე ვარიანტში გათვალისწინებულია ის, რომ ვალენსიამ და ბარსელონამ რიგრიგობით მიიღონ ესპანეთის გრანპრი. ამ მომენტისთვის რჩება გარკვეული დეტალების დაზუსტება და ხელშეკრულების გაფორმება. ასე რომ, როგორც ველოდით - ვალენსია უკვე 2014 წელს მიიღებს ეტაპს".*

■ ■ ■

ბოლო დროს გავრცელდა ჭორები იმის შესახებ, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, გერმანელმა **სებასტიან ფეტელმა** გაახანგრძლივა კონტრაქტი "რედ ბულთან". შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ხელშეკრულების თანახმად, ფეტელი ავსტრიულ საჯინიბოში 2014 წლის ბოლომდე დარჩება.

თუმცა საჯინიბოს ხელმძღვანელობამ უარყო პრესაში ატეხილი აჟიოტაჟი.

*"ჩვენ გვაქვს კონტრაქტი 2014 წლამდე. ეს არის სიმართლე. სხვა ახალი ინფორმაცია არ არსებობს. არ ვიცი საიდან ვრცელდება ასეთი ჭორები"*, - განაცხადა "რედ ბულის" მრჩეველმა **ჰელმუტ მარკომ.**

■ ■ ■

როგორც იცით, მომავალ სეზონში "მერსედესის" ბოლიდით გამოვა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი.** ამასთან დაკავშირებით, გერმანულ საჯინიბოში ოპტიმიზმით უყურებენ მომავალ სეზონს – "მერსედესის" შეფი **როს ბრაუნი** 2013 წელს ტიტულისთვის ბრძოლას წინასწარმეტყველებს.


როს ბრაუნი

*"ძალიან ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ მომავალ წელს ლუისსა და ნიკოს პოდიუმებისთვისა და გამარჯვებებისთვის ბრძოლის საშუალება მივცეთ. ეს არის ჩვენი მიზანი. იმედია, ეს უკვე 2013 წელს მოხდება.*

*ცხადია, რომ თანდათან ვძლიერდებით. ჩვენი გუნდი მოხარულია, რომ ისეთი პილოტი, როგორიც ჰემილტონია, ჩვენთან ერთად იმუშავებს. ეს მნიშვნელოვანია.*

*ბოლიდი უმჯობესდება და ამიტომაც ძლიერი პილოტები გვჭირდებოდა. ვაპირებ ლუისს მივცე ისეთი ბოლიდი, რომელიც მას ტიტულის მოპოვებაში დაეხმარება"*, - ამბობს როს ბრაუნი.

ამბები

ოლიმპიზმი

## იუტა ოლიმპიადას უმიზნებს

იუტას შტატის გუბერნატორი **გერი ჰერბერტი** ამბობს, რომ 2026 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე განაცხადის შეტანას აპირებს. მისი თქმით, რეგიონი მზად არის ასეთი სპორტული ფორუმის მისაღებად.

*"შესანიშნავად გვესმის, რომ ოლიმპიადის ჩატარება დიდი ხარჯის გარეშე შეუძლებელია,* - მოჰყავს Yahoo! Sports-ს ჰერბერტის სიტყვები. - *მაგრამ ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ თამაშების ორგანიზებისთვის იდეალური პირობები. იუტაში ბევრი სპორტული ობიექტია, რომელიც მზად არის სპორტსმენთა მისაღებად. ფინანსური თვალსაზრისით, ჩვენ მზად ვართ ოლიმპიადისთვის. საერთო ჯამში, უბრალოდ შეუძლებელია თამაშების ორგანიზებისთვის უკეთესი ადგილის მონახვა.*

კალათბურთი

## სპანულისი ნოემბრის მოთამაშეა

"ოლიმპიაკოსის" მცველი **ვასილის სპანულისი** ნოემბერში ევროლიგის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

გასულ თვეში ბერძენმა პლეიმეიკერმა ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ხუთივე ბერძნული გრანდის გამარჯვებით დასრულდა. ვასილისი საშუალოდ შეხვედრაში 17.6 ქულასა და 6.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. ამ მომენტისთვის, სპანულისს წლევანდელ ტურნირზე საშუალოდ 6.25 შედეგიანი პასი აქვს, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ევროლიგაზე.

შეგახსენებთ, რომ "ოლიმპიაკოსი" ევროლიგის მოქმედი ჩემპიონია, თავად სპანულისი კი გასულ წელს "ოთხთა ფინალის" საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

## ბლეიკი ორ თვეს დაისვენებს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველ **სტივ ბლეიკს** კუნთის ტრავმის სამკურნალოდ ოპერაცია სჭირდება. ქირურგიული ჩარევა 5 დეკემბრისთვის არის დანიშნული, ხოლო ოპერაციიის შემდეგ აღდგენითი პროცესი ექვსი-რვა კვირა გაგრძელდება, - იტყობინება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ ბლეიკმა დაზიანება ჯერ კიდევ 12 ნოემბერს მიიღო, მაგრამ მაშინ წინასწარი დიაგნოზი არასწორი იყო - ექიმებმა კუნთის დაჭიმვა დაასახელეს.

ფრენბურთი

## შემოდგომის ნაცვლად მაისი

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა ქალებსა და მამაკაცებს შორის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი შემოდგომიდან მაისის პირველ ნახევარში გადაიტანოს.

ფრენბურთში კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი 2009 წელს აღადგინეს. ტურნირი შემოდგომაზე კატარის დედაქალაქ დოჰაში ტარდებოდა. 2009 წელს - ნოემბრის დასაწყისში, 2010 წელს - დეკემბრის მეორე ნახევარში, 2011 წელს - ოქტომბრის პირველ ნახევარში და 2012 წელს - ოქტომბრის შუაში.

ახლა, ფედერაციაში გადაწყვიტეს, რომ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2013 წელს, მაისის პირველ ნახევარში გაიმართოს. ჩატარების ადგილი ჯერ არ არის ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ წელს კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: კაცებში იტალიის "ტრენტინო" (ზედიზედ მეოთხედ), ქალებში – ბრაზილიის "სოლის ოზასკუ".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| დინამო (ზ)-დინამო (კ) | 1:1 |
| პსჟ-პორტუ | 2:1 |
| მონპელიე-შალკე | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-არსენალი | 2:1 |
| მილანი-ზენიტი | 0:1 |
| მალაგა-ანდერლეხტი | 2:2 |
| დორტმუნდი-მანჩესტერ სიტი | 1:0 |
| რეალი-აიაქსი | 4:1 |
| **ინგლისი** | |
| **ნასიონალი** | |
| ებსფლიტი-კემბრიჯი | 2:4 |
| ლინკოლნი-უოკინგი | 0:2 |
| მაკლსფილდი-ჰაიდი | 3:2 |
| ნანიტონი-დარტფორდი | 1:0 |
| ტამუორტი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| ტელფორდი-ბაროუ | 1:1 |
| **League Trophy** | |
| პლიმუტი-ოქსფორდი | 1:1 პენ. 1:2 |
| პორტ ვეილი-ბრედფორდი | 0:2 |
| ქრიუ-დონკასტერი | 1:1 პენ. 2:1 |
| ქოვენთრი-შეფილდი | 1:1 პენ. 2:1 |
| საუთენდი-ბრენტფორდი | 2:1 |
| იეოვილი-უიკომბი | 2:0 |
| ბერი-პრესტონი | *გადაიდო* |
| **იტალიის თასი** | |
| კატანია-ჩიტადელა | 1:1 დ.დ. 3:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვიქტორია (ჰ)-ვილჰელმშავენი | 3:0 |
| ჰაველსე-ვერდერი II | 2:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| ბოზუიქი-გაზიანთეფი | 1:2 |
| ნაზილი-ბურსა | 0:3 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ზალაეგერსეგი-ლომბარდი | 1:2 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (რ-გ) | 3:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ვეფ რიგა-ერტლანდი | 83:72 |
| გალათასარაი-სოპოტი | 103:82 |
| შარლერუა-აკადემიკი | 61:79 |
| **ევროჩელენჯი** | |
| გაზ მეთანი-ტარტუ | 81:58 |
| ხიმიკი-დიჟონი | 79:74 |
| კატაია-კერავნოსი | 71:66 |
| აპოლონი-მინსკი | 72:81 |
| ვენტსპილსი-ტამპერინი | 79:59 |
| პიტეშტი-აალსტი | 89:77 |
| კრკა-პოზარი | 80:74 |
| სიოდერტალიე-ნორჩოპინგი | 67:62 |
| ტიმიშოარა-ოლდენბურგი | 66:76 |
| თოფასი-ენგომი | 87:54 |
| შოლნოკი-კერმენდი | 83:94 |
| გრაველენი-ნანსი | 69:71 |
| მონსი-პარიზი | 89:90 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| უკრაინა-ჩეხეთი | 22:25 |
| ჩერნოგორია-ისლანდია | 26:16 |
| ესპანეთი-გერმანია | 23:20 |
| საფრანგეთი-მაკედონია | 29:16 |
| უნგრეთი-ხორვატია | 27:28 |
| დანია-შვედეთი | 26:27 |
| რუსეთი-რუმინეთი | 21:21 |
| სერბეთი-ნორვეგია | 26:28 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ცსკა-სლოვანი | 4:1 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-მანჰაიმი | 3:1 |
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 4:1 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 2:3 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ფრედრიკშავნი | 1:3 |
| ჰერლევი-ოდენსე | 1:6 |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 3:0 |
| ესბერგი-კოპენჰაგენი | 3:2 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-ვოლერენგა | 3:1 |
| სტავანგერი-სტორჰამარი | 6:4 |
| სპარტა-ფრისკ ასკერი | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ზლინი | 4:2 |
| ლიტვინოვი-ბუდეიოვიცე | 1:4 |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 4:5 (O) |
| ბრნო-კლადნო | 4:0 |
| სლავია-პლზენი | 3:2 (O) |
| ლიბერეცი-სპარტა | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| კლოტენი-ლანგნაუ | 5:0 |
| ლუგანო-ბილი | 4:5 |
| რაპერსვილი-დავოსი | 7:6 (O) |
| სერვეტი-ბერნი | 3:4 |
| ფრიბურგი-ცუგი | 2:3 |
| ციურიხი-ამბრი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| ლულეო-ფრიოლუნდა | 2:3 (O) |
| მოდო-ვექსიო | 5:2 |
| ჰვ71-ლინჩოპინგი | 0:2 |
| შელეფტეო-ბრიუნესი | 3:5 |
| აიკ-ფერიესტადი | 2:3 |

TV პროგრამა

**5 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-ზენიტი.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-აიაქსი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ვოლფსბურგი-ჰამბურგი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. ტვენტე-დენ ჰააგი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. ფულემი-ტოტენჰემი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**21:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბარსელონა-ბენფიკა (LIVE).
**01:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მანჩესტერ იუნ-კლუჟი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბორუსია (მ).
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-კორინთიანსი.
**17:00** კალათბურთი. NBA. 1984-85 წლები. ფინალი. ლეიკერსი-ბოსტონი. V მატჩი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჟელეს ლეიკერსი. 1984-1985 წლები. 1 ნაწილი.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ოკლაჰომა.
**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**13:10** სპორტ-NEWS.
**13:30** რაგბი. ტესტ მატჩი. ინგლისი-ახალი ზელანდია.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**17:30** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**18:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ჩელსი.
**20:10** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი.
**22:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**23:45** LIVE ფეხბურთი. მანჩესტერი - კლუჟი

**I არხი**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 15 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 14 | (წვიმა) |
| ბათუმი | 10 | 14 | (წვიმა) |
| ფოთი | 11 | 14 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 10 | 13 | (წვიმა) |
| გორი | 5 | 13 | (წვიმა) |
| თელავი | 4 | 14 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 3 | 13 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 0 | 6 | (თოვლი) |
| ბორჯომი | 1 | 10 | (წვიმა) |
| მესტია | 2 | 9 | (წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1713 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6605 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6766 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3575 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი




მოჰამედ ალი მეფე გახდა

# ალი მეფედ აკურთხეს

ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი სუპერმძიმეწონოსანი, ლეგენდარული ამერიკელი **მოჰამედ ალი** კიდევ ერთხელ დააფასეს. მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) 50-ე კონვენციაზე, რომელიც მექსიკის ქალაქ კანკუნში იმართება, ალი "კრივის მეფედ" გამოაცხადეს.

გაიმართა სპეციალური ცერემონია, რომელშიც პროფესიული კრივის ასზე მეტი მოქმედი თუ ყოფილი ჩემპიონი მონაწილეობდა, მათ შორის, სუპერმძიმე წონაში WBC-ის მოქმედი ჩემპიონი, უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო**.

ლეგენდარულ მოკრივეს თავზე გვირგვინი დაადგეს კლიჩკომ, **საულ ალვარესმა** და **ხულიო სეზარ ჩავესმა**. გარდა ამისა, მოჰამედ ალის გადასცეს მსოფლიოს ჩემპიონის "ბრილიანტის" ქამარი, რომელიც მას წელზე შემოარტყა არგენტინელმა **სერხიო მარტინესმა**.

საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა მოჰამედის მეუღლე **ლონი** (თავად მოკრივე დიდი ხანია პარკინსონის ავადმყოფობით არის დაავადებული). მან თქვა, რომ მის ქმარს ლაპარაკი რომ შეეძლოს, აუცილებლად იკითხავდა - რატომ ელოდა ამ ჯილდოს ამდენი ხანი.

ალი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო 1964-66 და 1974-78 წლებში. პროფესიულ რინგზე მოჰამედმა 56 ბრძოლა მოიგო და ხუთჯერ დამარცხდა. ამერიკელი კრივის ისტორიაში უდიადეს მოკრივედ მიიჩნევა.

კალათბურთი

# წლის სპორტსმენი ლებრონია




ლებრონ ჯეიმსი Sports Illustrated-ის გარეკანზე

პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა Sports Illustrated-მა 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა "მაიამი ჰიტისა" და აშშ-ის ნაკრების კალათბურთელი **ლებრონ ჯეიმსი**.

ბოლოს, ეს პრიზი NBA-ის წარმომადგენელმა 2006 წელს მოიპოვა და მაშინაც ლაურეატი გახდა "მაიამის" კალათბურთელი **დუეინ უეიდი**.

*"მახსოვს, ეს თითქოს გუშინ მოხდა – ხელი მოვაწერე "მაიამისთან" კონტრაქტს. იმ მომენტში გუნდი კრიზისში იყო. და შესანიშნავია, რომ მე და ჩემმა თანაგუნდელებმა შევცვალეთ სიტუაცია, მივაღწიეთ ჩემპიონობას და მე მოვიპოვე წლის სპორტსმენის ტიტული"*, - აღნიშნა ლებრონმა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, ჯეისმა მოიპოვა NBA-ის ჩემპიონის ტიტული და ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი, აგრეთვე რეგულარული ჩემპიონატისა და ფიჭალური სერიის MVP გახდა.

ჩოგბურთი

# ტალანტი სცენაზე გამოდის

16 წლის ამერიკელმა ჩობურთელმა **ტეილორ თაუნსენდმა** 2013 წელს პროფესიული კარიერის დაწყების სურვილი გამოთქვა, - წერს ამერიკული პრესა. წყაროს ცნობით, გოგონამ უკვე გააფორმა კონტრაქტი კომპანია Lagardere Unlimited-თან, რომელიც **ვიქტორია აზარენკასა** და **კაროლინ ვოზნიაცკის** ინტერესებს წარმოადგენს.

აღვნიშნავთ, რომ თაუნსენდი 2012 წელს ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა ერთეულთა და წყვილთა თანრიგში.

ტეილორმა სექტემბერში განაცხადა, რომ ამერიკის საჩოგბურთო ასოციაციამ არ დააფინანსა მისი გამოსვლა აშშ-ის ღია პირველობაზე. ამის მიზეზად სპორტსმენის ცუდი ფორმა დასახელდა.

ჩოგბურთი

# როჯერი ლინდსის გმირია

თანამედროვეობის საუკეთესო მოთხილამურემ, ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლინდსი ვონმა** ATP-ის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია მსოფლიოს მეორე ნომრის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** პროფესიული თვისებებით.

*„აღფრთოვანებული ვრჩები იმით, რომ როჯერი აგრძელებს ბრძოლას იმისთვის, რათა ისევ მწვერვალზე იყოს. ვფიქრობ, ის ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი სპორტსმენია. ყველა სპორტსმენიდან, ვისთანაც ურთიერთობა მქონია, როჯერი ყველაზე გულწრფელი და სასიამოვნო ადამიანია. ის მართლაც ზრუნავს სხვა ადამიანებზე, რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში.*

*ფედერერი ძალიან შრომისმოყვარეა. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ყოველი დიდი მოგების ან მტკივნეული მარცხის შემდეგ, არ იცვლება, როგორც ადამიანი. როჯერმა იცის, რომ ბევრისთვის მისაბაძი მაგალითია. პირადად ჩემთვის ის ნამდვილ გმირია"*, - განაცხადა ვონმა.



ლინდსი და როჯერი

# ფერერი ესპანელებში პირველია

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი **დავიდ ფერერი** 2012 წელს საუკეთესო ესპანელი ჩოგბურთელი გახდა. დავიდს ეს ტიტული ესპანელი ჩოგბურთის ჟურნალისტების ასოციაციამ მიანიჭა.

2012 წლის სეზონში დავიდმა ATP-ის შვიდი ტიტული მოიგო, აგრეთვე ესპანეთის ნაკრები დევისის თასის ფინალში გაიყვანა.

*„ეს იყო საუკეთესო სეზონი ჩემს კარიერაში. ის არასოდეს დამავიწყდება რამდენიმე მიზეზის გამო. რა თქმა უნდა, იყო იმედგაცრუებები, მაგალითად, დევისის თასის ფინალში წაგება. მაგრამ მე ბოლომდე ვიბრძოდი და სასაყვედურო არაფერი მაქვს"*, - ამბობს ფერერი „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ასევე ასოციაციამ აღნიშნა **მარსელ გრანოლერსისა** და **მარკ ლოპესის** წყვილი. ისინი ლონდონში ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ, ესპანეთში კი მათ მოიგეს „წლის აღმოჩენის" ნომინაცია.

დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტანი **ალექს კორეჩა** დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით თავის პოსტზე მუშაობისას გამოჩენილი ადამიანური თვისებების გამო.




რაფაელ ნადალი

# რაფა: ავსტრალიის მოგება არარეალურია

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ილაპარაკა 2013 წლის სეზონის პირველ ნახევარში თავის მთავარ ამოცანებზე.

*"აღდგენა სრული სვლით მიმდინარეობს. ექიმები კმაყოფილები არიან ჩემი პროგრესით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტრავმები მაწუხებდა, მაგრამ ექიმებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ მკურნალობის პროცესში რისკზე არ უნდა წასულიყვნენ. გამოსვლას იანვარში განვაახლებ. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ დავბრუნდები და მაშინვე ავსტრალიის ღია პირველობას მოვიგებ. რეალისტები უნდა ვიყოთ. აღვნიშნავ, რომ პირველ ტურნირებზე საერთოდ არ ვინერვიულებ შედეგის გამო.*

*ძალიან დიდი ხანია კორტზე არ გავსულვარ, ასე რომ, ახლა, უნდა ვიზრუნო საკუთარ ფორმაზე. არ ვიღელვებდი, მსოფლიოს რეიტინგის მე-15 ადგილამდეც რომ ჩამოვსულიყავი. მინდა ასი პროცენტით ვიყო მზად მონტე კარლოს მასტერსისთვის და როლან გაროსისთვის"*, - ამბობს ნადალი.

# ჩელამ სპორტი დატოვა

33 წლის არგენტინელმა ჩოგბურთელმა **ხუან იგნასიო ჩელამ** პროფესიული კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

*"მრავალწლიანი კარიერის შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში დადგა დრო, როცა ჩოგბურთიდან უნდა წავიდე"*, - დაწერა ჩელამ თავის "ტვიტერზე".

არგენტინელს პროფესიულ ტურში დებიუტი 1998 წელს ჰქონდა. დღემდე მან გამარჯვება მოიპოვა ერთეულთა ექვს ტურნირში და სამი მთავარი პრიზი აიღო წყვილთა თანრიგში. 2004 წლის 9 აგვისტოს, ჩელამ კარიერაში საუკეთესო შედეგს მიაღწია - კლასიფიკაციაში მე-15 ადგილზე აღმოჩნდა.

2012 წლის სეზონში ხუან იგნასიომ 18 მატჩი ჩაატარა და აქედან 12-ში მარცხი ივნია. უიმბლდონის პირველ წრეში მან სლოვაკ **მარტინ კლიჟანთან** წააგო, რის შემდეგაც აღარ გასულა კორტზე ტრავმის გამო.

■ ■ ■

38 წლის ინდოელი ჩოგბურთელი **მაეშ ბჰუპატი**, რომელიც წყვილთა თანრიგში გამოსვლით არის ცნობილი, მომავალ წელს აპირებს პროფესიული კარიერის დასრულებას.

*"შესანიშნავი კარიერა მაქვს, მაგრამ უკვე აღარ მანიჭებს სიამოვნებას მუდმივი მოგზაურობა, მით უმეტეს, ჩემი შვილი დიდი ხნით მამის გარეშე მარტო რჩება სახლში.*

*პროფესიულ ჩოგბურთში გატარებული წლების განმავლობაში, უდიადეს ჩოგბურთელებთან თანამშრომლობის საშუალება მქონდა. ერთი მხრივ, ტოდ ვუდბრიჯი, მაქს მირნი და ლეანდერ პაესი, მეორე მხრივ, მარი პირსი და მარტინა ჰინგისი. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ჩოგბურთელებთან ერთად გავდიოდი კორტზე"*, - ამბობს ბჰუპატი.

შეგახსენებთ, რომ ინდოელმა წყვილთა თანრიგში ATP-ის 51 ტურნირი მოიგო, რომელთაგანაც ოთხი – "დიდი სლემის" ტიტული იყო. ასევე ბჰუპატის ანგარიშზეა მიქსტში "დიდი სლემის" რვა ტრიუმფი.

2012 წლის სეზონში მაეში თავის თანამემამულესთან **როან ბოპანასთან** ერთად გამოდიოდა, 2013 წელს კი მისი პარტნიორი იქნება კანადელი დანიელ ნესტორი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ხუან-იგნასიო ჩელა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608